გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
შაბათი, 5 ნოემბერი, 2005 წელი.
№257-258 (5290-5291)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკად-რისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

## როგორც საქართველოს სახელმწიფო დღესასწაული



**მუსლიმანური** დღესასწაულები შესაძლოა თავისი მნიშვნელობით საქართველოს სახელმწიფო დღესასწაულებს გაუთანაბრდეს, განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც გუშინ თბილისში მცხოვრებ მუსლიმანებს ბაირამობის დღესასწაული მიულოცა.

„ბაირამობა არის არა მხოლოდ თქვენი, არამედ მთელი საქართველოს დღესასწაული, რადგან თქვენ ხართ ჩვენი სამშობლოს შემადგენელი ნაწილი. მე გამოვდივარ ინიციატივით, თქვენი დღესასწაულები გაუთანაბრდეს საქართველოს სახელმწიფო დღესასწაულს“, — განაცხადა მეჩეთში მისულმა მიხეილ სააკაშვილმა. თბილისელმა მუსლიმანებმა საქართველოს პრეზიდენტს დედაქალაქში კიდევ ერთი მეჩეთის აშენება სთხოვეს. გუშინვე, მეჩეთში ყოფნისას პრეზიდენტი სააკაშვილი ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ ზურაბ მელიქიშვილს ტელეფონით ესაუბრა და ქალაქ მარნეულში მდებარე კლუბის მეჩეთისთვის გადაცემა დაავალა. კლუბი მეჩეთს საზეიმო ვითარებაში დღეს გადაეცემა.

**ინტერპრესნიუსი**

## „თუ შენ გკითხეს, თუ მე მკითხეს...“ არავისაც არა ჰკითხეს!

**საქმე** ის არის, რომ არც შენთვის უკითხავთ, მკითხველო, არც ჩემთვის და არც დანარჩენი ხალხისთვის. მარტო საკუთარ თავს ჰკითხეს და თავადვე გადაწყვიტეს.




იხ. მე-3 და მე-11 გვ.

## მე რომ მაჭირვებინებ შენ თუ იჭირვებ?!



**ბატონ** ბესოს ელისაბედ დედოფლისა და ისრაელის ქნესეთის მაგალითებს შევახსენებ (თუ დაავიწყდა):

მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის მონარქი ბუხარს არ ანთებინებდა — მეც ხალხთან ერთად მციოდესო.

ისრაელის ეკონომიკას ერთ წელიწადს რომ გაუჭირდა, იქაური პარლამენტი (ქნესეთი) შეიკრიბა და ხელფასების „ავტოსეკვესტრი“ დაადგინა — ქვეყანას წაადგებაო!

იხ. მე-2 გვ.

## ხალხში დიდი გასვლა

ეს კვირა ისტორიაში შევა, როგორც გუბერნატორთა და გამგებელთა მასების მასობრივი გასვლა მასებში.

დღის წესრიგშია ამ მასების უკიდეგანო მოსმენა.

მას რადიკალური შედეგი — ხელისუფლებისადმი ბოლო ხანს ცოტა არ იყოს შეტორტმანებული რწმენის აღდგენა უნდა მოჰყვეს.

ასეა ჩაფიქრებული.

სხვათა შორის, 130 წლის წინათაც მოხდა მთელი იმპერიის მასშტაბით ხალხში დიდი გასვლა, ოღონდ მაშინ არა გაჩინოვნიკებული რევოლუციონერები, არამედ დამწყები ხალხოსანი (ნაროდნიკი) რევოლუციონერები გავიდნენ, თანაც არა შერყეული რწმენის აღსადგენად, არამედ, პირიქით — მყარი რწმენის შესარყევად.

იხ. მე-2 გვ.

## დროსტარება დაზარალებული ოჯახების ხარჯზე

იხ. მე-2 გვ.

## მონიკა ბელუჩი: „პლასტიკური ქირურგიის დანას არასდროს ახლოს არ გავიკარებ“



იხ. მე-17 გვ.

## [illegible]




იხ. მე-11-12 გვ.

## გენერალისიმუსის გზა

იხ. მე-8 გვ.



წავილეკეთ მათხოვრებით, კახპებით,
ჩვენი ხალხი ტყავია და მვალია,
დღეს-ხვალ ყველა მათხოვრები გავხდებით,
ყველაფერი სულ მთავრობის ბრალია!

იხ. მე-18 გვ.

**კვირის თვალსაწიერი**

# ხალხში დიდი გასვლა

(პირველი გვერდიდან)

ქართველები რის ქართველები იქნებოდნენ, იქაც თავი არ გამოედოთ. ჰოდა, მთელს რუსეთში ყველაზე მძლავრი ხალხოსნური ორგანიზაციის „მოსკოველთა წრის“ („მოსკვიჩების“) ორგანიზატორები ქართველი სტუდენტები: ი. ჯაბადარი, გ. ზდანევაჩი-მაიაშვილი, მ. ჩიკოიძე, ა. ციციშვილი, ი. ქიქოძე და ა. გამრეკლიძე იყვნენ. სწორედ მათ მოუწყო მთავრობამ ცნობილი „50-ის პროცესი“.

თვით საქართველოში ხომ მთლად ფართოდ გაიშალა ეს მოძრაობა! სხვათა შორის, ხალხოსნებს ქართულ მწერლობაში „ტეტიათა მოტრფიალეებს“ უწოდებდნენ.

მაშინ ჩაიშალა ეს წამოწყება, ხალხი არ აღმოჩნდა მზად საამისოდ.

მაგრამ თვით იდეა ხალხში გასვლისა, როგორც ვხედავთ, კვლავაც ცოცხლობს. „ტეტიათა მოტრფიალეობამ“ მტვერი და ფერფლი ჩამოიფერთხა და ფეხზე წამოდგა.

გავლენ, მოისმენენ, აღასრულებენ!

აი, დიდი კეისარი რომ იტყოდა — ვენი, ვედი, ვიციო (მივედი, ვნახე, დავამარცხეო), ისე!

აღმოჩნდება თუ არა მასები ამჯერად მაინც მზად ამ კეთილი ნერგის თავის წიაღში გასახარებლად, დრო გვიჩვენებს!

ერთი რამ აშკარაა: ბატონ პრეზიდენტს, რომელმაც კაბინეტებიდან გარეთ გამოყარა თავისი ჩინოვნიკები, უდავოდ პრაგმატული სურვილი ამოძრავებს.

მე მგონი ეს მოსაწონი იდეა ბატონ მიხეილს ამას წინათ თბილისის მერის უჩეულო (და კარგად რეკლამირებულმა) ექსპერიმენტმა უკარნახა, როცა გიგი უგულავამ გმირობა ჩაიდინა: მეტროში ჩავიდა და მასები გააოგნა (თუმცა, ამ საქმის პიონერი არ ყოფილა, მას თვით ბატონი მიხეილის ამ რამდენიმე ხნის წინანდელი მაგალითი უცისკროვნებდა გზას).

და აი, ტელეეკრანებით ვადევნებთ თვალს ბატონების: ქარელის, გოროზიას, ბობოხიძისა და სხვათა ხალხში ხალისიან სიარულსა და ანგელოზისებრი მოთმინებით მოსმენას.

ოღონდ არ ვიცით, ბატონმა გიგიმ საერთოდ თქვა უარი სამსახურებრივ ავტომანქანაზე, თუ მიწისქვეშეთში იმდღევანდელი ჩასვლა ერთჯერადი მოვლენა იყო, ან გუბერნატორები კვლავაც ასე ინტენსიურად გაახარებენ მშობელ ხალხს, თუ ხვალიდან ისევ მოანატრებენ თავს.

გასულ კვირას ბატონმა პრეზიდენტმა კიდევ ერთი საბრძოლო შეძახილი ისროლა: — მინისტრებო, ტელეფონზე საპასუხოდ იყავით მზად!

ბუნებრივია, ამას უმალ მოჰყვა ერთსულოვანი პასუხი:

— მზად ვართ!

და 2 ნოემბერი შავი ოთხშაბათი აღმოჩნდა ბატონი მინისტრებისთვის: იყო გახარებულ-დაეჭვებული მასების გამუდმებული რეკვა და მთავრობის წევრთა მობილიზებული გამოპასუხება. და ახლა ხალხი მარჩიელობს: რამდენი ხანი ეყოფათ მათ გამძლეობა ყველა ზარზე, მათ შორის, სერიული ტელეფონმანიაკების დარეკვაზე საპასუხოდ (ისე რომელი მინისტრი გასწვდება ამდენ ზარზე პასუხს, ხელში ტელეფონი უნდა ეჭიროს, მეტი არაფერი აკეთოს?).

ახლა, ხუმრობა იქით იყოს და, უდავოდ მოსაწონია საქართველოს პრეზიდენტის თვით ცდა, როგორმე შეაჯანჯღაროს, როგორმე საქმე გააკეთებინოს სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც უსაშველოდ არიან დაცილებული ხალხსაც და იმ საქმესაც, რისი კეთებაც წესით ევალებათ.

მათ ვერასოდეს ვერ გაეკარები, ვერასოდეს ვერ დაელაპარაკები, ვერარა საკითხს ვერ გადააწყვეტინებ (თუმცა, არც იციან, როგორ გადაწყვიტონ).

და უმთავრესი: მათ არ უყვართ ის ხალხი, ვისი სამსახურისთვისაც მოწოდებული არიან. ყველა, ვინც „კომუნისტურ ეპოქაში“ ცხოვრობდა და შრომობდა, ანუ მოსახლეობის უმრავლესობა, მათთვის ზედმეტი, უფრო მეტიც, საძულველია.

როგორც ჩანს, ბატონმა პრეზიდენტმა გაისიგრძეგანა ხალხისგან ხელისუფლების მოწყვეტის დიდი საშიშროება, ისიც, რომ, მაგალითად, ისეთმა ბუნებრივმა მოვლენამაც კი, როგორიც ქარიშხალი „კატრინა“ იყო, აშშ პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის რეიტინგი 37 პროცენტამდე დასცა. წარმოიდგინეთ, მას რომ ასეთი უნდილი ადმინისტრაცია ჰყავდეს...

ღმერთმა ქნას, ბატონ მიხეილ სააკაშვილის ამ თავდადებულმა წამოწყებამ შედეგი გამოიღოს და ისე არ მოხდეს, დღევანდელმა ხელისუფლებმა ხალხს კი მოუსმინონ, მაგრამ ყველაფერი უკუღმა გააკეთონ. ისედაც, გამოკითხვა უჩვენებს: მთავრობის საქმიანობას უარყოფითად აფასებს გამოკითხულთა... 67 პროცენტი.

**როგორც** იქნა, „ნიურნბერგის ტრიბუნალი“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა.

პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ, რომელმაც საბაჟო ტერმინალ „ოპიზას“ საქმე, ანუ მასთან პარლამენტის ზოგიერთი წევრის საეჭვო ურთიერთობა უნდა შეისწავლოს, თავმჯდომარეც აირჩია, მოადგილეც და, თქვენ წარმოიდგინეთ, მდივანიც.

არადა, რა ისეთი ქრისტეს პერანგი იყო ამ კომისიის დაკომპლექტება, რატომ დაიხარჯა უქმად ამდენი დრო, რა ჰქონდათ ამდენი სადავო, პირადად მე, ვერაფრით ამიხსნია.

ვითომ ამასობაში მოხერხებულმა კობა ბექაურმა ვერ მოახერხა ყველაფრის გაწმენდა და დალაგება იმ ყბადაღებულ „ოპიზაში“?

ან მარტო „ოპიზაა“ შესასწავლი?

რამდენი ასეთი „ოპიზა“ უჩხრიალებს ჯიბეში ჩვენს ძვირფას პარლამენტარებს, ხალხს რომ გაჭირვების მოთმენას მოუწოდებენ, თვითონ კი ლაღობენ და გრიალებენ?

იქნებ ყველა ის ბიზნესმენი პარლამენტარიც შეგვესწავლა, რომლებმაც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შესვლისას თავიანთი ბიზნესი „გაყინეს“. მართლა „გაყინეს“ თუ, პირიქით, ახლა ააყვავეს თუ ააყვავეს? ისიც, ვნახოთ, ვინმემ, მანამდე უპოვარმა, პარლამენტში შესვლის შემდეგ ხომ არ გამონახა გზები და შავი დედალივით გაკეთდა?

ერთი სიტყვით, რუხაიას კომისია „ოსაძის კომისიად“, ანუ მუდმივმოქმედად ხომ არ ვაქციოთ, რათა ყოველი საქმის გამოსაძიებლად (ამის საჭიროება კი, უდავოდ დადგება) ახალი არ ავირჩიოთ და სამ-სამი თვე არ ვიღავღავოთ?

**ამ** ხმამაღალ ბატალიებში თითქმის უჩუმრად ჩაიარა ერთმა მეტად მნიშვნელოვანმა ღონისძიებამ — სამეცნიერო კონფერენციამ „მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხი“, რომელიც 2-4 ნოემბერს გაიმართა.

იგი მეტად დროული და მნიშვნელოვანი იყო იმის გამო, რომ დღეს აფხაზეთში, რომელიც სეპარატისტთა ხელთ არის, ძალზე შემაშფოთებელი მოვლენები ხდება.

კერძოდ ის, რომ უპატრონოდ შთენილ აფხაზეთის ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ, ამ სიტყვის ლამის პირდაპირი გაგებით. „სუხუმო-აფხაზსკაია ეპარხია“ ყოველნაირად ცდილობს შეუერთდეს რუსეთის საპატრიარქოს.

რაც მთავარია, „ანაფორიანი სეპარატიზმი“ მიზნად ისახავს ტერიტორიასთან ერთად წაგვართვას ისტორიაც, ამოძირკვოს იქ ქართული მართლმადიდებლობის ყოველგვარი კვალი, გამოაცხადოს იგი „თვითმყოფად აფხაზურად“. და ეს არანაკლებ საშიში და მზაკვრულია, ვიდრე ტერიტორიისთვის დავა.

**ასეთი** იყო გასული კვირა საქართველოში, რომელმაც, დავით აღმაშენებლის ძეგლის ნაბინავარზე, ჯერჯერობით მხოლოდ ცხენის ფეხები დატოვა. მოხსნა გაუჭირდათ...

**ალეკო ასლანიშვილი**

**პოზიცია**

# სახელმწიფო მინისტრმა დალაპარაკება არ ისურვა?

**ბევრ სხვა „სიკეთესთან“ ერთად, პოლიტიკური დიალოგის უკულტურობაც რომ გვახასიათებს, სამწუხაროდ, ფაქტია. ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა „რუსთავი-2“-ის გუშინწინდელმა თოქშოუმ — „თავისუფალი თემა“, რომელშიც სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძეც მონაწილეობდა.**

— ან მათქმევინეთ სათქმელი, ან წავალ ამ დარბაზიდანო, — გაბრაზდა ბატონი კახა, როდესაც უკვე მერამდენედ ვერ მიეცა საკუთარი პოზიციის ბოლომდე გამოხატვის შესაძლებლობა.

და რაკი მან ამის გაკეთება, ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, გადაცემის მსვლელობისას ვერ შეძლო, გადავწყვიტეთ, დავკავშირებოდით და საამისოდ ჩვენი გაზეთის სამსახური შეგვეთავაზებინა. ღმერთმანი, მხოლოდ ამ მიზნით დავურეკეთ გუშინ და არა იმის შესამოწმებლად, უპასუხებდა თუ არა იგი ტელეფონის ზარს მთავრობის წევრებისადმი პრეზიდენტის მიერ გამოთქმული მკაცრი შენიშვნების შემდეგ (თუმცა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ბატონი კახა მთავრობის სხდომაზე ამ მხრივ სხვათაგან გამორჩევით დადებითად მოიხსენია). თანაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გვსურდა, ოპოზიციონერთან ერთად მთავრობის წევრის მოსაზრებაც დაგვებეჭდა.

ავკრიფე სახელმწიფო მინისტრის ტელეფონის ნომერი 98-22-49. ირეკება, მაგრამ ხმას არავინ იღებს. კვლავაც ვსინჯე. ამჯერად უკვე პირადი მდივანი მპასუხობს:

**— ვინ ბრძანდებით?**

— გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციიდან გაწუხებთ, თუ შესაძლებელია, ბატონ კახა ბენდუქიძესთან მსურს დალაპარაკება.

**— რა საკითხზე?**

ვუთხარი სათქმელი.

**— კი, ბატონო, როდესაც ბატონი კახა მობრძანდება, თქვენს თხოვნას გადავცემ და დაგიკავშირდებით,** — თავაზიანად მითხრა სახელმწიფო მინისტრის პირადმა მდივანმა და ჩემი სამსახურისა და მობილური ტელეფონის ნომრებიც ჩაიწერა.

მთელ დღეს ველოდი ბატონ კახა ბენდუქიძის, თუნდაც მისი მდივანი ქალბატონის ზარს, მაგრამ ამაოდ. რა უნდა მეფიქრა? ან ბატონი სახელმწიფო მინისტრი გუშინ სამსახურში არ მივიდა, ან ვერ მოიცალა, ან კიდევ, ღმერთო მაპატიე ამ გამოთქმისთვის — „ფაშისტურ გაზეთთან“ (ეს მისი სიტყვებია) დალაპარაკება არ ისურვა.

აი, ბატონი ზვიად ძიძიგური კი საუბარზე სიამოვნებით დაგვთანხმდა.

**ოთარ ხუციშვილი**

**ოპოზიცია**

# დროსტარება დაზარალებული ოჯახების ხარჯზე

**ჩვენი ხელისუფლება სხვადასხვა ოპოზიციური პარტიისგან დამსახურებულ თუ დაუმსახურებელ კრიტიკას მიჩვეულია. ამჟამად კონსერვატორები პრეზიდენტს და მთავრობას სარეზერვო ფონდიდან თანხების არამიზნობრივად ხარჯვაში ადანაშაულებენ. როგორც თავიდან აცხადებდნენ, ეს თანხები მხოლოდ სტიქიური უბედურებების სალიკვიდაციოდ და განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებების დასაფინანსებლად უნდა დახარჯულიყო. დღეს კი სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს.**



კონსერვატორი ზვიად ძიძიგური ამბობს, რომ პრეზიდენტის ფონდიდან დაახლოებით 15 პროცენტი დაიხარჯა მიზნობრივად, დანარჩენი კი წავიდა ნაირ-ნაირ კონცერტებზე, გასართობ შოუებზე, ფეიერვერკებზე. კერძოდ: ბათუმის ფესტივალზე — 75 000 ლარი; პატრიოტულ ბანაკებზე — 80 000 ლარი; ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საზეიმო ღონისძიების პირდაპირ ტრანსლაციაზე — 45 000 ლარი. ათი ათასები დახარჯეს უცხოელი მომღერლების მოწვევაზე, სამაგიეროდ, მცხეთა-მთიანეთში წყალდიდობისგან გაუბედურებული მოსახლეობის დასახმარებლად კი მხოლოდ 4 000 ლარი გამოყვეს. ამდენად, ამ მონაცემებით აშკარაა ჩვენი ქვეყნისთვის რა უფრო პრიორიტეტულია, ხალხის რეალური მდგომარეობა თუ ერთდღიანი ფრთაგაშლილი დროსტარება.

ძიძიგური მიიჩნევს, რომ ამგვარი პიარ-აქციებით ხელისუფლება ცდილობს ხალხი დაარწმუნოს, თითქოს ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა. არადა, სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ადამიანის ყოფა, თითქმის მთელ საქართველოში, უმძიმესია. კონსერვატორთა ერთ-ერთი ლიდერის თქმით, მარტო სამტრედიის რაიონში 40 ოჯახს დაემეწყრა სახლ-კარი, მთავრობა მათ 4000-4000 ლარის გამოყოფას შეპირდა, მაგრამ შემდეგ ეს 40 ოჯახი 15-ზე ჩამოიყვანეს, მერე 7-ზე, თუმცა დღემდე არცერთ ოჯახს 1 თეთრიც არ მიუღია.

ეს ფაქტი, ცხადია, ხელისუფლების მხრიდან ხალხისადმი უპასუხისმგებლო, გულგრილ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. სწორედ ამიტომ მომავალ კვირაში კონსერვატორები სასამართლოში სარჩელს შეიტანენ. ისინი მოითხოვენ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა იყოს კანონმორჩილი და მოხდეს იმ განკარგულებების განხილვა, რომელთა მეოხებითაც პრეზიდენტისა და პრემიერის ხელმოწერით თანხები არამიზნობრივად დაიხარჯა. მით უმეტეს, რომ ძალიან ბევრი ადამიანი, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ციხეებში სწორედ თანხების არამიზნობრივად ხარჯვის გამო აღმოჩნდა.

— ვიცით, რომ პრეზიდენტს ამისთვის არავინ დააპატიმრებს. მისი დაპატიმრება, ან მთავრობის გადაყენება არც გვინდა. უბრალოდ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ ვინ მართავს დღეს ქვეყანას; სხვას კანონის დაცვისკენ მოუწოდებენ, პირველი კანონდამრღვევები კი თვითონ არიან, — აცხადებს ზვიად ძიძიგური.

ოპოზიციის ამგვარი განცხადებები საზოგადოების ნაწილისთვის მიუღებელია, — სიკეთეს ვერ ხედავენ, რაღაც-რაღაცეებით მანიპულირებენო. ძიძიგური კი ამბობს, რომ ახალ დარღვევებს ოპოზიცია ვერ გამოიგონებს, ისინი არსებულ დარღვევებს აფიქსირებენ და სიმართლის დადგენას სასამართლოში ცდილობენ.

მართალია, ოპოზიციის მოვალეობაა აკონტროლოს როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ორგანოები, მაგრამ დღევანდელ საქართველოში ძნელია ხელისუფლების მოქაჩვა. სათავეში ჩვენა ვართ და რაც გვინდა, იმას ვაკეთებთო. მერედა, სწორია, ასეთი განცხადება?

**ლელა ხვადაგიანი**

**რეპლიკა**

# მე რომ მაჭირვებინებ, შენ თუ იჭირვებ?!

**პატივცემულო რედაქცია, თქვენი გაზეთი უკვე გამოეხმაურა პარლამენტარ ბესო ჯუღელის ამ „საისტორიო“ განცხადებას, მაგრამ ეს ისეთი ნათქვამი გახლავთ, რომ განმცხადებელს ასე ადვილად „ვერ მოვეშვებით“. ნუ დავუკარგავთ — საოცარი, დაუფიქრებელი და ცინიკური განცხადება — ხალხს თხუთმეტი წელია უჭირს და ცოტაც გაიჭირვოსო — დიდი ბოდიშის მოხდით გააკეთა, მაგრამ ხომ ცნობილია — ბოდიში ყოველთვის ვერ ანეიტრალებს უხეირო ნათქვამს.**

მაგ დალოცვილს, გაჭირვების 15 წელი რომ გამოუთვლია, ის თუ დაიანგარიშა, თვითონ რამდენი ხანი ცხოვრობს გაჭირვებით ამ წლებიდან? როცა პარლამენტში ათასობით ლარი გაქვს ხელფასი და სხვაც ბევრი სიკეთე, ასეთმა უნდა ისროლო მსგავსი ლოზუნგი? იმ პარლამენტში, სადაც ჩემისთანა კაცისთვის 70-ლარიანი ხელშეკრულება ვერ გამოუმეტებიათ? ლამაზად ვერ გამომდის საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ თუ ბესო ჯუღელი ცინიკური მოწოდების ნებას აძლევს თავს, მე დაჩივლების უფლებაც აღარა მაქვს?

თუ ყოველთვიურად დეპუტატები რამდენიმელარიან საქმეს უკეთებენ ხალხსა და ქვეყანას (ისე ღმერთი იმათ უშველით!), მე 70 ლარის ღირებულებისას ვერ გავუკეთებ პარლამენტის აპარატს? იმ 15-წლიან გაჭირვებაში მოყოლილმა მივატოვე მათემატიკური მეცნიერება, სადაც ვარსკვლავებს ვერ ვწყვეტდი, მაგრამ ჩემი შესაძლებლობების შესაბამისად ვემსახურებოდი, და კიდევ რამდენი უნდა გავიჭირვო? გავიდა ცხოვრება!

ბატონ ბესოს ელისაბედ დედოფლისა და ისრაელის ქნესეთის მაგალითებს შევახსენებ (თუ დაავიწყდა):

მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის მონარქი ბუხარს არ ანთებინებდა — მეც ხალხთან ერთად მციოდესო.

ისრაელის ეკონომიკას ერთ წელიწადს რომ გაუჭირდა, იქაური პარლამენტი (ქნესეთი) შეიკრიბა და ხელფასების „ავტოსეკვესტრი“ დაადგინა — ქვეყანას წაადგებაო!

ახლა, როცა ნახევარი საქართველო წყალს მიაქვს, თუ წარმოგიდგენიათ ჩვენი პარლამენტის შეკრება და დადგენილების გამოტანა — ხელფასები შევიმციროთ დროებით მაინც და წყალწაღებულებს მივეშველოთო?

ეგებ ბესო ჯუღელი გამოვიდეს შესაბამისი ინიციატივით...

დაქცეულ, გამათხოვრებულ, გაპარტახებულ ქვეყანაში, უმძიმეს სოციალურ ფონზე რომ ამხელა გასამრჯელოებს ინიშნავ და ფუფუნებით ცხოვრების ნებას აძლევ თავს — ღმერთს რა პასუხს აძლევ! ეს არის ქვეყნის სამსახური და ხალხის რჩეულობა?..

ამ ბოლო დროს პარლამენტარებს შეუყვარდათ „გარეშეებზე“ ლაპარაკი — თავში აუვარდათო. ხანდახან საკუთარ თავშიც „შეიხედონ“ — არ აწყენთ.

სათქმელს — ტელეკამერის წინ იქნება თუ ჟურნალისტთან საუბრისას — დიდი მოზომვა და დაკვირვება სჭირდება. ხელისუფლებისას — კიდევ მეტი...

**თამაზ ეზანოიძე**

## პუბლიცისტური ნამცვრევები

# „ეროვნული უგემოვნობისა და უნარშეზღუდულობის“ მაგალითი?!

**გუშინ კიდევ ერთი სენსაციის მომსწრენი გავხდით. ახალგაზრდა მწერლებმა და ჟურნალისტებმა კატეგორიულად გაილაშქრეს თბილისის თავისუფლების მოედანზე წმინდა გიორგის გამოსახულებით მონუმენტის დადგმის წინააღმდეგ.**

ყოვლად წარმოუდგენელია, ეროვნული უგემოვნობისა და უნარშეზღუდულობის მძაფრი მაგალითია თავისუფლების მოედანზე ზურაბ წერეთლისეული მონუმენტის დადგმა, — აღშფოთებულია კრიტიკოსი ლაშა ბაქრაძე, ძე დიდი აკაკი ბაქრაძისა!

განა შეიძლება XXI საუკუნის დასაწყისში თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დროინდელი მონუმენტი დავდგათ? — ბაქრაძის ნააზრევს კვერს უკრავენ თანამოაზრეები: რატი ამაღლობელი, ნინია კაკაბაძე, ლაშა ბუღაძე.

საკუთარი აღშფოთების გამოსახატავად ახალგაზრდა რეფორმატორები ლიტერატურულ კაფეში შეიკრიბნენ და თბილისელებს თავისუფლების მოედანზე გამოსვლისკენ მოუწოდეს.

პროტესტანტები კიდევ უფრო შორს წავიდნენ და ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს: თავისუფლების მოედანზე ოდიოზურ ხელოვანად შერაცხული ზურაბ წერეთლის ქანდაკების დადგმა საფუძველი იქნება იმისა, რომ სხვა ქალაქებსა და რაიონებში მსგავსი ტოტალიტარული ძეგლები (!) დაიდგას... ეს კი ქართველი ხალხის მონური (!) ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას განაპირობებს!

მოვა სხვა პრეზიდენტი, დედაქალაქის სხვა მერი და ქანდაკების მოკვეთა გახდება საჭირო, ამიტომ სჯობს ის არ დაიდგას და მასში დიდი ფული არ დაიხარჯოს, — ცეცხლზე ნავთს ასხამს ლაშა ბაქრაძე...

რას ნიშნავს ყოველივე ეს? — ერთ დროს „ვარდების რევოლუციის“ მოტრფიალე შემოქმედებითი ახალგაზრდობა მტრად მოიკიდა დღევანდელმა ხელისუფლებამ?

თუ კერპების მსხვრევის ახალ ტალღასთან გვაქვს საქმე? ზურაბ წერეთელი ხომ მსოფლიო სახელის მოქანდაკეა და ის თვით დიდმა სიკეიროსმა აღიარა თავის ღირსეულ მემკვიდრედ?

დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანასთან დაკავშირებული



აჟიოტაჟი ოდნავ ჩაცხრა, — ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადიო! თუმცაღა, მერაბ ბერძენიშვილის სახელისთვის ჩრდილის მიყენება (დიდი სურვილის მიუხედავად!) ვერ შეძლეს. მერაბი კვლავ რჩება ერთ-ერთ მიუწვდომელ ქართველ შემოქმედად, დიდ მხატვრად, დიდ ადამიანად.

ახლა ზურაბ წერეთლის ჯერი დადგა.

ხომ არ გვეშლება? — ზურაბ წერეთელიც მთელ მსოფლიოში სახელგასმენილი შემოქმედია.

ამ აქციებით ოდენ საკუთარ თავნება ხელისუფლებას ვუტევთ?

აი, მესმის მჩქეფარე, რევოლუციური ცხოვრება...

**ამ დღეებში საზოგადოებრივი ტელევიზიის ჯერჯერობით ულიმღამო საინფორმაციო პროგრამაში — „მთავარი“ — კიდევ ერთხელ გაახმაურეს ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის მონიტორინგის ჯგუფის კვლევის შედეგები: თბილისში, — ჭავჭავაძის გამზირზე, კოსტავასა და მელიქიშვილის ქუჩებზე ჰაერის დაბინძურება ბევრად აღემატებაო დასაშვებ ნორმებს.**

# სატრანსპორტო სადიზმის პირობებში

ხალხი რომ არ შეშინდეს, კონკრეტულ ციფრს, რეალურ სურათს გვიმალავენ. დედაქალაქის ქუჩებში (და არა ოდენ ცენტრალურ უბნებში) ჰაერის მომწამვლელი ტოქსინებით გაჯერება მინიმუმ ოცჯერ (!) აჭარბებს ეკოლოგიურად მისაღებ თანამედროვე ნორმებს. ალბათ, ამიტომაც იყო მონიტორინგის ჯგუფის უცხოელმა სპეციალისტებმა თბილისის ჰაერის კვლევის შედეგები ერთადერთი სიტყვით რომ შეაფასეს — **„კატასტროფაა“.**

როგორც ჩანს, დასკვნის დაწერას აზრი აღარ ჰქონდა... შარშანაც, შარშანწინაც იგივე მდგომარეობა იყო. დედაქალაქის ავტოპარკი ყოველწლიურად მინიმუმ 7-8 ათასი მანქანით (საზღვარგარეთ უკვე მოძველებული, ნახმარი ავტოებით) ივსება. ტექნიკურად გაუმართავი კერძო მანქანების ამკრძალავიც არავინ არის და... ვცხოვრობთ ასე არხეინად, უხილავი საწამლავით გაჟღენთილ დედაქალაქში.

სატრანსპორტო რეფორმამაც სულზე მოგვისწრო. ცენტრალურ ქუჩებზე სამარშრუტო მიკროავტობუსები აკრძალეს, ჰოლანდიიდან და უკრაინიდან ჩამოყვანილი ავტობუსები მგზავრებს ვერ აუდის, თბილისელები ხშირად 15-20 წუთი ელოდებიან ამა თუ იმ მარშრუტს. გამოჩნდება გადაჭედილი ავტობუსი... იწყება ენით აუწერელი ჯგლეთა და ლანძღვა-გინება, მოხუცები და ქალბატონები თამაშგარე მდგომარეობაში რჩებიან.... მოწამლულ ჰაერს მოწამლული გუნებაგანწყობილებაც ემატება...

რა სამართლიანად უწოდა ამას წინათ ერთმა ჩვენმა გონიერმა კოლეგამ თბილისში შექმნილ მდგომარეობას — **„სატრანსპორტო სადიზმი დედაქალაქში“.**

თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურის უფროსს ზურაბ ჩიკვილაძეს, როგორც თვითონ ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარებს, ამას წინათ, თურმე, დედამისი აღშფოთებული ურეკავს: 15 წუთია 5 ნომერ ავტობუსს ველოდები, ბოლოს, ავდექი და სამარშრუტო ტაქსში ჩავჯექი, რას ჰგავს ეს?



შვილი ოლიმპიური სიმშვიდით უხსნის დედას: ბარემ, 1-2 წუთი კიდევ მოგეცადა და ავტობუსიც აუცილებლად გამოჩნდებოდა!

აი, ძმაო, გაბაზრებულ ეკონომიკას მორგებული კაცის პასუხი გაწამებული დედისადმი.

გამოჩნდებოდა, ალბათ, მართლაც გამოჩნდებოდა 5 ნომერი, მაგრამ... ხანდაზმულ ქალბატონს ცხვირს შეაყოფინებდნენ იმ ავტობუსში?

ზურაბ ჩიკვილაძე იმასაც აღიარებს, რომ ადრე თბილისს 1200 ავტობუსი ემსახურებოდა, ახლა კი — 350!.. წლის ბოლომდე 500 გვეყოლება, მომავალ ზაფხულში კიდევ ერთ ამდენს დავუმატებთ და თანდათან მთელს ქალაქს მოვიცავთო.

კი მაგრამ, თქვე მამაცხონებულებო (გიგი უგულავას, ზაზა ბეგაშვილს, ზურაბ ჩიკვილაძეს და მათ თანამოაზრეებს მივმართავ), ჯერ ავტობუსების საკმარისი რაოდენობა შემოგეყვანათ და მერე დაგეწყოთ რეფორმა. იმის მოწესრიგებას მაინც რა უნდა, საღამოს 7-8 საათიდან სამარშრუტო ტაქსებს რომ დართოთ ცენტრალურ ქუჩებზე გასვლის უფლება? ნუთუ არ იცით, რომ მგზავრებთან ერთად გადაღლილი და ნერვებდაწყვეტილი ავტობუსების მძღოლები, ღამის 9-10 საათისთვის ავტოფარეხისკენ მიიჩქარიან? რატომ ვატყუებთ მოსახლეობას, ყველა მარშრუტი ღამის 12 საათამდე მუშაობსო? გამოდით ღამის თერთმეტ საათზე ქალაქში და... ეძებეთ თუნდაც ერთი ავტობუსი...

„მარშრუტკების“ შემცირებას კერძო ტაქსების „აშვება“ მოჰყვა. ადრე მათ ნებართვა სჭირდებოდათ ქალაქში გასასვლელად. თბილისში, ბოლო ხანს, 550 კერძო ტაქსი იყო აღრიცხული და თითოეული მათგანი ნებართვაში მიზერულ თანხას — 1 ლარს იხდიდა ყოველთვიურად. ეს კორუფციის წყაროა და, პარლამენტმა ნებართვების გაცემა გააუქმა. ახლა სრული ქაოსია, არავინ იცის ვინ და როგორი მანქანით „ტაქსაობს“.

ამიტომაც, თვითნებურად იმატებს თბილისის ქუჩებში ტრანსპორტის რაოდენობა, იმატებს ტოქსიკური გამონაბოლქვიც და **ვართ ასე მოწამლულები, სატრანსპორტო სადიზმის პირობებში.**

ბენზინის ფასი კი, ამ გაძვალტყავებულ ქვეყანაში ევროპის სუპერსახელმწიფოების ფასებს უტოლდება... არის მოთხოვნილება და ამიტომაც იმატებს. ამ ძველ, ჯაგლაგა მანქანებს მეტი საწვავი სჭირდებათ, მეტ საწვავს მეტი ჰაერის გაბინძურება შეუძლია.

**დასკვნაც მარტივია: დედაქალაქის ეკოლოგიური კატასტროფა, თუ გონს არ მოვეგეთ, გარდაუვალია.**

**სპარტაკ ქოზულია**

## დროის კვალდაკვალ

# „თუ შენ გკითხეს, თუ მე მკითხეს...“ არავისაც არა ჰკითხეს!

**ახლა აქ, შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ ეს წერილი ზოგს მურმან ლებანიძის ლექსის იდეურმხატვრულ გაანალიზებად მოეჩვენოს და ლიტერატურის კრიტიკოსთა კომპეტანციაში შეჭრა წამოგვაძახოს, ამიტომაც თავიდანვე ვიტყვი: არც პირველია ჩემი მიზანი, და არც მეორეზე მაქვს პრეტენზია (შორს დილეტანტობა). საქმე სულ სხვაგვარადაა:**

პრეზიდენტს, რომელმაც გუბერნატორებს ხალხში გასვლა და ხალხის თავსატეხის გაცნობა დაავალა, ეტყობა, გულმა ვერ მოუთმინა, მაღალმთიან რაჭაში მოსახლეობას თავადვე შეხვდა, რაჭველ ებრაელებთან ერთად „შალომ ისრაელ“-იც იმღერა, ხვანჭკარაც გასინჯა და მურმან ლებანიძის ძეგლიც გახსნა.

სწორედ ამ ძეგლის გახსნაზე გაიხსენა პრეზიდენტმა პოეტის ლექსიდან ერთი სტროფი, რომელიც დავით აღმაშენებლის ძეგლს ეხებოდა და ამით დიდი მეფის ქანდაკების რესპუბლიკის მოედნიდან დიღომში გადატანა გაამართლა.

დიდ ბოდიშს ვიხდი ბატონ პრეზიდენტთან, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ვერ იყო მაინცდამაინც მყარი არგუმენტი და შექმნილი ვითარების შესაბამისი მაგალითი.

„თუ შენ გკითხეს, თუ მე მკითხეს, თუ ხალხი ვართ...“ ასე იწყება ამ ლექსის სტროფი.

საქმე ის არის, რომ არც შენთვის უკითხავთ, მკითხველო, არც ჩემთვის და არც დანარჩენი ხალხისთვის. მარტო საკუთარ თავს ჰკითხეს და თავადვე გადაწყვიტეს.

ამიტომაც არის ამხელა აჟიოტაჟი პრესაში, ტელევიზიაში და დიდი მეფის ძეგლთან შეკრებილ მომიტინგეებში. ხალხისთვის თავიდანვე რომ ეკითხათ, იქნებ ამხელა ხმაური არც გამოეწვია ხელისუფალთა ამ გადაწყვეტილებას.

ან უბრალო ხალხს კიდევ ვინ ჩივის, როცა თავად ძეგლის ავტორისთვის არ უკითხავთ არაფერი.

არადა, არგუმენტად მოყვანილ ლექსში ასე წერია: თუ შენ გკითხეს, თუ მე მკითხესო, და წერია ისიც, თუ ხალხი ვართო.

საინტერესო და ნიშანდობლივია თავად ლექსის ბოლო ტაეპიც:




„აზიიდან ევროპისკენ მიქცეული“.

ამ ნათქვამით იმის აღიარება გამოდის, რომ საქართველო აზიის ნაწილი ყოფილა, რომელიც ევროპულ კურსს ირჩევს და დიდ მეფესაც პირს იქითკენ უქცევს.

საქართველოს ევროპა-აზიელობის შესახებ აზრთა სხვაობა დღესაც არსებობს.

ცხადია ისიც, რომ ჩვენი კულტურული, ისტორიული და მენტალური შტრიხებით აზიასთან ბევრად მეტი საერთო გვაქვს, ვიდრე ევროპასთან და უძველესი ცივილიზაციების კონტინენტისთვის თავის მიკუთვნება საჩოთირო სულაც არ არის და ალბათ მურმან ლებანიძეც ამგვარად ფიქრობდა, როცა ის ლექსი დაწერა.

მაგრამ, იგივეს გამეორება დღეს, როცა ქართველები ჯიუტად ვისრუტავთ სულ სხვა იდეალებს და სხვაგვარი მრწამსით ვცხოვრობთ, თანამედროვეობასთან ნამდვილად შეუსაბამოა.

თავად განსაჯეთ, უკვე წლების სათვალავიც აგვერია, რაც ევროპის წახედვაში ვართ და ამ ბებერ კონტინენტში სრულფასოვან ინტეგრაციას ვეშურებით.

ის კი არა, „პირველი ევროპელები“ ზეზვა და მზიაც ჩვენს მიწაზე აღმოვაჩინეთ და ცხონებული ზურაბ ჟვანიას ნათქვამიც: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“-ო. საუკუნის ფრაზადაც ვაღიარეთ.

ამ დროს კი უცებ ვიმეორებთ: აზია ვართ და გამამთლიანებელი მეფე „ევროპისკენ მიქცეული“ უნდა იყოსო.

დაბოლოს, პრეზიდენტმა მურმან ლებანიძის ლექსს ისიც დააყოლა: რაც თემურ შაშიაშვილს ახლაც არ ესმის, იმას პოეტი ჯერ კიდევ როდის ამბობდაო.

ისე, ამ დავით აღმაშენებლის ძეგლის აპოლოგეტობისას, ნაწილ-ნაწილ დაშლილი ქანდაკების დარად, იმერეთის ექსგუბერნატორიც გვარიანად დაზარალდა.

ჯერ იყო და, „რე-აქციის“ პირდაპირი ეთერიდან წამოაძახეს: „გალობანი სინანულისანი“ არ აქვს წაკითხული და ალბათ არც ის იცის, ვისი დაწერილიაო.

აგერ ახლა კი რაჭაშიც მოხვდა დავითის ცხენის „ისტორიული“ ფლოქვი...

**ჯაბა ხუბუა**

№ 257-258. შაბათი, 5 ნოემბერი, 2005 წელი.

◉ აბსურდის თეატრი

# ნამდვილი თავისუფლება ჩვენს შეგნებაში უნდა არსებობდეს

**„ეს არის აბსურდის თეატრი“ — ასე უწოდა ხელისუფლების ქმედებას ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა მისი განთავისუფლების შემდეგ. ისე, აბსურდის თეატრში ოდენ ეს კონკრეტული ნაბიჯი როდი იგულისხმებოდა. ამ ცნებაში მოიაზრებოდა ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც სიმბოლურად სანახაობითი ობიექტების გახსნას გულისხმობს. „პარკებითა და შადრევნების გახსნით ხალხის გართობა სხვა არაფერია, თუ არა საბჭოთა მეთოდი“, — დასძინა მან ტელევიზიით.**



სალომე ზურაბიშვილის აზრს საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილიც ეთანხმება. ასფალტის დაგება და შენობის შელამაზება ადგილობრივი ხელისუფლების ჩვეულებრივ საქმიანობას უნდა წარმოადგენდეს, და არა უმაღლესი ხელისუფალის თავმოწონების საგანს. სტადიონები, გზები, ფასადები, პარკები, შადრევნები 1 ოქტომბრის არჩევნების მთავარ თემადაც იქცა. ოპოზიციამ ხელისუფლება ფოკუსების ჩატარებაში დაადანაშაულა, რაც გულისხმობდა „ნაცმოძრაობის“ კანდიდატთა მიერ საბჭოური წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვას. პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტარები, მთავრობის წევრები აქტიურად ჩაებნენ ამ კამპანიაში და არჩევნებამდე ერთი თვით ადრე სტადიონების გახსნა თუ გაყინული პენსიების დარიგება მმართველი პარტიის კანდიდატებს მიეწერებოდა.

— ათი წელიწადი ეგონათ, რომ საქართველო შევარდნაძის ქვეყანა იყო. ახლა სააკაშვილისა ჰგონიათ. მერე მოვა სხვა და იმისი ეგონებათ. ქართული სახელმწიფო არ გვქონდა. ამიტომაც, არ ვიცით, რა არის სახელმწიფოებრივი აზროვნება. კუბიკ-რუბიკივით ვაწყობთ, თან პირადი ინტერესებიც გვძალავს, — მითხრა ერთ-ერთმა ახალგაზრდა მწერალმა, რომელსაც არ მოსწონს დღევანდელი პიარ-აქციები, თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თავმოსაწონად გამართული. აგერ, ჩვენს თვალსა და ხელს შუა გაჩნდა ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩა, ხოლო წმინდანად შერაცხული მეფეთ-მეფე დავითის ძეგლი ავტორის ნებადაურთველად ცენტრს მოაშორეს და ქალაქის შემოგარენში „გაამწესეს“. „აბსურდის თეატრში“ დავით აღმაშენებელი ლენინისა და ორჯონიკიძის გვერდით აღმოჩნდა. ქართველის სულში კი კიდევ ერთი სიმი ჩაწყდა. ხელისუფლება ისე ჭრის და კერავს, ხალხს აღარაფერს ეკითხება. როგორც ჩანს, ვეყანა მართლაც მხოლოდ თავისი ჰგონია. ხალხში კი ყოველგვარ ძალადობრივ გამოვლინებას უკმაყოფილების ტალღის ზრდა მოსდევს.

კახელმა გლეხმა სულ ახლახან ჩემს გასაგონად დაიჩივლა, — როდემდე უნდა ატყუონ ხალხი და თავი მოიწონონ ვენახ-ვენახ სიარულით, ყურძნის მოსავლის ზრდით. ყურძენზე ფასი მათ შეგნებულად დააგდეს ინფლაციისგან თავის ასარიდებლად და კაპიკებად შეისყიდესო. და ასეთი რამდენია.

წვეთ-წვეთად დაგროვილ უკმაყოფილებას ხელისუფლებამ არაერთი არაადეკვატური ქმედებით უპასუხა, რამაც კიდევ უფრო გაამწარა მოსახლეობა და სალომე ზურაბიშვილის ერთ დაძახილზე იპოდრომზე უამრავი ხალხი აღმოჩნდა. ეს გარკვეულწილად იყო შელახული ღირსების რეაბილიტაციის გამოხატულებაც.

საზოგადოება თუ იაქტიურებს, შეიძლება ტოტალიტარიზმიდან გამოსვლა, — სჯერა სალომე ზურაბიშვილს. მისი აზრით, დღეს არის გადამწყვეტი მომენტი საქართველოსთვის, როცა მხოლოდ ლიდერებმა კი არა, ადამიანებმა უნდა იტვირთონ პასუხისმგებლობა შექმნილ ვითარებაზე.

ახლა გვინდა თავისუფლების სიმბოლოდ წოდებული ქანდაკების აღმართვა. ნამდვილი თავისუფლება ჩვენს შეგნებაში უნდა არსებობდეს და არავითარი ფასი არ ექნება წმინდა გიორგის მონუმენტს წამოვჭიმავ, თუ სათაყვანო დავით აღმაშენებელს სამარცხვინოდ ჩამოვაგდებთ კვარცხლბეკიდან, მერე კი მის საფლავთან მივალთ, დიდი პატრიოტივით სანთელს დავანთებთ და დავიფიცებთ.

ეს იქნება ფარსი და არა ქართველი კაცის სულიერი ჟესტი!

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ დღის შეკითხვა

## უნდა აშენდეს თუ არა 26 მაისის მოედანზე ცათამბჯენი?

**ამის შესახებ „საქართველოს რესპუბლიკამ“ აზრი მოსახლეობას ჰკითხა.**

**ტარიელ უმიკაშვილი, ისტორიკოსი:** — ხელისუფლებამ რესპუბლიკის მოედანი ყაზახებს მიყიდა, დავით აღმაშენებლის ძეგლი ნაწილ-ნაწილ დამალა, ესეც არ იკმარა და ახლა 26 მაისის მოედანსაც მიადგა. ეს ისეთი მნიშვნელოვანი თარიღის გამომხატველი სიმბოლური ადგილია, რომ მისი შევიწროება და იქ უზარმაზარი შენობის ჩადგმა მიუღებელია. პირიქით, მის გაფართოებასა და გალამაზებაზე უნდა ვზრუნავდეთ.

**ირაკლი ფარჯიანი, სტუდენტი:** — გარდა იმისა, რომ 50-სართულიანი შენობა იქაურობას დაამახინჯებს, სახიფათოც არის. არა მგონია, წინასწარ შეესწავლათ, თუ რამდენად საშიშია ეს ადგილი მიწისძვრისთვის. წარმოიდგინეთ რა მოხდება, მიწისქვეშა ბიძგებმა იმხელა შენობა რომ დაანგრიოს. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ დაფიქრება ამაზეც მართებთ.

**შალვა ნოზაძე, პენსიონერი:** — რომ აშენებენ ამხელა შენობებს, მშიერმა ხალხმა აგური და ბეტონი ჭამოს? სჯობს ჯერ ხალხს მიხედონ და ცათამბჯენების აშენებაზე მერე იფიქრონ.

**ნუგზარ შავიშვილი, ეკონომისტი:** — არა მგონია ამ შენობის აშენება ცუდი იყოს. კარგია, რომ ამხელა ინვესტიცია იდება, ეს ჩვენთვისაც მომგებიანია. თუ ხელისუფლება სიახლეებს გვთავაზობს და ეს სიახლეები სასიკეთოა ხალხისთვის, ქალაქისთვის, უპრობლემოდ უნდა მივიღოთ.

**ცეზარ გვილავა, უმუშევარი:** — აკი ახლა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს უნდა მივხედოთო? გახედეთ „ნახალოვკას“, ინგრევა, სოფელსა ჰგავს. იქ ააშენეთ რამე, თუ ფული გაქვთ. სასტუმრო „აჭარას“ კიდევ ცათამბჯენი უნდა მიაყუდოთ?

**ჯაბა ხუბუა**



◉ წანწალი ვის უხარია...

## როცა არც ერთს ეხალისება და არც მეორეს, ცხოვრება თავისას კი ითხოვს...

**ახალმა ხელისუფლებამ გარევაჭრობის აკრძალვა ერთ-ერთ პრიორიტეტად ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე დაისახა, მაგრამ წლობით დამკვიდრებული ამ ტრადიციის აღმოფვხრა შესაბამის მაკონტროლებლებს ერთობ გაუძნელდათ და დედაქალაქში გარევაჭრობა მართალია არა ძველებურად, მაგრამ მაინც „ჰყვავის“.**

გარემოვაჭრეთა „წარმომადგენლებად“ თბილისის მეტროს ვაგონებში წვრილმანების გამყიდველები გვევლინებიან, რომლებიც თავის დროზე მეტროპოლიტენის სადგურებში თავს წყალში თევზივით გრძნობდნენ და საყოფაცხოვრებო წვრილმანთა საკმაოდ ფართო ასორტიმენტსაც წარმატებით ასაღებდნენ. მას შემდეგ, რაც საპატრულო პოლიციას ადგილი მეტროს სადგურებშიც მიუჩინეს, ამ მოვაჭრეებს ვაგონებში მოსახვედრად და თავიანთი საქონლის გასაყიდად დიდ ჯაფასთან ერთად ათასგვარი ხერხების გამოყენებაც უწევთ.

მეტროში მოვაჭრეებს პატრულის ვითომდა გასაბითურებლად ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი და საკმაოდ იოლად გასაშიფრი „ეშმაკობა“ აქვთ დამუშავებული.

ისინი გასაყიდ საქონელს ორნაირად ნიღბავენ: ზოგი შავ პარკებში ან ჩანთებში აწყობს, ზოგიც ტანსაცმლის შიგნით მალავს. მზერამახვილი პატრულები მოვაჭრეთა ამგვარ ფანდებს ხშირად არ „ჭამენ“ და ამიტომაცაა ერთი გაწევ-გამოწევა და აყალ-მაყალი მეტროპოლიტენის სადგურებში.

როგორც უკვე ვთქვი, თითქოსდა შენიღბული მოვაჭრეების გაშიფვრა საკმაოდ იოლი საქმეა. ჯერ ერთი, ისინი უკვე წლებია ყოველდღიურად ტრიალებენ მეტროს სადგურებსა თუ ვაგონებში და მათი სახეზე ცნობა არათუ პატრულისთვის, ჩვეულებრივი მგზავრებისთვისაც უპრობლემო რამაა.

და მეორეც, სპეციალურად მოდარაჯე პატრულთათვის მაშინვე ცხადი ხდება საეჭვოდ „დაფეხმძიმებული“ ადამიანების ვინაობა. აბა რომელი ჭკუათმყოფელი იფიქრებს სამოცი თუ სამოცდაათი წლის ქალბატონის გვიან ორსულობაზე, ან ლოყებჩავარდნილი, გამხმარი მამაკაცის ლუარსაბის დარ ღიპზე.

მიუხედავად ამისა, მეტროში მოვაჭრეებს თავიანთი ხრიკები ზოგჯერ გასდით, ზოგჯერ — ვერა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მათთან დავა და გაწევ-გამოწევა თვით პატრულებსაც არ ეჭაშნიკებათ. მათ მშვენივრად იციან, რომ ამ ადამიანებისთვის ეს პურის ფულის მოსაპოვებელი ერთადერთი გზაა, მაგრამ მათი მხრიდან არც სამსახურებრივი გულგრილობა ეგების. ამიტომაც იძულებულნი არიან თვალი არ მოუხუჭონ მეტროს ვაგონებში „შეპარვის“ მოწადინე მეწვრილმანეებს.

— ახალგაზრდა კაცი ვარ და მამის და დედის ტოლა ხალხთან დავა და ჩხუბი სულაც არ მსიამოვნებს. ამ მოვაჭრეების მდგომარეობაშიც შევდივარ და ვიცი, რომ კაპიკებს ამით შოულობენ, მაგრამ ასეთი სამსახური მაქვს და რა ვქნა, — ეს მეტროს ახალგაზრდა პატრულმა მითხრა.

თავის მხრივ პატრულთან პრეტენზიები არც მეტროში მოვარჭრეებს აქვთ, პოლიციელთა მდგომარეობაში ისინიც შედიან, მაგრამ საჩივარს მთავრობის მიმართ გამოთქვამენ. აი, რა თქვა მეტროში მოვაჭრე ერთ-ერთმა ქალბატონმა:

— რა ვქნათ, შვილო, ერთ-ორ კაპიკს ვშოულობთ და ამასაც გვიშლიან, რომელი წესრიგის დამრღვევები ჩვენ გვნახეს, რომ ასე გვდევნიან. ამ ბიჭებთან (პატრულებთან) რა გვინდა, ამათ ვინც ავალებს ჩვენი ვაჭრობის აკრძალვას, იმათი ბრალია. ჩვენი მთავრობა მშივრებს გვხოცავს და არც ის უნდათ, რომ რაღაცეები მეტროში გავყიდოთ. მოგვხედონ, შვილო, და არც ჩვენ ვიზამთ ამას, კი არ გვიხარია მთელი დღე აქეთ-იქით წანწალი.

ერთი სიტყვით, არც მეტროში მოვაჭრეებს გაემტყუნებათ და არც მათ „მდევარ“ პატრულებს.

მაშ მთავრობას? ესეც საკითხავია, წესრიგი კარგია, მაგრამ მშიერი ადამიანები?

მოკლედ, ოქროს შუალედია საჭირო!

**ხუხა ჯანდიერი**

◉ ინფორმაცია

## „კონსერვატორები“ სასამართლოთი იმუქრებიან

**„კონსერვატიული პარტია“** ქალაქის მთავრობისა და საკრებულოს იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებს, რომლითაც საბავშვო ქალაქ „მზიურის“ მნიშვნელოვან ტერიტორიას საზოგადოებრივი საქმიანობის დონის სტატუსი მიენიჭა.

აღნიშნული განცხადება გუშინ, საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერმა კობა დავითაშვილმა გააკეთა.

დავითაშვილი გუშინ საქალაქო სასამართლოში სარჩელს შეიტანს და აღნიშნული გადაწყვეტილეების ბათილად ცნობას მოითხოვს, რადგანაც ქალაქის მთავრობისა და შემდგომ უკვე ქალაქის საკრებულოს 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არ შეესაბამება პარლამენტის 1998 წლის 17 ივლისს მიღებულ დადგენილებას, რომელიც კრძალავს პარკებსა და სკვერებში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებლობებას.

როგორც დავითაშვილი აცხადებს, „მზიურის“ ტერიტორიას სწორედ იმიტომ მიანიჭეს საზოგადოებრივი საქმიანობის სტატუსი, რომ იქ სამრეწველო და ბინათმშენებლობა გაჩაღდეს. თუმცა კობა დავითაშვილი ადამიანთა იმ წრეს, რომლებიც აღნიშნულ მშენებლობებს აპირებს, იმედს უცრუებს და აცხადებს, რომ სარჩელის სასამართლოში შეტანა აჩერებს ყველა სადავო აქტის მოქმედებას. „ საქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანით შეჩერდება თბილისის მთავრობისა და საკრებულოს დადგენილება. ვერანაირი მშენებლობა „მზიურის“ ტერიტორიაზე ვერ დაიწყება. გადავარჩინოთ თბილისის ფილტვები ქალაქის მთავრობის შემოჩენილი ტუბერკულიოზისგან“, - ამგვარი ლოზუნგით „კონსერვატორები“ ახალ მოძრაობას იწყებენ, რომლითაც ისინი აპირებენ დაიცვან საფრთხისგან თბილისში მდებარე იპოდრომი, „მზიური“ და ზოოპარკი.

დავითაშვილის განცხადებით, სულ მალე ზოოპარკსაც იგივე საფრთხე ემუქრება, რაც „მზიურსა“ და იპოდრომს.

## ასტემიროვა გადადგა, ახლა ვისი რიგია?

**ლტოლვილთა** და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვა გუშინ თანამდებობიდან გადადგა. იგი თავის გადაწყვეტილებას სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციას უკავშირებს და კატეგორიულად უარყოფს ამის მიზეზად იმ „აბსურდულ“ ბრალდებებს, რომელიც ლტოლვილთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდას უკავშირდება. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ეთერ ასტემიროვას რამდენიმე თვის წინ უსაყვედურა.

საგარეო საქმეთა ექსმინისტრის სალომე ზურაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ, მინისტრთა კაბინეტში მორიგი საკადრო გადაადგილება იგეგმება.

გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა თანამდებობა დატოვოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა. ამის მიზეზი კი პრეზიდენტის მიერ მთავრობის სხდომაზე მინისტრების მიმართ გამოთქმული პრეტენზია გახდეს. პრეზიდენტმა ჭიპაშვილსაც მიმართა და მას სატელეფონო ზარებზე პასუხის გაცემა და ხალხში გასვლა მოუწოდა.

თანამდებობა შესაძლოა ვერც სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა შეინარჩუნოს. მისი მუშაობით უკმაყოფილებას პარლამენტის აგრარული კომიტეტი გამოთქვამს და მისი პასუხისმგებლობის საკითხის დასმასაც აპირებს.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავაც შესაძლოა გადამდგარ მინისტრთა სიაში მოხვდეს. კულუარული ინფორმაციით, მმართველი პარტია მასზე იმ გამონათქვამების გამოა ნაწყენი, რომელიც ხაინდრავამ სალომე ზურაბიშვილის გადაყენების შემდგომ გააკეთა.

**ინტერპრესნიუსი**

ინტრიგა

# არაერთხელ გამომითქვამს საკუთარი მოსაზრება და არ დავთანხმებულვარ უმრავლესობას

## ამბობს უმრავლესობის წევრი ზურაბ დავითაშვილი

**პარლამენტარ ზურაბ დავითაშვილთან საუბარი სატელევიზიო სიუჟეტმა განაპირობა, სადაც მისი გვარი, საპარლამენტო უმრავლესობაში შედგენილ ე.წ. „შავ სიაში" დასახელდა. თურმე, განსხვავებული აზრის გამო, შეიძლება რამდენიმე დეპუტატმა უმრავლესობა დატოვოს.**

— ვფიქრობ, გაურკვეველი აჟიოტაჟი ატყდა, — ამბობს ზურაბ დავითაშვილი, — ვერავინ მითხრა, ვინ დგას ამის უკან, ან მაინცდამაინც ექვსი კაცი რატომ ამოგვარჩიეს და რა პრინციპით გაგვაერთიანეს. შეიძლება უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერები: მე, გუგული მაღრაძე, ირაკლი კენჭოშვილი ერთად მოგვიხსენიონ, რადგან ფრაქციისა თუ პლენარულ სხდომებზე განსხვავებული აზრი გამოგვითქვამს. რომან კუსიანსაც ჰქონია მსგავსი გამოსვლები, მაგრამ ვარლამ კილაძისგან და თამაზ ხიდაშელისგან ასეთი რამ არ მომისმენია. არადა, „შავ სიაში" ისინიც შეიყვანეს.

არა მგონია, განსხვავებული აზრი ყოფილიყოს საბაბი „შავი სიის" შესაქმნელად. მაშინ გამოდის, რომ იგი უმრავლესობამ შეადგინა, რაც ჩემთვის ძნელი დასაჯერებელია. ვფიქრობ, ჩვეულებრივი მოკლევადიანი სენსაცია უსაფუძვლო აჟიოტაჟია.

**— თუ არის შესაძლებელი, რომ ზოგიერთებმა მართლაც დატოვონ უმრავლესობის რიგები?**



— შესაძლოა, ვინმეს ცდუნებამ სძლიოს და პოპულარობის მოსაპოვებლად გადავიდეს კიდეც ოპოზიციაში, მაგრამ ამ ფაქტს საშინელებად არ აღვიქვამ. ეს პოლიტიკაა: ვიღაც გადავა სხვაგან, მათ მაგივრად ახალი წევრები მოვლენ. არ გამოვრიცხავ, გარკვეულმა ძალებმა მართლაც დატოვონ უმრავლესობა და ოპოზიციას შეუერთდნენ, მაგრამ ამ ე.წ. „შავი სიიდან", კი მათ შორის არავინ აღმოჩნდეს... წინასწარ ვერ გეტყვით, ხვალ ან ზეგ რა მოხდება.

არა ერთხელ გამომითქვამს საკუთარი მოსაზრება და არ დავთანხმებულვარ უმრავლესობას, არის შეცდომები, დაუფიქრებელი ნაბიჯებიც, მაგრამ, ვფიქრობ, საერთო გეზი სწორად არის აღებული. ყოველ შემთხვევაში, ამ ორ წელიწადში ბევრი რამ გააკეთა ჩვენმა ფრაქციამ, რომლის წევრიც ვარ. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 15 წლის მანძილზე ამდენი სასიკეთო რამ ქვეყანაში არ გაკეთებულა.

**— თქვენ ტელევიზიით ახსენეთ, რომ რაღაც უცნაურ მესიჯებს იღებდით...**

— მესიჯი მართლაც მივიღე. ხელს კონკრეტულად არავინ აწერდა. ეს იყო ფრაქციის სახელით გამოგზავნილი თხოვნა-შეტყობინება, თავი შემეკავებინა ზოგიერთ გადაცემაში მონაწილეობის მიღებისგან.

ამის შესახებ ფრაქციაშიც იმსჯელეს, ფაქტობრივად, შეცდომა გამოასწორეს და თქვეს, რომ პიროვნების გადასაწყვეტია, ამა თუ იმ გადაცემაში მონაწილეობის მიღება.

**— დავით ზურაბიშვილმა პროტესტის ნიშნად უმრავლესობის დატოვების შემდეგ ამ ფრაქციაში გამეფებულ შიშის ფაქტორზეც გაამახვილა ყურადღება. მართლა გაშინებთ ვინმე?**

— ასეთი რამის თქმა ნამდვილად გადამეტებულია. დავით ზურაბიშვილი თავად იყო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე და ვერ იტყვის, რომ მას კოლეგები აშინებდნენ.

სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ გადაწყვეტილებების მიღებაში აბსოლუტურად თავისუფალი ვარ.

**— ეთანხმებით თუ არა მისივე აზრს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე, ფაქტობრივად, არის გიგა ბოკერია?**

— ვერავინ იტყვის, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ვინმეს გადაწყვეტილებებს ასრულებდეს, რომ სინამდვილეში „რუხი კარდინალი" მართავს ამ პროცესებს და სხვები დაყენებული ფიგურები არიან. ამას ვერ დავეთანხმები.

გიგა ბოკერია უმრავლესობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელია პარლამენტში. იგი დასაბუთებულად საუბრობს. ამიტომ საქმეში ჩაუხედავი ადამიანი იფიქრებს, რომ რადგან გიგა მრავალ საკითხზე ლაპარაკობს, სინამდვილეში ის მართავს პროცესებს. მერწმუნეთ, ეს ასე არ არის.

**— როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის სალომე ზურაბიშვილისა და პარლამენტის ურთიერთდაპირისპირება?**

— სალომე ზურაბიშვილმა სამინისტროს მუშაობის საკუთრივ მისეული, ევროპული ქვეყნისთვის დამახასიათებელი მუშაობის სტილი შემოიტანა, რომელიც ვერ მოერგო ჩვენთან რეალურად მიღებულ მოდელს. ევროპული სტილის მიხედვით ელჩი არის საგარეო საქმეთა სამინისტროს რიგითი თანამშრომელი, რომელიც მივლინებულია საზღვარგარეთ, ანუ იგი მინისტრის უშუალო ხელქვეითია, შესაბამისად, ელჩსა და მინისტრს შორის გარკვეული იერარქიული საფეხურები არსებობს: ელჩი ჯერ უნდა დაუკავშირდეს დეპარტამენტის თავმჯდომარეს, შემდეგ — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, და ბოლოს, — საგარეო საქმეთა მინისტრს.



ჩვენთან კი ასე არ არის. ჩვენთან ელჩს ნიშნავს პრეზიდენტი და ამტკიცებს პარლამენტი, ანუ ეს არის თანამდებობა, რომელიც რანგით მინისტრს უთანაბრდება. წინა ხელისუფლების დროს მინისტრის გვერდის ავლით ელჩი უშუალოდ პრეზიდენტს უკავშირდებოდა, რაც მეორე უკიდურესობაა.

სალომე ზურაბიშვილის მინისტრობის დროს ელჩის არამცთუ პრეზიდენტთან, მინისტრთან დაკავშირებაც კი საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენდა, მას გარკვეული საფეხურები უნდა გაევლო, რამაც ელჩების უკმაყოფილება გამოიწვია.

ამას დაემატა პარლამენტის როლის უგულებელყოფაც. პარლამენტის საგარეო კომიტეტს უნდა სცოდნოდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ. ჩვენი კონსტიტუციით, საქართველოს საგარეო პოლიტიკას პარლამენტი განსაზღვრავს და არა საგარეო საქმეთა სამინისტრო. აქედან გამომდინარე, პარლამენტმაც შედარებით დამცირებულად იგრძნო თავი.

ჩემი სუბიექტური აზრით, ამ ყველაფერს დაემატა ქალბატონი სალომეს პიროვნული თვისებები.

**— ალბათ, სიხისტეს გულისხმობთ, ამაზე სხვებიც მიანიშნებდნენ...**

— დიახ. საგარეო საქმეთა მინისტრმა საერთო ენა უნდა გამონახოს ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. ამ მხრივ იგი მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, რამაც გარკვეული დაპირისპირება გამოიწვია. თუმცა, არავინ უარყოფს მის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას ამ სფეროში.

**— სალომე ზურაბიშვილის თქმით, მას გაუჭირდა ხელისუფლებაში მყოფ ძველი აზროვნების ადამიანებთან ურთიერთობა, თურმე უმრავლესობაში ერთმანეთზე აქვთ კომპრომატები და მზად არიან, კოლეგა „ჩაუშვან". მან საბჭოთა მეთოდებად მოიხსენია, თუნდაც სანახაობითი მხარით ხელისუფლების თავმოწონება.**

— შადრევნების გაკეთებასა და ფასადების შეღებვაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ბოლოს და ბოლოს ქალაქი ქალაქს უნდა დაემსგავსოს. ხოლო ვინც პოპულისტურ განცხადებებს აკეთებს, მათ ბევრ რამეში ვერ დავეთანხმები: ჩვენ რომ ყველას გავუსტუმროთ ანაბრების მთელი შემოსავალი და პენსიები ერთი ხელის დაკვრით გავზარდოთ, ორ-სამ თვეში მთელი ქვეყანა ნოლზე დაჯდება, ფაქტობრივად, დაიღუპება. სახელმწიფოს მართვა გაცილებით რთულია, ვიდრე პოპულისტური ნაბიჯების გადადგმა.

როდესაც ქვეყანაში გაჭირვებაა და საშუალო ხელფასი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, მოსახლეობა არის ე.წ. საპროტესტო ამომრჩეველი, ანუ ის ემოციებით აზროვნებს და არა — ლოგიკით, ამიტომ მხარს დაუჭერს იმას, ვინც ყველაზე ხმამაღლა და გაბედულად ლანძღავს ხელისუფლებას.

რაც შეეხება „ჩაშვებას", ეს სიტყვა ძალიან მაღიზიანებს, რადგან ქურდული ჟარგონია.

„ჩაშვება", ანუ დაბეზღება ტოტალიტარულ საზოგადოებას ახასიათებს, სადაც აკრძალულია თავისუფალი აზროვნება. ვთქვათ, ვინც ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს ან იტყვის ანეკდოტს მთავრობაზე და მას დააბეზღებენ სპეციალურ ორგანოში, ეს არის ჩაშვება.

ასეთი რამ საქართველოში ნამდვილად არ ხდება. ვისაც როგორ უნდა, ისე ლანძღავს ხელისუფლებას. გეკითხებით, მანქანა ფეხით მოსიარულეს რომ დაეჯახოს, უნდა დავრეკო თუ არა პოლიციაში და ვაცნობო მანქანის ნომერი? ეს ხალხი იტყვის, არა, ეგ რა ჩემი საქმეა, ხომ არ ჩავუშვებო?

**— ბატონო ზურაბ, თქვენ თქვით, რომ ხელისუფლებაში ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა, მაგრამ არის შეცდომებიც. კონკრეტულად, რას გულისხმობთ?**

— ჯერ დადებითზე მინდა გითხრათ: როგორც უნივერსიტეტის პროფესორი, ყოველთვის ვიამაყებ განათლების სისტემის რეფორმით. ეს არის წარმატებული რეფორმა, ვგულისხმობ ეროვნულ გამოცდებს და უნივერსიტეტის სტრუქტურის ცვლილებას. ამ უკანასკნელს ბევრი ეწინააღმდეგება, რომელთაც ვერ გაიაზრეს, რას ნიშნავს ბოლონიის პროცესი და რატომ კეთდება იგი.

სად წაუვალთ იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტი, ფაქტობრივად, გაორმაგდა, პენსიები და ხელფასები გაიზარდა. მართალია ფასებმაც მოიმატა, მაგრამ ეს ეკონომიკის კანონია. რაც მეტი ფული დატრიალდება ქვეყანაში, ფასებიც შესაბამისად იზრდება. ამაში ტრაგიკული ნამდვილად არ ვადანაშაულებ.

ბუნებრივია, შეცდომებიც არის: აღსადგენია ტერიტორიული მთლიანობა, ვერ დაიწყო წარმოების პროცესის სწრაფი ტემპით განვითარება და შემცირებულია ინვესტიციების ჩადება, ასეთ დროს, ბუნებრივია, უკმაყოფილებაც იარსებებს.

ვფიქრობ, კულტურის ძეგლი წინანდელი არ უნდა გასხვისდეს. ამასთან დაკავშირებით მრავალი კითხვა მებადება. ვიდრე სათანადო საკანონმდებლო ბაზა არ შემუშავდება, რომელიც ამ კომპლექსისთვის ოდნავ ზიანს მიაყენებსაც გამორიცხავს, გამიჭირდება მხარდაჭერა მისი იჯარით გაცემის. მსგავსი რამეები კიდევ არსებობს. ყველას ვერ ჩამოვთვლი.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

ინფორმაცია

### ზუგდიდში აქციებით იმუქრებიან

**იმ შემთხვევაში**, თუ ორშაბათამდე ზუგდიდის რაიონის გამგებელი არ შეცვლის რაიონის გამგეობის მიერ რვა თვის წინათ გამოცემულ განკარგულებას და არ გაიხსნება ბაზრის ცენტრალური შესასვლელი კარი, ბაზრის 285 მოვაჭრე გამგებლის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციის გამართვით იმუქრება.

ამის შესახებ, ცენტრალურ ბაზარში გამართულ პრესკონფერენციაზე მოვაჭრეების ინტერესების დამცველმა, იურისტმა თემურ თოლორაიამ განაცხადა.

მისი განცხადებით, ხელისუფლება ცდილობს საკუთრების ხელყოფას და ამის გამოხატულებაა ბაზრის ცენტრალური შესასვლელის გაუქმება.

ცენტრალური კარის დაკეტვის შემდეგ, ხელისუფლების მხრიდან არ შემოთავაზებულა ალტერნატივა, თუ როგორ უნდა მოხვდნენ კლიენტები ცენტრალური ბაზრის ტერიტორიაზე.

### პროვოკაციად აფასებს

**„მერაბ კოსტავას საზოგადოებაში"** ვაჟა ადამიას დაკავებას „პროვოკაციად" აფასებენ და ამ ფაქტს საზოგადოებისა და მისი თავმჯდომარის დისკრედიტირების მცდელობად მიიჩნევენ.

ამის შესახებ, „მერაბ კოსტავას საზოგადოების" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე საზოგადოების გამგეობის წევრმა დავით კუპრეიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, „თელასის" თანამშრომლები ზანდუკელის ქუჩაზე უკანონო სადენებს ამოწმებდნენ. მათ შენიშნეს ერთ-ერთი სადენი, რომელიც პედაგოგიკის ინსტიტუტის შენობის თავზე გადადიოდა და ადამიას სახლთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

— ამის მიუხედავად, „თელასის" თანამშრომლები 600-ლარიანი საჯარიმო აქტის შედგენას მაინც შეეცადნენ. აღნიშნულის გამო, „თელასის" თანამშრომლებსა და ვაჟა ადამიას მამას ზურაბ ადამიას შორის ურთიერთშელაპარაკება, შემდგომ ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოხდა, რის საფუძველზეც ადამიას ტვინის შერყევა აქვს, — განაცხადა კუპრეიშვილმა.

მისივე თქმით, აღნიშნულ ინციდენტში ჩართო ვაჟა ადამიაც. მას თავის დაცვა მოუხდა და გამაფრთხილებელი გასროლა მოახდინა ასფალტის მიმართულებით, რის შედეგადაც ანასხლეტი ტყვიით „თელასის" ერთ-ერთი თანამშრომელი დაიჭრა. საზოგადოებას მიაჩნია, რომ მომხდარი ინციდენტი წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია იყო.

ინტერპრესნიუსი

დედაქალაქი

# იპოდრომი საბურთალოზე უნდა დარჩეს!

**ძვირფასო რედაქცია, გთხოვთ ჩვენი ხმა მიაწვდინოთ მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს.**

ბოლო ხანს დედაქალაქელთა ყურადღება გამოიწვია იპოდრომის თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გადატანის ამბავმა. იპოდრომის ადგილზე კი, ერთ-ერთი სამშენებლო კომპანია მრავალსართულიანი სახლების მშენებლობას გეგმავს. სპეციალისტთა აზრით, იპოდრომის ტერიტორია ჭაობიანია, ნიადაგი მეღავ ქანებს ეყრდნობა, სეისმურად განსაკუთრებით საშიშია, ყოველივე ეს კი თითქმის გამორიცხავს მრავალსართულიანი სახლების მშენებლობის შესაძლებლობას.

მცდარია აზრი, რომ იპოდრომი ქალაქგარეთ უნდა მდებარეობდეს და ამის მაგალითად ევროპის ქალაქებიც გამოდგება. თბილისის იპოდრომი, თავისი უნიკალური და იშვიათი ტყე-პარკით დედაქალაქის დიდი უბნის მცხოვრებთა დასასვენებელი და გამაჯანსაღებელი ადგილია. მაგრამ მიგვაჩნია, რომ იპოდრომის, როგორც სპორტის ულამაზესი სახეობის — ცხენოსნობის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის უმნიშვნელოვანესი ობიექტის დღევანდელი ადგილმდებარეობა, სწორედ რომ ზედგამოჭრილია. აუცილებელია იპოდრომის არა სხვაგან, ქალაქის ცენტრიდან მოშორებით გადატანა, არამედ აქვე, საბურთალოზე, ხელისუფლების მხრიდან დაუყოვნებლივ თანადგომითა და ძალისხმევით, იპოდრომის კვლავაც დღოლის, ცხენბურთისა და სხვა საცხენოსნო სანახაობათა ადგილად შენარჩუნება და განმტკიცება.



დარწმუნებული ვართ, ქვეყნის პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერითა და მონდომებით თბილისის იპოდრომი კვლავაც საბურთალოზე შეძლებს თანამედროვე სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრად ჩამოყალიბებას.

**საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის სახელით, პროფესორები: დემურ ბაზელიშვილი, გიორგი თოთიბაძე, მერაბ მერაბიშვილი, ზურაბ ლეჟავა, თენგიზ ლეჩიაშვილი, ლევან მხიძე, ლევან ჭაჭიაშვილი, კიაზო ნახუცრიშვილი, როლანდ კალანდაძე, სულხან ქემოკლიძე, თენგიზ მქმარიაშვილი, ვახტანგ ხუციძე, გიორგი ჩახუნაშვილი, ზაქარია თელია, იგორ დოლიძე.**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# საქართველო-სამხრეთ ოსეთი-აფხაზეთი: ამერიკელთა ჩარევა და ომის გაჩაღების საფრთხე

რეგნუმ საინფორმაციო სააგენტო, 4 ნოემბერი.

**ოფიციალური თბილისი ყოველმხრივ ცდილობს, ჩაშალოს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების სამშვიდობო მისია და ოთხმხრივი მოლაპარაკების ფორმატი. როგორც ცნობილია, ამ მომენტისთვის სამხრეთ ოსეთში მშვიდობას ინარჩუნებს დსთ-ს კონტინგენტი, რომელიც, ძირითადად, რუსი მშვიდობისმყოფლებითაა დაკომპლექტებული, კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკება კი მიმდინარეობს შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში, რომლის თანათავმჯდომარეები არიან რუსეთი, საქართველო, ჩრდილოეთ ოსეთი და თვით სამხრეთ ოსეთი.**



საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს არაერთგზის განუცხადებია, რომ შეერთებული შტატები და ევროკავშირი მზად არიან, მხარი დაუჭირონ საქართველოს ამ პრობლემის გადაჭრაში, თავის მხრივ, ვაშინგტონმა დაადასტურა, რომ დაინტერესებულია ამით. ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს პარლამენტმა მიიღო ულტიმატუმის ხასიათის დადგენილება, რომელშიც, ფაქტობრივად, დაასახელა კონფლიქტის ზონებიდან რუსი მშვიდობისმყოფლების გაყვანის პროცედურის დაწყების პირობები და ვადები.

ამჟამად სულ უფრო ნათლად ვლინდება, რომ საქართველოს ხელისუფლებას სურს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმართ თავისი პოლიტიკის უფრო მკაფიოდ დივერსიფიცირება. თავის მხრივ, სოხუმი და ცხინვალი ამას უპირისპირებენ კოორდინირებულ პოლიტიკას, რასაც მოწმობს ამ ორი თვითაღიარებული რესპუბლიკის ლიდერების მიერ დადებული ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ. პრინციპში, შეიძლება იმის თქმა, რომ სადღეისოდ, თბილისს არ გააჩნია ერთბაშად ორი მიმართულებით — ოსეთის და აფხაზეთის ფრონტებზე საომარი მოქმედების წარმართვის შესაძლებლობა, და სწორედ ეს ზღუდავს მას სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედების დაწყებისგან. საქართველოს არასდროს არ ჰქონდა და არც ახლა აქვს დაგეგმილი სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის კონფლიქტების ერთდროული მოგვარება. საქართველოს იურისდიქციის გავრცელება სამხრეთ ოსეთში უნდა გამხდარიყო აჭარაში ასლან აბაშიძის დამხობისთვის გამიზნული წარმატებული ოპერაციის შემდეგ გადადგმული მეორე ნაბიჯი. ამრიგად, სამხრეთ ოსეთი იყო თავისებური შუალედური რგოლი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში რგოლები ერთმანეთს დაუკავშირდნენ. ამავე დროს, თუ ქართულ-ოსური კონფლიქტის საომარი გზით მოგვარების საშუალებას თბილისში მთელი სერიოზულობით განიხილავენ, აფხაზეთის კონფლიქტი უფრო რთულ კვანძს წარმოადგენს, და მისი გაჭრა სააკაშვილს დაგეგმილი აქვს მოლაპარაკების გამართვის გზით, რომელშიც უშუალოდ ჩაებმებიან ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირის მთელი რიგი ქვეყნები.

ასევე აშკარაა, რომ ქართული მხარე სადღეისოდ, პრაქტიკულად გამორიცხავს არსებული ფორმატებით მოლაპარაკების შედეგად თანხმობის მიღწევის შესაძლებლობას. ეს ეხება როგორც სამხრეთ ოსეთს, ისე აფხაზეთს. ყოველივე ამას, კერძოდ, მოწმობს ის ფაქტი, რომ საქართველოს ოფიციალურმა პირებმა, არსებითად, უარი თქვეს უშუალოდ მეამბოხე რეგიონების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაზე, თუმცა, ეს უკანასკნელნი ამისთვის მზად არიან. ამის ნაცვლად, თბილისი ცდილობს საკითხი გადაიტანოს რუსეთთან ურთიერთობის სიბრტყეში. პარალელურად საქართველო ემზადება ორ ფრონტზე შესაძლო ომისთვის. 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქისთვის ცეცხლის დაშენის და ამაზე აფხაზეთის პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის რეაგირების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებას, პრინციპში, სხვა გზა აღარც რჩება.

2005 წელს საქართველოში გათვალისწინებულია უპრეცედენტო საბიუჯეტო ანარიცხები თავდაცვის სფეროში. შეიარაღების მოდერნიზაციისა და პირადი შემადგენლობის შევსებისთვის საქართველოს ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს მიმდინარე წელს დახარჯოს თითქმის 325 მილიონი დოლარი, ანუ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 6 პროცენტი. მაგრამ ეს საქართველოს სამხედრო ხარჯების მხოლოდ ნაწილია. 2004 წელს ამერიკელთა მიერ გაწეულმა სამხედრო დახმარებამ შეადგინა 12 მილიონი დოლარი. 2003-2005 წლებში ქართული არმიის განვითარებისთვის შეერთებულმა შტატებმა დახარჯა დაახლოებით 70 მილიონი დოლარი. 2006 წლისთვის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კონგრესს მოსთხოვა კიდევ 12 მილიონი დოლარი „თავდაცვითი მიწოდებებისა და მომსახურების“ ანაზღაურებისთვის, და 1,2 მილიონი — სამხედრო კადრების მომზადებისთვის.

საგრძნობი ფინანსური და საკონსულტაციო დახმარება საქართველოს მხარეს აქვს თურქეთისგანაც, რომელმაც 1997 წლიდან ამ მიზნებით საქართველოს გამოუყო 40 მილიონ დოლარზე მეტი. საბოლოო ანგარიშით, საქართველოს მხარემ ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მკვეთრად გაზარდა სამხედრო აქტიურობა კონფლიქტურ ზონებში. მიმდინარე წლის ნოემბერში აფხაზეთის მოსაზღვრე ზუგდიდის რაიონში საქართველო აპირებს ააშენოს „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ყველაზე თანამედროვე“ სამხედრო ბაზა. ზოგიერთი მონაცემით, იქ დისლოცირებული იქნება დაახლოებით 3 ათასი სამხედრო მოსამსახურე. ჯარების კონცენტრაცია შეინიშნება ასევე სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე გორის რაიონშიც, სადაც გადაყვანილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-4 ბრიგადა და რამდენიმე ათასი რეზერვისტი.

სწორედ ამ ფონზე წარმოადგინა ოფიციალურმა თბილისმა სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოწესრიგების გეგმა, რომელსაც დაუყოვნებლივ დაუჭირა მხარი შეერთებულმა შტატებმა. ამ ქვეყნის სახელმწიფო დეპარტამენტთან დაახლოებული ანალიზური წრეების წარმომადგენელთა მტკიცებით, „სააკაშვილის გეგმა“ ვაშინგტონში დაიწერა. ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკის მხარემ მიაღწია იმას, რომ მიიღებს მონაწილეობას დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების პროცესში, ახლა კი მჭიდროდ მიუახლოვდა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგებისთვის მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ხელისუფლების მილიტარისტული მანევრი სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ მოახდინოს ზემოქმედება მოლაპარაკების მონაწილეებზე, განსაკუთრებით კი — მოსკოვზე, რათა უზრუნველყოს ამ პროცესში შეერთებული შტატების ჩაბმა. ეს მისია თუ ჩაიშლება, საქართველო შეწყვეტს მოლაპარაკებას, მოითხოვს სამშვიდობო ძალების გაყვანას ჯერ სამხრეთ ოსეთიდან, შემდეგ კი — აფხაზეთიდან, და, საბოლოო ანგარიშით, დაიწყებს საომარ მოქმედებას.

რაც შეეხება რუსეთის მხარეს (საქართველოში რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა არ გამორიცხა შერეული საკონტროლო კომისიის მოლაპარაკების ფორმატში ამერიკელთა მონაწილეობის შესაძლებლობა), იგი ეცდება საქმე არ მიიყვანოს კრიტიკულ ნიშნულამდე, თუმცა, მზად იქნება ნებისმიერი ნეგატიური სცენარისთვის. ამ შემთხვევაში საქართველოს მიერ განხორციელებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს თავისი (ამერიკელების) ინტერესების დაპირისპირებას რუსეთის ინტერესებისადმი, შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვს უკარნახებს ასეთი ნაბიჯების გადადგმას: კონფლიქტების ზონებში სამშვიდობო ძალების შეცვლა რეგულარული ჯარებით, რუსეთის მოქალაქეებით დასახლებული კონფლიქტური რეგიონების დიპლომატიური აღიარება, და აგრესიის შემთხვევაში ადეკვატური პასუხის გაცემისთვის მზადყოფნა.

## სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას რუსეთის მხარეს გზა გაჰყავს ქართული სოფლების გვერდის ავლით

რეგნუმ საინფორმაციო სააგენტო, 4 ნოემბერი.

**რუსეთის „ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო საგზაო საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ ორგანიზაციამ შეასრულა სამხრეთ ოსეთში ზარის გზის მშენებლობის პროექტები. ამჟამად ორგანიზაცია ახორციელებს სამუშაოებს ამ პროექტების მიხედვით, გვაცნობეს სამხრეთ ოსეთის მთავრობაში.**

ოსური სოფელი ზარი მთებშია განლაგებული, ამიტომაც მშენებლებს მოუწევთ შეძლებისდაგვარად შეცვალონ გზის მარშრუტი, გვერდი აუარონ ძნელად გასავალ ადგილებს. ეს შეამცირებს სატრანსპორტო არტერიის სიგრძეს. როგორც ცნობილია, წვიმიან ამინდში ზარის გზა ვერ მოქმედებს. ეს გზა სამხრეთ ოსეთს დაუკავშირებს ტრანსკავკასიურ ავტომაგისტრალს საქართველოს 4 სოფლის — თამარაშენის, აჩაბეთის, კეხვის, ქურთას გვერდის ავლით. ამ სოფლების მოსახლეობამ მიმდინარე წლის ზაფხულში არაერთხელ გადაკეტა ცხინვალი-ქურთის გზა, რითაც სამხრეთ ოსეთს გადაუკეტა რუსეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი სატრანსპორტო არტერია.

## სუამს მიაჩნია, რომ რუსეთის სამხედრო ყოფნა მოლდავეთსა და საქართველოში ხელს უშლის კონფლიქტების მოწესრიგებას

„როსბიზნესკონსალტინგის“ საინფორმაციო სააგენტო, 4 ნოემბერი.

**კიშინიოვი. რეგიონული გაერთიანების სუამის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდავეთი) წევრი-ქვეყნები მხარს უჭერენ მოლდავეთის და საქართველოს ტერიტორიებიდან რუსეთის ჯარების გამოყვანას, მიაჩნიათ, რომ ამ ქვეყნებში რუსეთის სამხედრო ყოფნა ხელს უშლის კონფლიქტების მოწესრიგებას. ეს ხაზგასმულია სუამის წევრი-ქვეყნების ერთობლივ განცხადებაში, რომელიც გამოაქვეყნეს 4 ნოემბერს ვენაში, ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომის დროს.**

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთის ჯარების გაყვანა ეუთოს სტამბოლის 1999 წლის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, დააჩქარებს პოლიტიკური, ეკონომიკური და უშიშროების პრობლემების მოწესრიგებას, გააადვილებს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ადაპტირებული ხელშეკრულების ამოქმედებას.

ამასთან, სუამში დარწმუნებული არიან, რომ სეპარატისტული რეგიონების დემოკრატიზაცია და დემილიტარიზაცია არის იმ სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ყველაზე საიმედო გზა, რომლებშიც მდებარეობენ ეს კონფლიქტური რეგიონები.

დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია, რომ სუამის სახელმწიფოებში კონფლიქტების მოწესრიგება ხელს შეუწყობს იმას, რომ ეს სახელმწიფოები უფრო აქტიურად ჩაებან საერთაშორისო ტერორიზმის, ნარკოტიკებით, იარაღითა და ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე, განამტკიცებს რეგიონულ და საერთაშორისო უშიშროებას.

გარდა ამისა, განცხადების ავტორებს მიაჩნიათ, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ნატომ დაუჭიროს მხარი სუამის ქვეყნებს ამ მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევაში.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა შეაფასა სუამის და ნატოს თანამშრომლობა და აღნიშნა, რომ საჭიროა თანამშრომლობის განმტკიცება და საქმიანობის კოორდინირება სხვა ორგანიზაციებთან.

**ინფორმაცია**

## ნინო ბურჯანაძე ქუთაისში

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ ადგილობრივ მთავრობას შეხვდა.**

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ქუთაისის მთავრობის წევრებთან განაცხადა, ისევე, როგორც მიმდინარე წელს, 2006 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიც ძირითადად ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. ქუთაისში გზებისა და ფასადების შეკეთებისთვის 8 მლნ. ლარამდე დაიხარჯა. აქედან ტრანსფერის სახით ცენტრალური ბიუჯეტიდან 5 მლნ. ლარი ჩაირიცხა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბურჯანაძემ შეხვედრის შემდეგ განუცხადა, მისი ძალისხმევით მომავალ წელს ტრანსფერის გაზრდა იგეგმება.

ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ქუთაისის №23 საშუალო სკოლაშიც მივიდა, სადაც მოსწავლეებს კომპიუტერები გადასცა საჩუქრად.

## საგარეო უწყებაში რეორგანიზაცია იგეგმება

**საგარეო საქმეთა სამინისტროში რეორგანიზაცია დაიწყება.**

ამის შესახებ განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე გააკეთა. მისი თქმით, იგი გააძლიერებს სამინისტროს საქმიანობის უსაფრთხოების ნაწილს. უახლოეს მომავალში შეიქმნება კონფლიქტების მოგვარების ჯგუფი, რომელიც 24-საათიან რეჟიმში, სხვა უწყებებთან კოორდინაციაში იმუშავებს.

მინისტრის განცხადებით, საგარეო უწყება აქტიურად ითანამშრომლებს პარლამენტთან. საპარლამენტო მდივნად კი მინისტრის მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი დაინიშნება.

„საგარეო უწყებას და პარლამენტს გარკვეულ საკითხებზე, შესაძლოა, განსხვავებული ხედვა ჰქონდეთ, მაგრამ საერთო სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით პოზიცია ერთიანი იქნება“, — აღნიშნა გელა ბეჟუაშვილმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, სამინისტროში არის პროფესიული კადრების სიმწირე და კადრების შერჩევის სისტემა აუცილებლად შეიცვლება და დაიხვეწება. როგორც ბეჟუაშვილი აცხადებს, ახალი კადრის მიღებისას გათვალისწინებული იქნება კარგი რეკომენდაცია, თუნდაც პარლამენტის მხრიდან, მაგრამ, საკითხი მაინც სისტემურად განიხილება.

## ვისმა თვითმფრინავმა გადაიფრინა?

**სამშვიდობოებმა** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გამოუცნობი ვერტმფრენი დააფიქსირეს.

„ვერტმფრენმა დასახლებულ პუნქტებს მუგუტუს, იონჩას და სუნისს დაახლოებით 1 500 მეტრის სიმაღლეზე გადაუფრინა“, — აცნობა „რია ნოვოსტის“ რუსეთის ჩრდილო-კავკასიის სამხედრო შტაბის პრესსამსახურის წარმომადგენელმა.

მისი თქმით, ინციდენტი ხუთშაბათს, 3 ნოემბერს მოხდა. ვერტმფრენის კუთვნილება დადგენილი არ არის. ამავე დროს პრესსამსახურის წარმომადგენელმა არ გამორიცხა, რომ საუბარი შესაძლოა ქართულ ვერტმფრენზეც იყოს.

კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების სარდლობა შერეული საკონტროლო კომისიის უახლოეს სხდომაზე მსგავსი ქმედების დაუშვებლობის საკითხს დააყენებს.

**ინტერპრესნიუსი**

# ევროკავშირი გამოიძიებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ევროპული „გულაგის“ არსებობის საკითხს

**პოლონეთი და რუმინეთი მოექცნენ სკანდალის ცენტრში მას შემდეგ, რაც ევროპის კომისიამ განაცხადა, რომ აპირებს გამოიძიოს ინფორმაცია ამ ქვეყნებში საიდუმლო საპყრობილეების არსებობის შესახებ, რომლებშიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები ახორციელებენ „ალ-ქაიდას“ ეჭვმიტანილი ტერორისტების დაკითხვას.**




ასეთმა მტკიცებამ ევროპელი პოლიტიკოსების აღშფოთება გამოიწვია და ყოველივე ეს თუ გამართლდება, რუმინეთის გაწევრიანება ევროკავშირში შესაძლოა გადაიდოს.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ახსნა-განმარტება მოსთხოვა შეერთებულ შტატებს ამ ბრალდების თაობაზე და მოითხოვა საპყრობილეების დათვალიერების ნებართვა, თუკი ასეთები ნამდვილად არსებობენ. ევროკომისიამ და ევროპის საბჭომ კი განაცხადეს, რომ ეცდებიან დაადგინონ, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს ბრალდება.

Human Rights Watch სამართალდამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო საიდუმლო ციხეებს იყენებდა ეჭვმიტანილთა დასაკითხად იმ ადგილებში, რომლებიც არ შედიან ამერიკის კანონის იურისდიქციის სფეროში და მოშორებული არიან ოფიციალური კონტროლისგან. ეჭვმიტანილთა გადასაყვანად ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო იყენებდა „ბოინგ-757“ თვითმფრინავს, რომელიც ქაბულიდან ასრულებდა რეისებს ვარშავის ჩრდილოეთით მდებარე Szymany აეროდრომისკენ, ამის შემდეგ კი თვითმფრინავი იღებდა გეზს რუმინეთის კონსტანცის ნავსადგურის მახლობლად მდებარე სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზისკენ.

ბრალდება გამოთქვა გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“, რომელმაც მხოლოდ ის მიანიშნა, რომ საიდუმლო საპყრობილეები მდებარეობდა აღმოსავლეთ ევროპაში, ყოფილ საბჭოთა სატელიტ ქვეყნებში.

ამასთან დაკავშირებით, რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა კალინ პოპესკი-ტრიჩანუმ განაცხადა: „კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რუმინეთში არ არის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბაზა“. პოლონეთის პრეზიდენტის ალექსანდრ კვასნევსკის თანაშემწემ კი აღნიშნა, რომ ხელისუფლებას „არ გააჩნია ინფორმაცია“ პოლონეთის ტერიტორიაზე ასეთი ობიექტების არსებობის შესახებ.

პოლონეთმა, როგორც ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ, მოაწერა ხელი ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ კონვენციას და ევროპულ ხელშეკრულებას, რომლის მეექვსე მუხლი მოითხოვს ძირითად უფლებათა დაცვას. თეორიულად, ამ უფლებათა დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ პოლონეთს ჩამოართვან ხმის უფლება ევროკავშირში, თუმცა, ეს ნაკლებად სარწმუნოა.

რუმინეთის პრობლემა კი გაცილებით მწვავედ დგას. გასულ კვირას ევროკომისიამ განაცხადა, რომ რუმინეთის გაწევრიანება ევროკავშირში, რომელიც 2007 წლისთვის არის დაგეგმილი, შეიძლება გადაიდოს მთელი რიგი პრობლემების გამო, კერძოდ, ქვეყანაში დიდი ხარვეზებით მიმდინარეობს ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. ყველა ის ქვეყანა, რომლებსაც სურთ ევროკავშირში შესვლა, უნდა აკმაყოფილებდნენ ეგრეთ წოდებულ „კოპენჰაგენის კრიტერიუმებს“, რომლებიც ითვალისწინებენ ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვას. ამიტომ, ამ ბრალდებამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ევროკავშირში რუმინეთის გაწევრიანების პერსპექტივას.

# ბუში ოპონენტებთან შესახვედრად ემზადება

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ჩავიდა არგენტინაში, სადაც იგი მონაწილეობას მიიღებს ამერიკის კონტინენტზე ცხოვრების დონის ამაღლების პრობლემებისადმი მიძღვნილი ორდღიანი პანამერიკული სამიტის მუშაობაში.**

როგორც მეთვალყურეები ვარაუდობენ, პრეზიდენტი სამიტის მონაწილეებს მოუწოდებს თავისუფალი ვაჭრობისა და მეწარმეობის გაფართოების, აგრეთვე, დემოკრატიის განვითარებისკენ.

სხდომაზე ბუშს მოუწევს შეხვედრა ძველ ოპონენტებთან — კუბის ლიდერთან ფიდელ კასტროსთან და ვენესუელის პრეზიდენტთან უგო ჩავესთან. ეს უკანასკნელი, სხვათა შორის, აპირებს ანტიამერიკულ საპროტესტო აქციაში მონაწილეობას.

იქვე ანტიგლობალისტები ელიან ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას და ბოლივიის პრეზიდენტობის კანდიდატის ევო მორალესის მისვლას, რომელმაც სახელი გაითქვა იმით, რომ აგიტაციას ეწევა კოკაინის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის — კოკას მოვლა-მოყვანის ლიბერალიზაციის სასარგებლოდ.

როგორც მოელიან, ბუენოს-აირესიდან სპეციალური სარკინიგზო შემადგენლობით სამიტის გამართვის ადგილზე — საკურორტო ქალაქ მარ-დელ-პლატაში ჩავლენ ასევე ცნობილი კინორეჟისორი ემირ კუსტურიცა და კუბელი მომღერალი სილვიო როდრიგესი. იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ილაშქრებენ გლობალიზაციის წინააღმდეგ და არ ეთანხმებიან შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებულ პოლიტიკას, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრის დროს აპირებენ თავიანთი „სახალხო სამიტის“ გამართვას.

შეერთებულ შტატებს მიაჩნია, რომ თავისუფალი ვაჭრობა არის სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალება, მაგრამ უგო ჩავესმა უკვე წინასწარ განაცხადა, რომ უარყოფს ნებისმიერ ისეთ დეკლარაციას, რომელიც მხარს დაუჭერს რეგიონის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის ლიბერალიზაციას.



# ფრინველის გრიპის ახალი ეპიდემია აზიაში



**ჩინეთის და ვიეტნამის ხელისუფლებამ დაადასტურა ინფორმაცია ამ ქვეყნებში ფრინველის გრიპის გავრცელების ახალი შემთხვევების შესახებ.**

როგორც იტყობინებიან, ჩინეთის ლიაონინის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციაში გაწყდა დაახლოებით 9 ათასი ფრთა შინაური ფრინველი, რის გამოც, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებული გახდნენ, დაეხოცათ კიდევ ათასობით ფრთა ფრინველი ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

1 ნოემბერს განხორციელებულმა ლაბორატორიულმა ტესტებმა დაადასტურეს, რომ ფრინველები დაიღუპნენ H5 კოდით ცნობილი საშიში ფორმის გრიპის შედეგად.

ჩრდილოეთ ვიეტნამის პროვინციებში ვირუსმა იმსხვერპლა 3 ათასზე მეტი ქათამი, იხვი და ბატი. გარდა ამისა, ამჟამად იკვლევენ ერთი ადამიანის ანალიზის შედეგებს, რომელიც, სავარაუდოდ, ფრინველის გრიპით უნდა იყოს დასნეულებული.

ახალი ინფექციის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩინეთში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელშიც მთავრობის ექვსი წევრი შევიდა. ჩინეთში ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა ადამიანების დაავადების შემთხვევები, თუმცა, წინათ ფრინველის გრიპის გავრცელება შეინიშნებოდა ჰუნანის, შიდა მონღოლეთის და ანჰუეის პროვინციებში.

ჩინეთის ხელისუფლებამ აღიარა, რომ გაღებული ძალისხმევის მიუხედავად, ფრინველის გრიპთან დაკავშირებული სიტუაცია სულ უფრო შემაშფოთებელი ხდება.

2003 წლიდან H5N1 ვირუსმა აზიაში იმსხვერპლა სულ ცოტა 60 ადამიანის სიცოცხლე.

# მოკლედ



**ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ კამიკაძე ემზადება მილანის სტადიონზე მის ასაფეთქებლად. ასეთი სიგნალი ამერიკიდან მოვიდა, და ამის შესახებ ბერლუსკონიმ ილაპარაკა გაზეთ „ლიბეროსთვის“ მიცემულ ინტერვიუში. ბერლუსკონიმ, კორესპონდენტთან საუბრისას, ასევე დაადანაშაულა მემარცხენე ცენტრისტები, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ არ არის საჭირო ბუშის დარწმუნება ერაყში ომის შეწყვეტის აუცილებლობაში, რითაც ქვეყნის მთავრობის მეთაურს ტერორისტების სამიზნედ აქცევენ.**

* * *

**ამერიკელთა უმრავლესობას ეჭვი ეპარება ბუშის პატიოსნებაში. შეერთებულ შტატებში განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამერიკელთა 58 პროცენტს ეჭვი ეპარება პრეზიდენტის პატიოსნებაში, 67 პროცენტი კი უარყოფითად აფასებს მისი ადმინისტრაციის საქმიანობას.**

* * *

**არაბეთის ზღვაში გადაბრუნდა ბორანი, რის შედეგადაც დაიღუპა 60 კაცი. ინციდენტი მოხდა პაკისტანის სანავსადგურო ქალაქ კარაჩიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 180 კილომეტრზე. პაკისტანის ფლოტის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მყვინთავები ეძებენ დაღუპულთა გვამებს. სხვა დაწვრილებითი დეტალების შესახებ ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან.**

* * *

**კვლავ გრძელდება უწესრიგობები პარიზის გარეუბნებში. სამართალდამცავი ორგანოების წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უწესრიგობის ეპიცენტრად კვლავ რჩება სენა-სენ-დენის დეპარტამენტი, სადაც მთელ რიგ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში გამოვლინდა ავტომობილებისთვის ცეცხლის წაკიდების მცდელობის, აგრეთვე, პოლიციელებთან ახალგაზრდების ჯგუფის რამდენიმე შეტაკების შემთხვევები.**

* * *

**ყველაზე ძვირფასი ექსკლუზიური ჯინსი შეიქმნა 2003 წლის დამდეგს. შარვალი, რომელიც დამშვენებულია ოქროთი, ბრილიანტებით და ლალებით, 85 ათას დოლარად არის შეფასებული.**



№ 257-258. შაბათი, 5 ნოემბერი, 2005 წელი.

## ◉ გენერალისიმუსის გზა

*გამვლელო, შეჩერდი;
მე უკვე შინ ვარ.
შენ კი კვლავაც
სტუმარი ხარ!*

სტალინის ეპიტაფია

**...სტალინი უაღრესად თავისებური კაცი იყო. არავის, არსად და არასდროს აჩვენებდა არც თავის სიხარულსა და არც სევდას. და არც არასდროს ჰყოლია ამქვეყნად სულიერად ახლობელი, რომელსაც გულს გაუხსნიდა, არავის აძლევდა მიახლოების საშუალებას, ყველასაგან განდგომით იდგა. არც არასდროს განუცდია ქალისადმი მგზნებარე სიყვარული. ერთობ სწრაფად ყირჭდებოდა ქალური კეკლუცობა. ერთადერთი, რაც მის ძარღვებში ცქაფად, დენთივით ფეთქდებოდა, — ეს გახლდათ პოლიტიკა. პოლიტიკა იყო მისი სამყარო, მისი რაობა. ისევე, როგორც ყველა შეყვარებული მზად არის გასწიროს თავი სატრფოს ბედნიერებისათვის, ასევე იგი უშურველად თავს დებდა პოლიტიკისათვის, მოთმინებით იტანდა ნებისმიერ ცხოვრებისეულ გამოცდას. რამდენჯერ გადაასახლეს და გამოიქცა გადასახლებიდან. რა და ვინ არ შეხვედრია პოლიტიკის გზაზე, ბევრი რამ უნახავს, მაგრამ თავისი ბედნიერება მაინც პოლიტიკაში პოვა.**

**კოჩკენ საქტანოვი**

**პირველი ნაწილი**

# სტალინის შემდეგ



უკანასკნელად გადასახლებიდან 1917 წელს მარტში გამოიქცა. იმ წელს ვერ იპოვიდი კაციშვილს, რომელიც დაგიჯერებდა, რომ რაღაც ხუთი წლის შემდეგ იგი ნახევარ მსოფლიოში გადაჭიმული დიადი ქვეყნის გენერალური მდივანი გახდებოდა. იმ ხანად იგი ჯერ კიდევ იყო რიგითი რევოლუციონერი, ერთი მრავალთაგანი, მაგრამ რევოლუციის, განსაკუთრებით სამოქალაქო ომის, წლებში, თუმცა ხალხში არ ჩნდებოდა, მასების წინაშე არ წარმოთქვამდა მგზნებარე სიტყვებს, მაგრამ გაზეთის ფურცლებიდან მისი სახელი უკვე ცნობილი ხდება. რევოლუციის ლიდერები, ლენინის მეთაურობით, რომლებმაც თავიანთი მხრებით ახალ გარდაქმნათა მძიმე ტვირთის ზიდვა იკისრეს, თავიანთი უმრავლესობით, ორატორები და ტრიბუნები იყვნენ და ამით გამოიჩინეს თავი. სტალინმა შეძლო თავის წარმოჩენა როგორც წესიერმა და უნარიანმა პარტიულმა აპარატის მუშაკმა, რომელიც საგულდაგულოდ და უმწიკვლოდ ეწეოდა საკანცელარიო ჭაპანს. პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობა თავდაპირველად გადამწყვეტი არ ყოფილა, მის ფუნქციებში შედიოდა მხოლოდ სამდივნოს მუშაობის წარმართვა, შიდაპარტიული საქმეების წარმოება, მაგრამ თანდათანობით იგი მეტ წონას იძენდა, ხოლო ლენინის გარდაცვალების შემდეგ, უცბად, მთელი ძალაუფლება სტალინის ხელში აღმოჩნდა.

ლენინს სიკვდილის წინ მემკვიდრე არ დაუსახელებია. არ უნდოდა მომავალი თაობის წინაშე დამნაშავე ყოფილიყო თავისი არასწორი არჩევანის გამო. თუმცა მის თანამოსაგრეთა შორის იყო ბევრი ისეთიც, ვისაც შეეძლო ქვეყნის სათავეში ღირსეულად მოსვლა.

ტროცკი — ჩინებული თეორეტიკოსი, ორატორი, გაბედული ხელმძღვანელი, მაგრამ ყოყოჩა. თავის თავზე დიდი წარმოდგენის გამო შეუძლია ნებისმიერი მეტოქე დაამციროს. ლენინის შეურიგებელი მტერი. განა შეიძლებოდა იგი ლენინის მემკვიდრე გამხდარიყო?

ბუხარინი — ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის საყვარელი კაცი. უჩვეულო ინტელიგენტი და არნახული ჯიუტი. რამდენჯერ ჰქონია პოლიტიკური შეტაკებანი ლენინთან, მაგრამ ლენინიზმისთვის არასდროს უღალატია. თავის პოზიციაში მტკიცე, ზოგჯერ მიამიტი, ამიტომაც შესაძლოა ლმობიერი და მერყევი. განა შეიძლებოდა ქვეყნის ბედი ასეთი კაცისთვის მიენდოთ?

კამენევი, ზინოვიევი, რიკოვი... თითოეულს თავისი ღირსება აქვს, ამასთანავე — ერთმანეთისაგან გამორჩეული ნაკლი. რატომ მოხდა, რომ ზინოვიევმა კამენევთან ერთად გაილაშქრა ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის წინააღმდეგ? რატომ? აქაოდა, საშუალო გლეხი და მუშა მოკავშირენი ვერ იქნებიან... საკმარისი იყო ლენინს ეს საწუთრო დაეტოვებინა, რომ ისინი ტროცკისტულ ბლოკს მიეტმასნენ. განა დასაშვები იყო, რომ სახელმწიფოს მართვის სადავეები „ახალი ოპოზიციისათვის“ ჩაებარებინა? რა თქმა უნდა, არა!

სტალინი ადგილზე გაქვავდა, ხელში ჩიბუხი ეჭირა, თითქოს რაღაცას ყურს უგდებსო.

რა შეიძლება ითქვას მასზე, ამხანაგ სტალინზე? არც ის არის უცოდველი. მან დაუშვა შეცდომა სსრ კავშირის შექმნისას ავტონომიზაციის თავის იდეაში, როდესაც წამოაყენა წინადადება — შეეყვანათ რუსეთის სფს რესპუბლიკაში ყველა რესპუბლიკა ავტონომიების უფლებებით. თავის დროზე ლენინმა გააცამტვერა მისი იდეა, სტალინმა თავისი შეცდომა აღიარა, მაგრამ მაშინ როგორ გავიგოთ ლენინის სიკვდილისწინა წერილი ყრილობისადმი? „სტალინი უხეშია, საჭიროა მოვიფიქროთ გენერალური მდივნის პოსტზე მისი შეცვლის შესახებ“.

სტალინი შინაგანად აენთო:

„მე უხეში ვარ მხოლოდ მტრების წინააღმდეგ, ისეთებისა, როგორიც არის ტროცკი, ხოლო გლეხებისა და მუშების მიმართ უხეში არასდროს ვყოფილვარ! არასდროს!“

იგი ხარბად ქაჩავდა ჩიბუხს და თავის კაბინეტში ბოლთასა სცემდა.

როგორც შემდეგ გაირკვა, იგი აღმოჩნდა თითქმის ერთადერთი ადამიანი, რომელიც ლენინის ანდერძის, მისი აზრების, მისი პროგრამის ბოლომდე ერთგული დარჩა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო — და ეგრევე მოხდა. სულ უფრო იზრდებოდა მისი მდგომარეობის ხელში ჩაგდების მსურველთა რიცხვი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ კამენევი და ზინოვიევი მალულად, ხოლო ტროცკი აშკარად მის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

ტროცკი მეტისმეტად ეშმაკია. თვით რევოლუციას მხარი დაუჭირა, მაგრამ, როდესაც საქმე შეეხო სოციალიზმის მშენებლობას, მრავალ საკითხში ურჩობა გამოიჩინა და პრობლემები ყირამალა დააყენა. წინადადებას აყენებდა, რომ სოციალიზმის მშენებლობის დასაჩქარებლად მოეწყოთ შრომის არმიები. იგი სრულებითაც არ აპირებდა ამერიკის აღმოჩენას. შრომის არმიები ჯერ კიდევ ალექსანდრე I-ის დროს გამოჩნდა, მაგრამ რუსეთში ფეხი ვერ მოიკიდა. რას წარმოადგენდნენ შრომის არმიები? ეს არის ხერხი — აიძულო გლეხები ამუშაო როზგის ქვეშ, გაუწიო მათ მძვინვარე ექსპლუატაცია. თუ გლეხს ორი კოვზი სალაფავი ექნება, უნდა დაუტოვო ნახევარი კოვზი, ხოლო დანარჩენი წაგლიჯო. ეს ნიშნავს, რომ მათ ხარჯზე გამოკვებო არმია, აჭამო მოხელეთა ჯგროს, მუქთა პური გაუჩინო ლოთების ხროვას. ვინც გლეხს არ აფასებს, მან საკუთარი თავის პატივისცემა არ იცის. მაშასადამე, ტროცკი ლიკვიდატორია.

სამოქალაქო ომში ლენინმა დროებით შემოიღო სამხედრო კომუნიზმი. ასეთ რეჟიმს მთლიანად დაუჭირა მხარი ტროცკიმ, იმიტომ, რომ მსგავსი რეჟიმის დროს მთელი სიმძიმე გლეხის მხრებს დააწვა. იგი მთელ წითელ არმიას უფასოდ კვებავდა, ომის სიმძიმის ჭაპანს ეწეოდა. ლენინმა ეს რეჟიმი იძულებით და დროებით შემოიღო. სხვა შემთხვევაში საეჭვოა გაეძლო წითელ არმიას გარე და შიდა მტრების შეტევებისათვის. გლეხს ეკისრებოდა წითელი არმიის არა მარტო გამოკვება, არამედ ცოცხალი ძალით მისი უზრუნველყოფა. მოკლედ რომ ვთქვათ, ახლად შობილ რევოლუციას არ შეეძლო ფეხზე დგომა, წინ ნაბიჯის გადადგმა, თავის გადარჩენა გლეხის გარეშე. გლეხი აძლევს სახელმწიფოს საკვებსა და ჯარისკაცს, ხოლო რას აძლევს მას ეს სახელმწიფო? ჯერჯერობით არაფერს.

ამიტომაც ზინოვიევმა წამოაყენა წინადადება სოფელს თუნდაც მუშახელით დახმარებოდნენ. მართლაც, სოფლად გაიგზავნა მუშების მთელი რაზმები, ქალების მთელი ბრიგადები, ქალაქის ქუჩებში უსაქმოდ რომ დახეტიალობდნენ. მაგრამ სოფლად პროლეტარიატის გაგზავნამ ვერაფერი უშველა მეურნეობას, პირიქით. გლეხებს შორის უკმაყოფილება მწიფდებოდა. გლეხს თავისუფლებით იტყუებდნენ რევოლუციაში. კი, მაგრამ, სად არის იგი? უმიწოდ გლეხი თავისუფალი ვერ იქნება. მიწა კი სახელმწიფომ წაიღო თავისი ზედამხედველობის ქვეშ. უმიწოდ კი გლეხი ისეთივეა, როგორც უსამშობლო. მილიონობით ადამიანი დაიღუპა სამოქალაქო ომსა და დიდ შიმშილში. ყველა კუთხიდან, საიდანაც კი შეიძლებოდა, უკრაინიდან და თურქესტანიდან, ამიერკავკასიიდან და ციმბირიდან, თვითონ ბოლო ლუკმას რომ იკლებდა, მთელი ქვეყანა ეხმარებოდა მოშიმშილე ვოლგისპირეთს. მაგრამ ეს წარმოადგენდა ერთჯერად საექსტერნო დახმარებას. ამ საშინელი კრიზისიდან გამოსვლისათვის საჭირო იყო უარის თქმა სამხედრო კომუნიზმზე. არაფერი გამოვიდა იმ ცდიდან, რომ სამხედრო ბრძანების ძალით გლეხს იძულებით ემუშავა მათთვის წართმეულ სახაზინო მიწაზე. არც შეიძლება რაიმე გამოსულიყო. სწორედ ამიტომ ლენინმა წამოაყენა წინადადება, რომ სამხედრო კომუნიზმი შეეცვალათ ახალი ეკონომიკური პოლიტიკით — ნეპით. ეს ახალი პოლიტიკა წარმოადგენდა გლეხისათვის მიწის სრული გადაცემის პოლიტიკას. ეს იყო პოლიტიკა, რომელიც არ უპირისპირდებოდა კოოპერატივს, კერძო საკუთრებასა და სხვა ინიციატივებს. ეს წარმოადგენდა პოლიტიკას, რომელიც ვარაუდობდა, რომ გლეხი ისედაც გამოკვებავდა საკუთარ თავს და ზედმეტს ბაზარზე გაიტანდა, სახელმწიფოს მიჰყიდიდა; თუ გლეხი მდიდარი იქნება, მაშინ სახელმწიფოც მდიდარი გახდება. უკვე 1925 წლის დამლევს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მეოხებით ქვეყნის მეურნეობა წელში გაიმართა, მაგრამ იმის კვალობაზე, თუ როგორ იძენდა ძალას ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, ქვეყანაში ახალი საფრთხის აჩრდილი გამოჩნდა. შეძლეს კი თავის დროზე ამ საფრთხის შემჩნევა მემარცხენე ტროცკისტებმა ან მემარჯვენე ბუხარინელებმა? არა! თუკი შეამჩნიეს, ისეთი სახე მიიღეს, თითქოს ვერაფერს ვხედავთო.

სტალინმა ფანჯარა ფართოდ გამოაღო, ყური მიუგდო ღამის სიჩუმეს, თითქოს რაღაცის გაგონება სურსო მძინარე მოსკოვის მდუმარებაში. ღამის ჰაერის ნაკადმა გაამხნევა იგი, კვლავ გააწყო ჩიბუხი და თავის ფიქრებში ჩაეფლო.

სწორედ რომ, თუკი შეამჩნიეს, ისეთი სახე მიიღეს, თითქოს ვერაფერს ვხედავთო. ეს რა, აჩრდილია? საფრთხე ის იყო, რომ კოოპერატივებიდან თანდათანობით იზრდებოდა კულაკი, კულაკიდან — ფერმერი და ქვეყანაში შეიძლება გაჩნდეს ასობით მონოპოლისტი. და საბოლოო ჯამში ლენინის ქვეყანაში სოციალიზმის სახელით შესაძლოა დამყარდეს ყველაზე ნატურალური კაპიტალიზმი. თუ ასე იქნება, მაშინ რატომ მოახდინეს რევოლუცია? რისთვის იბრძოდნენ? რისთვის ხეხავდნენ ციხის კედლებს?

განა ტროცკი და ბუხარინი ვერ ხედავდნენ იმას, რომ სამერმისოდ ახალი ეკონომიკური პოლიტიკა მიგვიყვანს არა სოციალიზმში, არამედ კაპიტალიზმში? ხედავდნენ. დიახ, ხედავდნენ, მაგრამ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას უჭერდნენ მხარს. განზრახ ემხრობოდნენ ნეპს. რატომ? იმიტომ, რომ ვერ აჯობეს სტალინს პირდაპირ შეტაკებაში. მათ სურდათ მისი ძირს დაცემა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით, უნდოდათ სოციალიზმის დამარცხება და კაპიტალიზმის დამყარება. „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა — ეს არის ლენინის პოლიტიკა. რატომ მიდიხართ ლენინის პოლიტიკის წინააღმდეგ, ამხანაგო სტალინ?“ — ჰკითხა მას ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა. რაოდენ ბევრია ჩვენ შორის სულელი და ახლომხედველი ადამიანი, რომლებიც დიდი ადამიანის სახელს იშველიებენ. უბრალო მაგალითი. სოციალიზმი ჩვენამდე ჯერ კიდევ არავის უშენებია, ასეთ გზას არავინ დადგომია. ამიტომ სოციალიზმი თვითონ ჩვენთვის გაუტეხელი ყამირია, აღმოუჩენელი მხარეა, გაუკვალავი ბილიკია. ვინ გაბედავს და იკისრებს იმის თქმას, რომ ახალი გზით ივლის უშეცდომოდ?

ლენინი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ადვილი შესაძლებელია უკვე თვითონვე უარი ეთქვა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ცოცხალი რომ ყოფილიყო, მასაც შეეძლო შეცდომა დაეშვა. განა შეიძლებოდა ბრალი დაგვედო მისთვის ამ შეცდომისათვის? არა! ძნელია, იყო პირველი! წარმოუდგენლად ძნელია! ამიტომ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე ხელის აღება ლენინიზმისაგან უკან დახევა არ არის. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის უარყოფა — ეს არის სოციალიზმისაკენ ახალი გზის ძიება ლენინიზმის პოზიციებიდან.

იმავე 1927 წელს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის უარყოფასთან ერთად ამხილეს ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ანტიპარტიული საქმიანობა, ხოლო თვით ტროცკი ქვეყნიდან გააძევეს. ქვეყანაში მასობრივი კოლექტივიზაცია დაიწყო. კულაკობა, რომელიც პურს მალავდა, ლიკვიდირებულ იქნა როგორც კლასი. მაგრამ, ოდითგანვე ასეა, თუ მზე ამოდის ერთი მხრიდან სასიკეთოდ, იმავდროულად მზე ჩადის სხვებისთვის. ამ უზარმაზარ ქვეყანაში ძნელია ყველა ადამიანს მიაწვდინო შენი სიტყვები, როგორადაც არ უნდა ჟღერდნენ ისინი, გააგებინო შენი აზრები, როგორადაც ჩაფიქრებულია ისინი, წარმოაჩინო ყველაფერი დაუმახინჯებლად, გააცნო თვით ფართო მასებს. საბოლოოდ კი, რა? გადახრები ადგილებზე, გადახრები ყველგან. ავიღოთ, თუნდაც, ყაზახეთი. მესაქონლეებს მთელი პირუტყვი ჩამოართვეს. ზაფხულის ხვატში პური დაიწვა. ადამიანები დარჩნენ უსაქონლოდ, უპუროდ, უყველაფროდ. მოდიოდა ცნობები, რომ ადამიანები უგზოუკვლოდ მიმოიკარგნენ, გამათხოვრდნენ. ამაში სიმართლის წილი დევს. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ ადგილებზე ზოგიერთმა მეტისმეტმა მუყაითმა შემსრულებელმა არ იცის როგორც საჭიროა ისე გაუძღვეს საქმეს, არ ძალუძთ ისე წაიკითხონ დაწერილი და ხელში მიცემული კანონები. ამიტომაც ნაცვლად იმისა, რომ გააუმჯობესონ ხალხის ცხოვრება, აუარესებენ მას.

სტალინი ლოგინში ჩაწვა. ჩვეულებრივ მაშინვე ჩაეძინებოდა ხოლმე. მაგრამ დღეს ძილი არ ეკარებოდა. გვალვა ვოლგისპირეთსა და ყაზახეთში უკვე მთელი კვირაა მოსვენებას არ აძლევდა. მასობრივი კოლექტივიზაცია სრულებითაც არ ნიშნავს ხალხის მთელი ქონების საზოგადოებრივი სარგებლობიდან ამოღებას. მაშ, რატომ განაწყობენ ხალხს პარტიის წინააღმდეგ ადგილობრივი ხელმძღვანელები? თუმცა ტროცკისტები მთლიანად განადგურებული არიან; თვით ტროცკი გაგდებულია საზღვარგარეთ, მისი კუდები გადარჩნენ არა მარტო დედაქალაქში, არამედ განაპირა მხარეებში. ვარაუდობდა, რომ ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დამთავრებულია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი ჯერ კიდევ შორსაა დასასრულამდე.

**(გაგრძელება იქნება).**

## ◉ ინფორმაცია

### კრიმინალური ავტორიტეტი ლიკვიდირებულია

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ადგილზე ლიკვიდირებულია კრიმინალური ავტორიტეტი კახაბერ კობრეიძე.**

**შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, წარსულში მძიმე ბრალდებებით ნასამართლევი კახაბერ კობრეიძე პოლიციელის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი. მან იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომელზე თავდასხმა სხვა თანამზრახველებთან ერთად ერთი კვირის წინ სამტრედიის რაიონში ჩაიდინა.**

**კახაბერ კობრეიძემ კრიმინალურ პოლიციასა და სპეცდანიშნულების რაზმს აყვანის ოპერაციის მსვლელობისას ცეცხლი გაუხსნა, რასაც საპასუხო სროლა მოჰყვა. 1976 წელს დაბადებული კახაბერ კობრეიძე სამტრედიის რაიონის სოფელ ინეთში ცხოვრობდა.**

### სკოლების ხელმძღვანელები კომპიუტერებს ყიდიან

**როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოს განათლების სამინისტროში განუცხადეს, კომპიუტერების უმეტესი ნაწილი, რომელიც პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მიეწოდათ, გატანილია და სკოლის ხელმძღვანელების მიერ გაყიდულია.**

**კომპიუტერები დაიკარგა თბილისის №126 სკოლაშიც. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თბილისის №126 საშუალო სკოლას ეწვევა და სავარაუდოდ სკოლის დირექტორს გადააყენებს.**

**განათლების სამინისტრომ, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფაგლებში კომპიუტერული ტექნიკის მიწოდება ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს ყველა რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დაიწყო.**

**პროგრამა „ირმის ნახტომი“ ტექნიკური აღჭურვის გარდა მასწავლებლებისათვის ძირითადი კომპიუტერული უნარჩვევების განვითარებასაც ითვალისწინებს.**

### სარფში სამი მოქალაქე დააკავეს

**საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტზე ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს.**

**როგორც ინტერპრესნიუსს სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განუცხადეს, მესაზღვრეებმა საზღვრის დამრღვევები რეგიონული სამმართველოს „აჭარის“ სასაზღვრო-საემიგრაციო კონტროლის განყოფილება „სარფში“ დააკავეს.**

**ისინი საქართველოს საზღვრის გადაკვეთას თურქეთის მიმართულებით ყალბი პასპორტებით ცდილობდნენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა.**

**ინტერპრესნიუსი**

ფულის ევერესტზე

# ნახევარი საუკუნე — გადაუტვირთავად

**ბილ გეიტსი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანი და პლანეტაზე ყველაზე მოკრძალებული მილიარდერია. 2004 წლის მონაცემებით, გეიტსის შემოსავალმა შეადგინა 36,84 მილიარდი დოლარი. მსოფლიოს 85 ქვეყანაში მდებარე მის საწარმოებში დასაქმებულია 55 ათასი მოსამსახურე. უაზრობა იქნებოდა, თუ ვეცდებოდით გეიტსის პირადი ქონების დაანგარიშებას — პიკ-პერიოდში იგი 120 მილიარდს აღწევდა: ბირჟებზე აქციათა ფასების მერყეობის მიხედვით, ეს ადამიანი სულ რამდენიმე წამში კარგავს ან შოულობს მილიონების ქონებას.**


ბილ გეიტსი არ გათავებულა.

**პრაქტიკულად შეუძლებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ გეიტსი-ადამიანი და გეიტსი-ლეგენდა. მასში ზოგი ხედავს კეთილ სანტა-კლაუსს, ზოგიც — შარაგზის ყაჩაღს. ამ ადამიანის წინაშე ღიაა ყველა კარი და გზა. იგი მოკრძალებულად დაატარებს თავის ცისფერ „ლექსუსს" სპეციალური სირენებისა და თანმხლები ჯიპების გარეშე. გეიტსს პირადი დაცვა არ სჭირდება: „მაიკროსოფტი" არის მისი სიცოცხლის და უკვდავების გარანტია.**

ჯერ კიდევ ლეიქსაიდის სკოლაში სწავლისას, 13 წლის მერვეკლასელმა ბილ გეიტსმა და მისმა მეგობარმა პოლ ალენმა პირველადააწყვეს პრიმიტიული ტელეტაიპ-კომპიუტერული ტერმინალი. ბიჭები მთელ დროს ატარებდნენ დიდ კომპიუტერთან, რომელიც ერთ-ერთი ადგილობრივი კომპანიის ოფისში იდგა: ფირმა მათგან ფულის გადახდას არ ითხოვდა — ამის სანაცვლოდ კი ყმაწვილები იცავდნენ კომპიუტერს „ხოჭოების" და სხვა მსგავსი უბედურებებისგან. ზოგჯერ ბილი იმასაც ახერხებდა, რომ მშობლების ნებართვის გარეშე, მთელ ღამეს ატარებდა ოფისში. სულ მალე ბილმა და პოლმა შექმნეს საკუთარი წარმატებული ფირმა, რომელიც აანალიზებდა ქალაქის ტრანსპორტის მოძრაობას და ამ ანალიზის შედეგებს გარკვეულ საფასურად აწვდიდა ქალაქის ხელისუფლებას.

მეორე მეგობართან — ალენთან ერთად მათ სრულყოფილად აითვისეს „ხელოვნური გონების" ენა და პროგრამისტებად დაიწყეს მუშაობა. როცა გეიტსი სასწავლებლად შევიდა ჰარვარდის უნივერსიტეტში, ალენმა თავისი ძველი „კრაისლერით" გადაკვეთა მთელი ქვეყანა, რათა მეგობარს გვერდიდან არ მოსცილებოდა. მომავალი გენიოსი ისე გაიტაცა სამუშაომ, რომ მან სწავლას თავი მიანება და უნივერსიტეტის დიპლომის ნაცვლად ბილ გეიტსმა მიიღო კომპანია „მაიკროსოფტი", რომლისთვისაც პირველ ხანებში სურდათ დაერქმიათ „ალენ ენდ გეიტს ინკორპორეიტედი". ახალმა კომპანიამ დაიწყო იმ პერსონალური კომპიუტერებისთვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, რომლებიც ის-ის იყო შემოდიოდა მოდაში. დღეს უკვე ყველამ იცის, თუ რას მიაღწია ამ მეგაკორპორაციამ.

თითქმის ყველა პროგრამისტი თავგამოდებული ავტომოჯირითეა. არც გეიტსია გამონაკლისი. ჯერ იყო და თავის „პორშე-911" ავტომანქანას მთელი სიჩქარით დააქროლებდა ნიუ-მექსიკოს შტატის უდაბნოებში. პოლ ალენს მისი საპყრობილიდან დახსნაც კი მოუწია, სადაც ბილი მოხვდა სიჩქარის გადაჭარბებისთვის. ამის შემდეგ გეიტსმა იყიდა „პორშე-930 ტურბო", რომელსაც „რაკეტა" უწოდა. ამას მოჰყვა „მერსედესი", „იაგუარი", „პორშე კარერა კაბრიოლეტ-964" და, ბოლოს, „პორშე-959", რომლისთვისაც 380 ათასი დოლარი გადაიხადა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მისი ამერიკაში ჩამოყვანა, რადგან, მანქანა არ შეესაბამებოდა შეერთებულ შტატებში მიღებულ ეკოლოგიურ სტანდარტებს. გეიტსს მოუწია დაკმაყოფილებულიყო „ფერარი-348"-ით, რომელიც სულ მალე გააფუჭა დიუნებზე სეირნობის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ გეიტსს არასდროს უსარგებლია უსაფრთხოების ღვედებით. და კიდევ ერთი საინტერესო ნიშანთვისება: გეიტსი არასდროს არ უყურებს თანამოსაუბრეს ლაპარაკის დროს, მაგრამ როცა საჭეს უზის — თვალს არ აშორებს...

გეიტსი ცხოვრობს ეგრეთ წოდებულ მომავლის სახლში, რომელიც ვაშინგტონის ტბის ნაპირზე მდებარეობს და 40 ათასი კვადრატული ფუტი ფართობი უკავია. სახლი 40 მილიონი დოლარი ღირს. ეს ნაგებობა შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული სამი პავილიონისგან, რომლებიც მინის და ფიჭვის მასალისგანაა დამზადებული. ბორცვზე მდებარეობს 30 ავტომობილისთვის გათვალისწინებული გარაჟი, რომლის კუთხეშიც დგას სამუზეუმო „მუსტანგი" — ბილის პირველი ავტომობილი. პირველი პავილიონი სტუმრების გასართობადაა განკუთვნილი. მისაღები დარბაზიდან იხსნება ტბის მოპირდაპირე ნაპირზე მდებარე ოლიმპიური მთების თვალწარმტაცი ხედი. სამ ათეულზე მეტი მონიტორისგან შედგება დარბაზის მთელ კედელზე გადაჭიმული ბრტყელი ეკრანი. „მომავლის სახლის" სტუმარს აძლევენ სპეციალურ ელექტრონულ ქინძისთავს, რომელშიც შეტანილია მისი საყვარელი სანახაობების კოდი — კინოფილმები, სურათები, მუსიკა, სატელევიზიო შოუ. სისტემა „იგებს" სტუმრის გემოვნებას და იმახსოვრებს ამას მისი სახლში ყოფნის დროს.

ცენტრალურ პავილიონში განლაგებულია ბიბლიოთეკა. დარბაზს დაჰყურებს უზარმაზარი ხის გუმბათი. ბიბლიოთეკის გვერდით არის ბატუტი. გეიტსს უყვარს მასზე ხტომა, რადგან მიაჩნია, რომ ეს ხელს უწყობს აზრების კონცენტრაციას. სახლს აქვს საცურაო აუზი, რომელიც იაპონურ აბანოში გადადის. ბილი ზოგჯერ აქ მოდის დასასვენებლად თავის მეუღლესთან — მელინდასთან ერთად. იქვე მახლობლადაა კალმახის ტბა. როცა იწყებოდა სახლის მშენებლობა, ბილმა უპირატესობა მიანიჭა მკაცრ არქიტექტურულ სტილს, თუმცა, ცოლის მოყვანის შემდეგ დათანხმდა მელინდას მიერ არჩეულ უფრო რბილ სტილზე.

ბილ გეიტსი მელინდა ფრენჩს პირველად შეხვდა 1987 წელს ნიუ-იორკში, „მაიკროსოფტის" რომელიღაც პრესბრიფინგზე. როგორც გაირკვა, მელინდა, თურმე, უკვე კარგა ხანია მუშაობდა მის კომპანიაში. როცა ბილს გაყვა ცოლად, მელინდამ თავი მიანება სამსახურს და მალე მათ გაუჩნდათ ქალიშვილი — ჯენიფერი. მელინდა გათხოვების შემდეგ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა.

გეიტსის სახელი მუდამ შედის პლანეტის ასი ყველაზე გავლენიანი ადამიანის ნუსხაში. 1996 წლიდან 2005 წლის ჩათვლით, გეიტსს პირველი ადგილი ეკავა ჟურნალ „ფორბსის" „მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების" ნუსხაში. 2000 წლიდან გეიტსის პირადი ქონება შემცირდა ქველმოქმედებისთვის გაღებული უზარმაზარი შესაწირების გამო. ამის მიუხედავად, მედინაში, ვაშინგტონის ტბის პირას მდებარე სახლი კვლავ რჩება ყველაზე ძვირადღირებულ კერძო სახლად. უძრავი ქონების ყოველწლიური გადასახადი გეიტსისთვის მილიარდ დოლარს შეადგენს.

თავის 50 წლისთავს გეიტსი ხვდება ძალაუფლების, სახელის და ფულის ევერესტზე. თუმცა იგი, კვლავ ებრძვის თავის კონკურენტებს და დემონებს. გეიტსი ხშირად იმეორებს „კალათბურთის ღმერთის" მაიკლ ჯორდანის სიტყვებს: „მათ ჰგონიათ, რომ მე გავთავდი. მაგრამ ვაი იმას, ვინც ასე ფიქრობს!".

**მელორ სტურუა**

დოსიე

# მოთარეშეთა აქციები ჩრდილოეთ კავკასიაში



**1996 წლის აგვისტო.**

**ქალაქ** გროზნოში ათასამდე მოთარეშე შეიჭრა მცირერიცხოვანი ჯგუფებით, რათა დანიშნული მომენტისთვის იერიში მიეტანათ ძირითად ობიექტებზე. მათ ერთდროულად უნდა განეხორციელებინათ თავდასხმები შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების ფედერალური სამსახურის შენობებზე და სასაზღვრო რაზმის შტაბზე. მოთარეშეები მიზნად ისახავდნენ გროზნოს აღებას თუნდაც მცირე ხნით, რათა ეჩვენებინათ თავიანთი ძალა.

ქალაქი აიღეს. ერთი კვირის შემდეგ რუსეთმა მასხადოველებთან დადო სამარცხვინო „ხასავიურტის ზავი".

**2004 წლის 22 ივნისი.**

**200-მდე** მოთარეშეს დაგეგმილი ჰქონდა ნაზრანში აელო შინაგან საქმეთა სამინისტროს იარაღისა და ტყვია-წამლის საწყობები. გარდა ამისა, ისინი აპირებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორიდან გაეთავისუფლებინათ ბანდფორმირებების რამდენიმე ათეული მონაწილე. ბრძოლების შედეგად დაიღუპა ასამდე ადამიანი, ძირითადად, მილიციელები, მათ შორის, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი. მოთარეშეებმა შეძლეს იარაღის გატაცება.

**2004 წლის 1-3 სექტემბერი.**

**32 ტერორისტი** სოფლის გზებით მოულოდნელად შეიჭრნენ ქალაქ ბესლანში და დაიკავეს საშუალო სკოლის შენობა. ისინი მიზნად ისახავდნენ ინგუშებსა და ოსებს შორის ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებას. დაიღუპა 349 კაცი, ძირითადად, — ბავშვები. 2005 წლის 13 ოქტომბერს ნალჩიკში შეიჭრა დაახლოებით 150 მოთარეშე. მათ იერიში მიიტანეს ძალოვანი სტრუქტურების, სასაზღვრო რაზმის შენობებზე, აეროპორტზე. ამ აქციის მიზანი იყო, ჩაეშალათ მოთარეშეთა დიდი ბანდის დევნის ოპერაცია, აგრეთვე, მოეხდინათ ყაბარდო-ბალყარეთის ახალი პრეზიდენტის კომპრომენტაცია. ბრძოლების შედეგად მოკლეს ძალოვან სტრუქტურათა 15 თანამშრომელი, დაიღუპა ასევე ქალაქის 12 მშვიდობიანი მცხოვრები.

**თქვენი აზრით, რა საშუალებები უნდა გამოვიყენოთ კავკასიის პრობლემის გადაჭრის მიზნით?**

| | |
|---|---|
| მხოლოდ სამხედრო, ძალისმიერი საშუალებები | — 45 პროცენტი |
| ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია | — 34 პროცენტი |
| მოლაპარაკება და გონივრული პოლიტიკა | — 21 პროცენტი |

*გამოკითხვა განახორციელა „კომსომოლსკაია პრავდამ". გამოჰკითხეს 357 კაცი.*

◎ „ბარიგა“

# გურგენიძის „ჩინი“ ახლა ნარკობარონია

**საქართველოში ნარკოტიკული ნივთიერების დიდი რაოდენობით თავმოყრის ერთ-ერთ პირობად მის გეოგრაფიულ მდებარეობას ასახელებენ. ამბობენ, ტრანზიტული ქვეყანაა და ამ კუთხით თავდაცვა ძალიან რთულიაო. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მის ხელშემწყობად ხშირად სამართალდამცველებიც გვევლინებიან, მაშინ მთლად ხელიდან წასულა ჩვენი საქმე...**

დღე არ გავა, პოლიციამ მსხვილ-მსხვილი ნარკორეალიზატორები არ დააკავოს. ბოლო ოპერაციების დროს კი მათ რიცხვში თვითონ ჩინოსნებიც ხვდებიან. კერძოდ, 2 ნოემბერს დააკავეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს თანამშრომელი გივი გურგენიძე. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ის თბილისში საკუთარ მშენებარე აგარაკთან



აიყვანეს, როცა ეგრეთწოდებულ „პაემანზე“ იყო მისული. მას ნარკოტიკები კლიენტისთვის უნდა გადაეცა.

შეხვედრა მშენებარე სახლთან საეჭვო რომ არ გამხდარიყო, გურგენიძე იქ მეგობარ ქალთან, თამარ ჟღენტთან ერთად მივიდა.

ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა შეამოწმეს პოლიციელს სახლიც და აგარაკიც. ამ პროცესს თვითონ ექვმიტანილიც დაესწრო.

გივი გურგენიძე, რომლის ავტომანქანიდანაც ამოღებულია 108 აბი სუბუტექსი და 2600 დოლარი, დანაშაულს არ აღიარებს. ის ამბობს, რომ ეს ყველაფერი „ვიღაცამ“ მოუწყო...

სასამართლომ გივი გურგენიძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდა. მას ამ დანაშაულისთვის ოც წლამდე პატიმრობა ემუქრება. სამართალდამცველებმა თამარ ჟღენტი უდანაშაულოდ სცნეს და იგი მხოლოდ დაჰკითხეს.

ბოლო დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შემდეგ, გურგენიძე უკვე მესამე თანამშრომელია თბილისის პოლიციიდან, რომელსაც ნარკოტიკების რეალიზაციისთვის აკავებენ. წინა დანაშაულებს მთავარი სამმართველოს რამდენიმე მაღალჩინოსნის გათავისუფლება და დაქვეითება მოჰყვა.

საინტერესოა, ვის გაიყოლებს თან გივი გურგენიძე?

**ლელა მანაველიშვილი**

◎ გაიტანეთ!

# შანტაჟის წყარო




**საბჭოური ნარჩენებიდან ჯერჯერობით კიდევ ბევრი რამ შემოგვრჩა, რომელთაც, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერა და ვერ ვიშორებთ. არა, სურვილი გვაქვს, შესაძლებლობა კი — ფეხს გვათრევინებს. ავიღოთ თუნდაც პასპორტი, რომელსაც იმ „წყეულ პერიოდში“ თითქმის მუქთად არიგებდნენ და თუ მაიაკოვსკის სიტყვებს მოვიშველიებთ, მტერს შურით აღავსებდნენ. ამ მტერში კაპიტალიზმი იგულისხმებოდა. სოციალიზმი დავამხეთ, კაპიტალიზმში კისრამდე შევტოპეთ, მაგრამ იმდროინდელი პასპორტები მაინც დღემდე შემოვინახეთ.**

15 თუ არა, 10 წელიწადი ხომ ნაღდად გავიდა, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ. მას შემდეგ ხელისუფლები გვპირდებიან, — პასპორტებს გამოგიცვლით კი არა, უფასოდ დაგირიგებთო, მაგრამ საშველი არ დაგვადგა. გაგვაფრთხილებენ ხოლმე მკაცრად, — აი, ამ დრომდე გაქვთ ვადა, მერე ეგ პასპორტები გინდ გქონიათ, გინდა არაო. მოვა ის ვადა და... ერთი თვით გადაიწიაო, სამი თვითაო, ხუთი თვითაო... ასე მოვედით აგერ, აქამდე.

ძველმა ხელისუფლებამ რაც გვატყუა, რა რიგებშიც გვაყურყუტა და რა დოლარებიც დაგვცანცლა, მაგაზე ლაპარაკი აღარაა. სამწუხარო ისაა, რომ ახალი ხელისუფლებაც წინანდელივით აგრძელებს და მოსახლეობას ესეც აშინებს და აკანკალებს. ბოლო წელიწადნახევარში, „რევოლუციის შემდგომ ხანაში“, საბჭოური პასპორტების მოქმედების ვადა სამჯერ შეწყვიტეს და სამჯერვე თავად გააგრძელეს.

ჯერ იყო და, პენსიონერებმა ვერ მოასწრეს პასპორტების გამოცვლა და იმიტომ ვწევთ ვადას, რა ეშველებათ, უპუროდ ხომ ვერ დავტოვებთო. მერე იყო და, შუალედური არჩევნებია და, აბა, ხალხს ხმის უფლების მიცემას ხომ ვერ წავართმევთო; ბოლოს, არც მიზეზი თქვეს, არც საბაბი, აიღეს და 4 თვეს კიდევ გაჩუქებთ, 2006 წლის 1 მარტამდე მაგ საბჭოთა პასპორტებით იგრიალეთო...

რა, ისევ ხალხია სასაყვედურო და სასაცილო? საკუთარი თვალითაც გვინახავს და ტელევიზიითაც, თუ რა რიგებია, რა ბარიერებია ამ საპასპორტო სამსახურებთან თბილისშიც, მარნეულშიც, თელავშიც... ახლახან თვით პრეზიდენტმაც კი დატუქსა იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა იმის გამო, რომ კახეთში, მაგალითად, პასპორტის ასაღებად 19-ჯერ, 20-ჯერ მიგიყვანენ, გაწრუწუნებენ, სისხლს გაგიშრობენ და პასპორტს ძლივს გაღირსებენ. რა, მარტო კახეთშია ასე? რას ბრძანებთ!

თვით ოფიციალურ პირთა განცხადებით, სადღეისოდ საქართველოში თურმე გაცემულია 1 400 000 ცალი ახალი ტიპის პასპორტი და ეს ყოფილა გასაცემი პასპორტების მხოლოდ 40 პროცენტი. დარჩენილია — 60 პროცენტი. როგორ ფიქრობთ — თუ 10 წელიწადში 40 პროცენტი გავეცით, ოთხ თვეში 60 პროცენტს გავცემთ? რაღაც არა მჯერა.

ისე, რად ვიკლავთ თავს ახალ-ახალი ვადების დათქმით, თუკი საჭირო რაოდენობის პასპორტები არა გვაქვს? და თუ გვაქვს, ხომ ვიცით, რომ 2 თვეში ვერ გავცემთ 2 მილიონ ცალ პასპორტს, თუნდაც სპეციალურმა სამსახურებმა დღეში 48 საათი იმუშაონ? და რომც იმუშაონ, და რომც თავი მოიკლან, ნუთუ ვერა ხვდებიან,— ხალხი იმიტომ არ ცვლის ამ საბჭოურ პასპორტებს, რომ ფული არა აქვს. ადრე დოლარები იყო, ახლა ლარებია, ფასი დაწეულია, მაგრამ იგი ერთი თვის პენსიაზე მაინც გაცილებით მეტია. რაღა ჭამოს გაჭირვებულმა მოხუცმა, თუ ის პენსიაც პასპორტში „გაისროლა?“

თანაც, ეს „გასროლა“ მხოლოდ ერთხელ მოუწევს? ორიოდეჯერ ახალი პასპორტი კიდევ ახლით რომ შეიცვალა? კიდევ ახალი ფული რომ დაიცინცლა? ან ამიერიდან აღარ შეიცვლება? ჩვენ კი არა, ამერიკა ცვლის პასპორტებს. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ იქ გადაწყვიტეს პასპორტში შეიტანონ მფლობელის ფეხის ზომაც, ცხვირის აღწერილობაც, სიმაღლეც, სიგანეც, სისხლის ჯგუფიც, თვალების ფერიც... ერთი სიტყვით, ასეთი პასპორტით ერთი ადამიანის მეორედ წარმოჩენა, შესაბამისად კი, რომელიმე უცხო ქვეყანაში შეძრომა-გამოძრომა სავსებით გამოირიცხება.

ხედავთ? ამერიკა უმატებს, ჩვენ კი — ვაკლებთ. პასპორტიდან ამოვიღეთ ეროვნება, მამის სახელი, საცხოვრებელი მისამართი... როგორც იტყვიან ხოლმე, „გავაპუსტიაკეთ“ ეს კაცის სახეც და კაცის სიმბოლოც. თუმცა, იმედია, მოვა დრო, როცა პასპორტი მართლაც პასპორტად იქცევა და არა მოქალაქეთა მხოლოდ გადაადგილების დოკუმენტად. მაშინ ხალხი საკუთარ თავს თავად მიხედავს, — აღარ დასჭირდება აღარც ვადის გადაწევა, და აღარც ხელისუფლების დაშანტაჟება!

**ბონდო გულიაშვილი**

◎ კორუფციაც მცირედით იწყება

# ხუთი თეთრი ზევით, ხუთი თეთრი — ქვევით, თუ არადა, ფეხით!

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსებს შორის ყველაზე მაღალი (9-სართულიანი) მე-6 კორპუსია, სადაც ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი ფუნქციონირებს და სხვა კორპუსებთან შედარებით გაცილებით მეტი სტუდენტი სწავლობს.**

უკვე მეშვიდე წელიწადია, აქ სტუდენტები სართულებზე ასვლა-ჩამოსვლაში 10 თეთრს იხდიან (ხუთი ზევით, ხუთიც — ქვევით). ახლა აქ იმაზე საუბარი, რომ სტუდენტობა დღეს გაჭირვებულია, უშეღავათო და უსტიპენდიოა, არც ღირს. ეს სრულიად ცალკე თემაა, რომელზეც საუბარი კარგახანია ოდენ მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავს.

მინდა თქვენი ყურადღება უშუალოდ ამ ფასიანი ლიფტების ფუნქციონირების სისტემაზე გავამახვილო.

სტუ-ში სტუდენტები სატვირთო ლიფტით მგზავრობენ, რომელშიც წონისა თუ სიმაღლის მიუხედავად, ლიფტიორები 12-დან 15-მდე ადამიანს ყოველთვის ატევენ.

აღსანიშნავია, რომ სტუ-ს ლიფტებში გადახდის პირდაპირი ფორმა მოქმედებს, ანუ ლიფტში შესკუპებული ფაშფაშა ბიცოლები თუ ბებიები მგზავრობის საფასურს სტუდენტებს ხელზე ართმევენ და შემდეგ ყულაბებში ან პატარა თუნუქის ყუთებში აგროვებენ.

ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს, ლიფტში ისეთი სიტუაციაა, ხუთი თეთრის გადახდა ნამდვილად არ



დაგენანება. იქ ლიფტიორებს თავიანთთვის და სტუდენტებისთვისაც კომფორტი აქვთ შექმნილი. ზაფხულის ცხელ დღეებში ლიფტში ჰაერს ე.წ. „ვენტილატორი“ ანიავებს, ზამთარში — ე.წ. „პლიტები“ ათბობს. ყველანაირი მიმდინარეობის თანამედროვე მუსიკა კი ლიფტში პატარა აუდიომაგნიტოფონებიდან ყოველ სეზონზე ჟღერს.

ორი ან სამკაციანი ლიფტები ცალკე ლექტორებისთვის არსებობს, რომელსაც გასაღებით საიმედოდ კეტავენ და მხოლოდ მაშინ აღებენ, როცა თავად მუქთად მგზავრობენ. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებისთვის განკუთვნილი ლიფტით ლექტორები უფასოდ სარგებლობენ, „სალექტორო ლიფტებში“ სტუდენტთა მოხვედრა თითქმის შეუძლებელია.

რამდენი თანხა იკრიბება ყოველდღიურად ამ ლიფტებიდან, გამოანგარიშება რთულია, თუმცა თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სტუს-ს მე-6 კორპუსში 2 ათას ხუთასამდე სტუდენტი სწავლობს, ხოლო აქედან ვინ იცის დღეში რამდენჯერ ადი-ჩამოდიან ისინი ამ ლიფტებით, სავარაუდოა, რომ მოხვეჭილი თანხა საკმაოდ სოლიდურია. ხოლო თუ ვისია ეს ლიფტები, სად მიდის იქ აგროვილი თანხა, დღემდე ტაბუდადებულია.

უშედეგოა ამის გარკვევის მცდელობაც. უნივერსიტეტის უფროსობისთვის ამის კითხვა უშედეგოა, სტუდენტური კავშირი კი „აზრზე არ არის“.

**ეკა მეტრეველი**

◎ კრიმინალი

### არსენა ბრაზილიაშიც ჰყოლიათ

**ბრაზილიაში**, კერძოდ, რიო-დე-ჟანეიროში მოკლეს 29 წლის ყაჩაღი ერისმარ როდრიგეს მორეირა. იგი მოოქროვილი იარაღით მდიდრებს ძარცვავდა, სამაგიეროდ, ღარიბეს კვარტლებში გაჭირვებულებს სისტემატურად ეხმარებოდა. „ბემ-ტევს“ (ეს მისი მეტსახელია) თავს 100 პოლიციელი დაესხა. მოკვლა არ უნდოდათ, მაგრამ ყაჩაღი ცოცხალი თავით არავის ჩაბარდა. სხვათა შორის, მკვლელობების რაოდენობით რიო-დე-ჟანეირო მსოფლიოში მესამე ადგილზეა.

### თოჯინებს შვილები ურჩევნიათ

**ამ ზაფხულს** მოსკოვში იმშობიარა 11 წლის ნადეჟდამ. ახლა კი მისი ბედი გაიზიარა 12 წლის ნატაშამ. პატარა დედის მშობლები არ ასახელებენ ასევე პატარა მამას (იგი 18 წლისაა), რადგან მას ციხე ელის არასრულწლოვანის შეცდენისთვის. ისე, რუსეთში, როსტოვის ოლქში 2000 წელს უმშობიარია 8 წლის გოგონას. „რეკორდი“ კი ეკუთვნის პერუელ ლინა მედინას, რომელიც დედა გამხდარა 5 წლის ასაკში 1939 წელს.

### პატიმარი... ღია ცის ქვეშ

**ახალ ზელანდიაში** ზუსტად იმდენი პატიმარია, რამდენიც საქართველოში. ციხეებიც იმდენივეა, მაგრამ... ჩვენს ციხეებში 1000-ის ნაცვლად 2 500 კაცს „ტენიან“, ახალ ზელანდიაში კი... „ზედმეტი“ პატიმრები ციხის შორიახლოს, ავტოფურგონებში გამოამწყვდიეს. რას ვიზამთ, იქ ადამიანის უფლებათა დარღვევას ურჩევნიათ ბრალდებულთა ღია ცის ქვეშ ყოფნა. აქ კი...

### მაფიოზი მაინც გაება



**5 წლის** საერთაშორისო ძებნის შემდეგ იტალიის პოლიციამ მოახერხა სიცილიის მაფიის ერთ-ერთი ლიდერის უმბერტო დი ფაციოს დაპატიმრება. იგი უძლიერესი კლანის — „სანტა პაოლოს“ მეთაური გახლდათ, რომელსაც სათავეში ედგა 1993 წლიდან. მას ბრალად ედება უამრავი მკვლელობა და დიდძალი ფულადი თანხების გამოძალვა.

### კონტრაბანდაც ამას ჰქვია!

**სპეციალური** ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა სადახლოს საბაჟო-გამშვებ პუნქტთან დააკავეს 12 სატვირთო ავტომანქანა, რომლებშიც გაყინული თევზის ნაცვლად „ჩაწყობილი“ იყო ერევანში კონტრაბანდულად გასატანი 300 ტონა გაყინული ქათმის ბარკლები. პირველადი მონაცემებით, პროდუქციის ღირებულება 500 000 დოლარია. ბოლო 15 წლის განმავლობაში ასეთი დიდი რაოდენობის კონტრაბანდული საქონელი საქართველოში არ დაუკავებიათ.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №31

## თბილისი-ნანტი

**ერთი ფრანგი მწერლის აზრს თუ გავიზიარებთ, არავის სურს „მხოლოდ მწერალი“ იყოს, მიუხედავად იმისა, რომ წერის შესწავლისთვის ადამიანის მთელი ცხოვრებაც არ კმარა...**

**მწერალთათვის ყოველთვის არსებობს რაღაც პარალელური ვალდებულებებიც, შემოქმედებითი პრაქტიკისგან განსხვავებული, საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ უწოდებენ და რომელიც უმეტესად მათი განსაკუთრებული ღელვის საგანი ხდება...**

ვიხილეთ, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ეს ჩვენი შინაური საქმეა და ნურც ნანტის და ნურც ელისეის მინდვრებზე გავახმაურებთ...

სჯობს, გავიხსენოთ ის მშვენიერი დღეები, როცა რამდენიმე წლის წინათ ნანტის ქუჩებსა და მოედნებს უამრავი თვალისმომჭრელი აფიშა ამშვენებდა ფიროსმანის ნახატებით...

ქართველებისთვის ესოდენ ძვირფასი **ლე-დანტიუს** შემდეგ საფრანგეთმა უკვე მერამდენეჯერ აღიარა ნიკო ფიროსმანი...

გამოფენის იდეა ბატონ გასტონს ეკუთვნის, რომელიც ახლა ფიროსმანის, კაკაბაძის და გუდიაშვილის ცხოვრების წიგნი.

## ჟიულ ვერნი ქართულ სიტყვებს იმეორებდა...

ჩვენთვის აღმოჩენა გახლდათ ჟიულ ვერნის პარალელები საქართველოსთან. ბატონი გასტონის მონათხრობის თანახმად, მის ერთ-ერთ, ქართველი მკითხველისთვის უცნობ რომანში ნახსენებია თბილისი, მიუხედავად იმისა, რომ ამ

# საუბრები შემოქმედის სამყაროს




ოქტომბრის ბოლოს თბილისში, დიუმას ცენტრში ბრეტანის და ლუარისპირეთის მწერალთა აკადემიის წარმომადგენლები ჩამობრძანდნენ: **ჟან ივ პომიკი, როლანდ ალბერი** და ჩვენი თანამემამულე, ემიგრაციაში მცხოვრები ცნობილი მეცნიერი და მწერალი **გასტონ ბუაჩიძე.**

დიუმას ცენტრი **ჟიულ ვერნის** დაბადებიდან ასი წლისთავს აღნიშნავდა...

ჩვენი ესოდენ დამღლელი ყოველდღიურობის ფონზე, ბუნებრივია, დავინტერესდით ჟიულ ვერნის აქტუალობით დღევანდელ ქართულ სინამდვილეში. აგვიხსნეს: საფრანგეთის ქალაქი ნანტი (ჟიულ ვერნის დაბადების ადგილი) და თბილისი ე. წ. დაძმობილებული ქალაქებია და ქართულ-ფრანგული ურთიერთობების ტრადიციები გრძელდება...

თუ როგორ ესმით კულტურული ტრადიციების ცნება ჩვენი ქალაქის დღევანდელ და გუშინდელ ხელისუფალთ, უკვე არაერთგზის გუდიაშვილის და კაკაბაძის ექსპოზიციაზეც მუშაობს.

პარალელურად ფრანგულ ენაზე იბეჭდება მისივე კრებული **„ქართული ფერწერის ნაამბობი“**




მწერალს საქართველოში ფეხი არასოდეს დაუდგამს... ნაწარმოების მთავარი გმირი პროფესიით რეპორტიორი, თბილისიდან პეკინამდე მოგზაურობს და სხვა მოგონებებთან ერთად ქართული ენის ჟღერადობაც ახსოვს. ვერნი ფრანგული ტრანსკრიფციით წერს სიტყვებს: „ქვა“, „დიპლიპიტო“, „სალამური“, „თავსაკრავი“ და ა. შ. ბატონ გასტონს მოგზაურთა თავგადასავლები განსაკუთრებულად აინტერესებს...

— **ბატონო გასტონ, თქვენ ერთხელ ასეთი კითხვა დასვით: „რა აზრი აქვსო კვალდაკვალ გაჰყვე მოგზაურს, რომელმაც თვითონაც შესანიშნავად აღწერა ეს მოგზაურობა (დიუმას ჩასვლას გულისხმობდით რუსეთსა და კავკასიაში), მაგრამ იქვე განმარტეთ, რომ დიუმამ არ იცოდა მისი მოგზაურობის მთავარი საიდუმლოებები... არ იცოდა, როგორ აღიქვამდნენ მას რუსები... ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ ჯაშუშები დასდევდნენ, ანუ ის, რაც 1936 წელს გამოქვეყნებულ რუსეთის პოლიციის არქივებში ამოიკითხეთ...**

**საერთოდ კი, მოგზაურობა, გზა ალბათ ადამიანის ცხოვრების სიმბოლოცაა... ადამიანი სადღაც მიდის, მიდის... ჰგონია, ყველაფერს ხედავს და სინამდვილეში მის გარშემო რა ხდება, არც იცის...**

— ლიტერატურა ლიტერატურული სიმბოლოების და თამაშების გარეშე არ არსებობს...

რაც შეეხება რუსეთის საიდუმლო პოლიციას, მას უცხოელებიც ემსახურებოდნენ.

დიუმას მოგზაურობისას ხშირად თან ახლდა ფრანგი შარლ დიურანი და მეგობრულ რჩევებსაც აძლევდა. სინამდვილეში კი ის რუსეთის პოლიციის აგენტი იყო. დიუმა ისე მოკვდა, ეს არ იცოდა...

იხ. მე-12 გვ.

– „მაინც ამოვთხრით!“ – თქვა ქალაქის მერმა და რამდენიმე დღის გარჯის შედეგად ძლივძლივობით, მაგრამ მაინც „ამოთხარა“ დავით აღმაშენებლის ძეგლი.

პარალელურად ამ თემაზე ფელეტონებსაც ვისმენდით, სადაც ჩვენი ყმაწვილი მწერლების ბაგეთაგან ხმამაღალმა სატირებმა გაიჟღერა გემოვნების და კონფორმიზმის შესახებ.

ამის საპასუხოდ გთავაზობთ გენიალური მოქანდაკის – მერაბ ბერძენიშვილის რამდენიმე ცნობილ ნამუშევარს.













№ 257-258. შაბათი, 5 ნოემბერი, 2005 წელი.

# საუბრები შემოქმედის სამყაროს გასტონ ბუაჩიძესთან

(მეთერთმეტე გვერდიდან)

## რა არის ნამდვილი და მოჩვენებითი...

უკვე დავამთავრე ტრიპტიხი „ფეხდაფეხ“, ანუ სამი წიგნი — **ალექსანდრე დიუმას, ასტოლფ დე კიუსტინის და ანდრე ჟიდის** მოგზაურობათა შესახებ... ჟანრობრივად ეს დოკუმენტური მოთხრობებია. ეს არც ესსეა და არც კვლევა. აგებულია მხატვრული ნაწარმოების არქიტექტონიკის გათვალისწინებით. სამივე წიგნს აქვს გამაერთიანებელი ხაზი, დასმული კითხვა: რა არის სინამდვილე და რა არის მოჩვენებითობა... ამა თუ იმ ქვეყანაში, ყველგან წააწყდებით ემპირიულ



მოჩვენებითობას... ზოგჯერ შეიძლება უცხო თვალმა უფრო ზუსტად დაინახოს სინამდვილე, ვიდრე შენ ხედავ...

იყო ასეთი ფრანგი მწერალი **ასტოლფ კიუსტინი,** მეფისდროინდელი რუსეთის დიდი მოყვარული და რომ კარგად ენახა და თავისი თანაგრძნობა დაედასტურებინა, დიდ რუსეთში გაემგზავრა. როგორც აღნიშნავდა, სურდა ეხილა თავისუფალი და აბსოლიტური მონარქია, მაგრამ ჩასვლისთანავე იმედი გაუცრუვდა... დაწერა, რომ **რუსი, თავი ბუნებით, არის მონა!**

ორი ტომი შექმნა ჩრდილოეთის ამ ქვეყანაზე და ძალიან კრიტიკული...

რუსეთში დღემდე არ უყვართ ეს ავტორი, ვერ უპატიებიათ მისეული ეპითეტები.

სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ კუისტინს გულწრფელად უყვარდა რუსი ადამიანები და ეს ყველაფერი მათდამი თანაგრძნობით დაწერა. (რა თქმა უნდა, ის ილია ჭავჭავაძეს არ იცნობდა და არც მრუდე სარკეში ჩახედვის მისეულ თეორიას)...

**— ანდრე ჟიდიც თავიდან ძალიან აქებდა საბჭოთა კავშირს და მის იდეოლოგიას, სანამ ყველაფერს თავისი თვალით ნახავდა...**

— მასაც ჰქონდა გულწრფელი განზრახვა საქები წიგნი დაეწერა საბჭოთა კავშირზე. იზიარებდა კომუნისტურ იდეოლოგიას, მაგრამ უცებ აღმოაჩინა დიდი ნაპრალები... მერე ეუბნებოდნენ, ყოველგვარი არგუმენტაციების გარეშე, უბრალოდ უნდა გწამდესო კომუნიზმი.

ჟიდისთვის პირველი სერიოზული განხიბვლა ეს იყო: **„თუკი აპრიორულად უნდა ვიწამო, რაღა კომუნისტებს, ღმერთს ვიწამებო“...** ამ დროს ის 60 წელს მიახლოებული იყო და ცხოვრების დიდი გამოცდილებაც ჰქონდა... საბჭოთა ოფიციოზი ოფიციალურ მიღებაზე ეპატიჟებოდა, ის კი იქიდან მოულოდნელად გარბოდა „სხვა ადგილებში“ ეძებდა ნამდვილ სურათებს. ამან დიდი სკანდალი გამოიწვია...

კიუსტონი და ჟიდი ერთნაირად ვერ მოუნელებიათ რუსებს: „საფრანგეთშიც ბევრი რამ არის გასაკრიტიკებელიო“... გააკრიტიკონ, ვინ უშლის?.. არ უნდა იყოს აკრძალვა. ვისაც უნდა დაწეროს, რას მიიჩნევს ტყუილად და რაც სიმართლედ...

კიუსტინს თავისუფალი მონარქიის ნახვა უნდოდა, ჟიდს — თანასწორუფლებიანი ქვეყნის... აღმოჩნდა, რომ ყველაფერი სხვაგვარად იყო...

**— მაინც, რატომ ეგონათ ადრე სულ სხვაგვარად... საიდან მომდინარეობს უცხოელების გულუბრყვილობა და ფაქტების არცოდნა?**

— საბჭოთა იმპერია ეს იყო მართლაც უსასტიკესი სისტემა. ამ ყველაფერს ახალგაზრდობიდანვე ვხედავდი, მაგრამ ძალიან მაინტერესებდა და მიკვირდა, „იქიდან“ რატომ იქებდნენ მას?

სახელგანთქმული ფრანგი მწერალი, XX საუკუნის კლასიკოსი **ანდრე ჟიდი ჩამოდის საბჭოეთში 1936 წელს.** სწორედ მაშინ ვითარდება ის საშინელი პროცესები: დაპატიმრებები, სასამართლოები... მაშინდელ ქართულ, რუსულ და ფრანგულ პრესას გადავხედე...

ფრანგულ მედიაში სულ ასეთი კითხვა ფიგურირებდა: **თუკი ადამიანები, რომლებსაც ამ სასამართლო პროცესებზე ადანაშაულებენ, არ არიან დამნაშავენი, რატომ არ ამბობენ? რატომ არ იმართლებენ თავს?..**

**— ცნობილია, რომ ტიციან ტაბიძემ ჩეკაში, საგამოძიებო პროცესზე აღიარა და საკუთარი ხელის მოწერით დაადასტურა, რომ ის არის საფრანგეთის ჯაშუში და ანდრე ჟიდის საშუალებით ბურჟუაზიულ ქვეყნებს ანტისაბჭოთა ინფორმაციებს გადასცემდა...**

— საფრანგეთში ჩასულმა ანდრე ჟიდმა, როდესაც თავისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა, მასთან დაახლოებული **პაოლო იაშვილი** მიხვდა, რომ აღარ დაინდობდნენ. პაოლოს თვითმკვლელობაც ჟიდის გულწრფელ წიგნს უკავშირდება და ტიციანის შემდგომი დაპატიმრებაც...

**— საინტერესოა, ჰყავდა თუ არა საბჭოთა იმპერიას ბოლომდე ერთგული უცხოელი მეგობარი?**

— ერთ ასეთ ეპიზოდს გიამბობ: 1937 წელია. ანდრე ჟიდის თვითმფრინავი უნდა დაეშვას მოსკოვის აეროდრომზე.

გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზეა. დანიშნული დროისთვის შესახვედრად მოდიან ინტელიგენცია, მწერლები, კომკავშირლები...

მაგრამ... ფაქტობრივად, დანიშნულ დროზე ერთი საათით ადრე, ჟიდი უკვე ჩამოფრენილია და მას შინსახკომის თანამშრომლებთან ერთად უკვე დახვდა ლუი არაგონიც.

**— ესე იგი ჟიდი აეროპორტში უფრო ადრე ჩაფრინდა?**

— რა თქმა უნდა, ის გაიყვანეს და დანიშნულ დროზე მოსული დამხვდურები ამაოდ ელიან. უკვირთ, ჰგონიათ, რომ თვითმფრინავი იგვიანებს. სინამდვილეში, შინსახკომმა გასცა ბრძანება, რომ ჯერ უნდა დაეზუსტებინათ ანდრე ჟიდის პოზიციები საბჭოთა კავშირის მიმართ და მერე შეხვედროდა ინტელიგენციას.

**— ლუი არაგონი?**

— ლუი არაგონი **იმათი** იყო. ერთგან დაწერა კიდეც: მე აეროპორტში ჟიდს არ შევხვედრივარ, ავცდიო, მაგრამ ამ შეხვედრის დამადასტურებელი ფოტოები არსებობს... ჟიდის ანტისაბჭოთა განწყობილებებიც არ მოიწონა და არ სურდა საერთოდ ჟიდთან ერთად ეხსენებინათ...

სხვათაშორის, იმასაც ამბობდა, ვისაც აპატიმრებენ და ხვრეტენ, ალბათ რაიმე დანაშაული აქვთო ჩადენილი... რეაბილიტაციის წლების შემდგომ უეცრად განაცხადა: მე ვიცოდი, რომ უდანაშაულონი იყვნენო...

საერთოდ, მე ყოველგვარი ჩარევების წინააღმდეგი ვარ, მაგრამ იქნებ სჯობდეს არსებობდეს ადამიანთა უფლებების დამცველი რაიმე ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც ნებისმიერ სისასტიკეს პრინციპულად დაუპირისპირდება...

**— ბატონო გასტონ, თქვენ ფიქრობთ, რომ წარსულში არსებული სისასტიკეები შესაძლებელია მომავალშიც განმეორდეს?**

— რა თქმა უნდა. აი, გერმანიაში აღიარეს ფაშიზმის დანაშაული. ბერლინში დაღუპულ ებრაელთა ხსოვნის მემორიალიც ააგეს, ბოდიში მოუხადეს... რუსეთში ჯერ გაურკვეველი ვითარებაა... გაურკვევლობაა საქართველოშიც...

* * *

**გასტონ ბუაჩიძის უკანასკნელი წიგნების გმირები მოგზაურობენ, მაგრამ პილიგრიმები არ არიან... სიმართლე, რასაც ისინი ასე გულმოდგინედ ეძებდნენ, საუკუნის მერე ხდება ნათელი, თუმცა ავტორი სიმბოლოებით დაშიფრულად გვამცნობს, რომ არაფერია ბოლომდე ახსნილი და არვინ იცის რა მოხდება შემდგომ...**

ესაუბრა **ნინო ხოფერია**

**სურათზე:** ნანტი, შუმანის სკვერი, გასტონ ბუაჩიძე მეუღლესთან და შვილიშვილ ლუკასთან ერთად.

---

მისი შემოქმედების მთავარი თემაა უნიკალური ქართული ანბანი, რომელიც ბევრ საკრალურ სიბრძნეს ინახავს, ღვთივკურთხეულ მეფეთა საიდუმლოებანი, ეროვნული გმირების გალერეა, საქართველოს ბუნების, ქართული ხასიათის, კულტურის და პოეზიის არსი, კავკასიური რასის სიდიადე...

# იაპონური მზე „სამეფო პალიტრაზე“

**ბუდუ სირბილაძეს** „სამოციანელთა“ ნიჭიერი და გაბედული თაობის ერთ-ერთ წარმომადგენელს, კარგად იცნობენ კოლეგები, სპეციალისტები, საზოგადოების წევრები. იგი მრავალი შესანიშნავი პორტრეტის, მემორიალის, მონუმენტური პანოს ავტორია, ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოსთან არსებულ მხატვართა გაერთიანებას „სამეფო პალიტრას“ ხელმძღვანელობს, საქართველო-იაპონიის ასოციაციის წევრიცაა.

სუფთა, უღალატო პიროვნებაა, ერიდება ყოველგვარ კონფორმიზს და ჩვენი ყოფით სიდუხჭირის მიუხედავად ფასეულობათა რკალს არ ცვლის. ემსახურება მარადიულს, სამშობლოს, სიკეთეს, სილამაზეს...

შემთხვევითი როდია, რომ მისი ტრიპტიხი: „მე-XX საუკუნის წამებული რაინდები“. გენერალი კოტე აფხაზი, ეროვნული გმირი, პოლკოვნიკი-ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი — ზვიად გამსახურდია განსაკუთრებული ოსტატობით და ექსპრესიით გამოირჩევა. შემოქმედმა გააცოცხლა უკვდავებაში გადასული ერის საუკეთესო შვილები, რომლებიც ზვარაკად შეეწირნენ საქართველოს თავისუფლებას.

მხატვრის ახალი ნამუშევარია მემორიალური სვეტი „მზე მეგობრობისა“, რომელიც ეძღვნება ქართველი და იაპონელი ხალხების მეგობრობას. მემორიალის ესკიზი განიხილეს საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ასოციაციაში (პრეზიდენტი — კარლო ქველაძე) იაპონელი სტუმრების: სატო კადზუკის (ვიცე-პრეზიდენტი), კადჟიამას ტაცუსის (კულტურის განყოფილების უფროსი) გუნდჟი რიოს (გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე) თანდასწრებით. იაპონელებმა მოიწონეს ესკიზი და სურვილი გამოთქვეს ამ მემორიალური სვეტის აღმართვისა ორივე ქვეყანაში.

ბატონ ბუდუ სირბილაძეს მივულოცეთ ეს დიდი წარმატება და ვთხოვეთ განემარტა მემორიალის ლაიტმოტივი.

— „ძალიან ლამაზი, სრულყოფილი და განზოგადებულია იაპონიის დროშა. საქართველოს დროშაც სრულად გამოხატავს ქართველთა ხასიათს. ორივე ქვეყანას ახასიათებს მზისადმი განსაკუთრებული პატივისცემა. ქართველებისა და იაპონელების სწრაფვა — მზის სიმბოლიკა გამოხატონ ხელოვნებაში თუ დამწერლობაში, საოცარია და უძველესი. ჩავიფიქრე ამ ერთობის სიმბოლოები ავსახო ერთ მემორიალურ სვეტზე, რომლის კვარცხლბეკზეც აღიმართება საქართველოსა და იაპონიის სახელმწიფო დროშები ნახევარ ცილინდრისებურ სვეტებზე მზის სიმბოლური გამოსახულებით. მზის შუაგულში — ჩიტების ბუდეა ბარტყებით — როგორც მარადიული სიცოცხლის სილამაზის და მომავლის სიმბოლო. ვფიქრობ, ცისფერ ჰორიზონტზე აღმართული ზურმუხტიფერი კვარცხლბეკი, სვეტის ოქროსფერი დისკო ქართულ-იაპონური წარწერები — შთამბეჭდავად ამეტყველდება ჩვენი ხალხების კეთილ ურთიერთობაზე.

**ია ბაგრატიონ-მუხრანელი**

**სურათზე:** ბუდუ სირბილაძე მემორიალური სვეტის ესკიზთან



№ 257-258. შაბათი, 5 ნოემბერი, 2005 წელი.

**თანდათან** დავიწყებას ეძლევა ის, რაც იყო, რადგან დაბრუნების – წარსულის თავისებური პროექციის ინტერესი გაცილებით გვიან ჩნდება...

მონუმენტური ფერწერის შემორჩენილი ფრაგმენტები აბსოლუტურ და ძველ ნიშნებს გვაგონებს, რის გადმოცემა თუ განმარტება დღეს შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ასევე შეუძლებელია თანამედროვე მხატვრის მიერ მისი სრული აღდგენაც... არავინ იცის, როგორი ცოდნა ჩადო მათში, თუნდაც, გვიანდელი რენესანსის მხატვარმა... ამიტომ გადაშლილი ადგილები თუ კედლის ბზარები დედნის მნიშვნელობით გადმოაქვთ, დაახლოებით ისე, როგორც ზემოთ ნახსენები დროის ნიშნები...

# „მე მათ ბედნიერება მომანიჭეს...“

ასლის გადაღება რომ მექანიკური პროცესი არ არის და მხოლოდ პროფესიონალიზმს არ გულისხმობს, ეს თითქოსდა ვიცით... იგივე მოცულობა, იგივე ფერი, იგივე ხაზი... მაგრამ დედანი სხვაა და ასლი სხვა...

ამ საიდუმლოს მნიშვნელობა მრავალი წლის წინათ ქალბატონმა **სოფიო ლემბერგმა (მირზაშვილმა)** შეძლებისდაგვარად ამიხსნა, როცა უკვე შესრულებული ჰქონდა ქართული ეკლესიების ფრესკების და ძველი ხელნაწერების მინიატიურების მრავალი ასლი...



შევეცდები თანმიმდევრობით აღვადგინო ქალბატონი სოფიოს საუბარი:

— **დიდხანს ვერ მივხვდი რა ხდებოდა... ვხატავდი ტემპერით, ანუ იმ საღებავით, რასაც იყენებდნენ ფრესკის მაშინდელი ოსტატები. უფრო მეტიც, თავად ვამზადებდი ბალახების, ყვავილების და კვერცხის გულისგან... მინდოდა, ზუსტად იმ საშუალებით მემუშავა, რითაც ისინი მუშაობდნენ... ვაკვირდებოდი, სად იწყებოდა კომპოზიცია. ზუსტად მივსდევდი ფუნჯის მონასმის მიმართულებას... გარეგნულად თითქოს ყველაფერი ზუსტად ისეთი იყო, მაგრამ ვგრძნობდი, რაღაც ყველაზე მთავარი აკლდა...**

**მივხვდი, რომ საფუძვლიანად უნდა შემესწავლა ის ეპოქა... უნდა გადავსახლებულიყავი იმ დროში... განვმსჭვალულიყავი იმ, ჩემთვის უცნობი, უსახელოდ დარჩენილი მხატვრის სულისკვეთებით, განცდებით და რწმენით...**

* * *

**ეს** იყო ალბათ დროის უწყვეტობის შეგრძნება, სწრაფვა მისადმი... გამბედაობაც... განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობა იმ საიდუმლოსადმი, რის წინაშეც ასეთი მოკრძალებით იდგა... ამას თან ახლდა ქალბატონ სოფიოს საოცრად ემოციური ბუნება, მუდმივი მღელვარება... სურვილი, სხვებისთვისაც დაენახვებინა ამაღლებული...

სხვადასხვა ასაკის მეგობრები ჰყავდა... წამიკითხავს მისადმი მიძღვნილი გულუბრყვილო ლექსები... წერილებიც, სადაც დაწვრილებით აღწერდნენ, თუ როგორ ადიოდა ეს ახალგაზრდა, ცისფერთვალება ქალი ტაძარში აგებულ ხარაჩოებზე, აჰქონდა საღებავები, ტილოები და განადგურების პირას მისულ ფრესკებს მთელი სიზუსტით იხატავდა... ზოგჯერ სიცივეში ეყინებოდა ხელებიც, საღებავებიც... და პატარა სანთლებზე ათბობდა... სოფლის მცხოვრებლები თანაუგრძნობდნენ, უყვარდებოდათ მათთვის უცხო საქმიანობით დაკავებული ეს არაორდინარული ქალი, რომელიც იქ ხშირად პატარა შვილთან ერთად ჩადიოდა...

თენგიზ მირზაშვილს დღემდე პირველყოფილი სიცხადით ახსოვს მაშინდელი დღეები და ალბათ სხვა ფორმებით აგრძელებს იმ სამყაროს ნაწილად ყოფნას...

* * *

**ქალბატონ** სოფიოს საკუთარი შვილის სურათის გვერდით, საწოლთან, **ლიდია დურნოვოს** სურათი ეკიდა — მისი მასწავლებლის, ფრესკების საუკეთესო მცოდნის, დიდი სპეციალისტის.

1932 წელს გელათში, გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციაში გაიცნო და მისი, როგორც ოსტატის, ბოლომდე ერთგული დარჩა... ერთგული დარჩა იმ შესრულების მანერისაც და ტექნიკის, რომელიც ლიდია დურნოვომ ლენინგრადის რუსული ხელოვნების მუზეუმში შეასწავლა...

საქართველოში სოფიო მირზაშვილის ნამუშევრებს **„გაცოცხლებული ფრესკები“** უწოდეს.

ის ქებისადმი გულგრილი არ ყოფილა... უხაროდა, ძალიან უხაროდა, მადლობას რომ ეუბნებოდნენ...

გადიოდა წლები და ზოგი ტაძარი, სადაც ქალბატონი სოფიო ოდესღაც მუშაობდა, დროთა განმავლობაში დაზიანდა, ზოგიც მიწისძვრისა თუ სხვა სტიქიური უბედურებებისგან დაინგრა! შესაბამისად განადგურდა კედლის მხატვრობაც...



მაგრამ ქალბატონ სოფიოს ღვაწლის შედეგად ქართული ხელოვნების ისტორიას შემორჩა იმ ფრესკების ანალოგიური ზომის და ანალოგიური ტექნიკით შესრულებული ასლები... მან საქართველოს მუზეუმებს და ქართველებს დაუტოვა **ატენის სიონის, ბეთანიის, ბუგეულის, მღვიმევის, ყინწვისის, ხობის, გელათის, ზემო კრიხის, სორის ეკლესიათა ფრესკების ასლები...** მანვე ფილიგრანული ოსტატობით შეასრულა **ძველ ქართულ ხელნაწერთა მინიატიურების ასლებიც...**

* * *

**უკანასკნელად** მახსოვს, ქალბატონ სოფიოს თავის ოთახში, მოლბერტზე თამარის ფრესკა ედო. თავად ავადმყოფობდა, ლოგინად იწვა...

ტელევიზიის ოპერატორი მივიყვანე, რომელმაც ამ მშვენიერი ქალბატონით გულწრფელი აღტაცება ვერ დაფარა...

ჩვენს კომპლიმენტარულ ნაწილს ქალბატონმა სოფიომ დაახლოებით ისე უპასუხა, როგორც მუზეუმში, თავისი პერსონალური გამოფენის შემდეგ:



— **წარმოშობით არ ვარ ქართველი, მაგრამ მადლობელი ვარ ქართული კულტურის, რომელმაც მომანიჭა თქვენი წარსულის და ისტორიის ნამდვილი სიყვარულის უნარი. მადლობელი ვარ ქართული ტაძრების იმ უსახელო მხატვრების, რომლებმაც მომცეს საშუალება შემეგრძნო მათი დიდი ნიჭი და სული... მე მათ ბედნიერება მომანიჭეს...**

მახსოვს, ტელეოპერატორის მიერ გადაღებული ერთ-ერთი კადრი, ახლო ხედით: ქალბატონ სოფიოს ცრემლი ედგა თვალებში...

* * *

**მხატვართა** და ხელოვნების ისტორიკოსთა თხზულებებში მრავალგზის გამოთქმული წუხილია, რომ ცოტა რამ დარჩა არა მარტო ანტიკური ფერწერიდან, არამედ რენესანსის ეპოქის მონუმენტური მხატვრობიდანაც... ნუთუ ხელოვნება არ არის დროსა და ცხოვრებაზე ძლიერი და გრძელი?..

დღეს ადამიანის მოღვაწეობის შემცვლელ ტექნოლოგიებზე საუბრობენ, რომელიც კულტურული სივრცის მიმართაც ვრცელდება. ფრესკების ასლებსაც ამ ახალი ტექნოლოგიებით გააკეთებენ... მაგრამ ხელოვანის ემოციას, მის ნამდვილ სამყაროს ალბათ ვერაფერი შეცვლის, აუხსნელი ისევ აუხსნელ საიდუმლოდ დარჩება, რომელთანაც მიახლოებას ქალბატონი სოფიო ასეთი დიდი სიფრთხილით და სიყვარულით ცდილობდა...

**ნინო ხოფერია**

**სურათებზე: სოფიო ლემბერგი (მირზაშვილი), შვილთან, თენგიზ მირზაშვილთან ერთად. 1935 წელი (რევაზ მირზაშვილის ფოტო); სოფიო ლემბერგი ბეთანიაში (მერაბ ახობაძის ფოტო).**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 257-258. შაბათი, 5 ნოემბერი, 2005 წელი.

# „მე თქვენი ხმა ვარ..."

## საბავშვო წიგნებშიც ის წერია, რაც დიდებს აინტერესებთ...

**მწერალი ქალი კორნელია ფუნკე 1958 წელს დაიბადა. პედაგოგის დიპლომის აღების შემდეგ სამი წელი საბავშო ბაღში მუშაობდა აღმზრდელად და პარალელურად ბავშვების წიგნების მხატვარ-ილუსტრატორის პროფესიას ეუფლებოდა: 1986-ში, როგორც ფერმწერმა, პირველი წიგნი გააფორმა, მაგრამ უკმაყოფილო დარჩა სხვა ავტორთა იმ ტექსტებით, რომელთა ილუსტრირებაც მოუწია. ორი წლის შემდეგ თავად დაწერა და გააფორმა წიგნი, რომელსაც უზარმაზარი წარმატება მოჰყვა.**



საერთაშორისო აღიარება ფუნკეს მოუტანა **„გურდთა მბრძანებელმა“**, რომელიც 27 ქვეყანაში გამოქვეყნდა (იმათ რიცხვში, აშშ-შიც) და ყველგან ბესტსელერად იქცა. წლეულს მწერალმა დასტამბა წიგნი **„მელნის სისხლი“.** ამჟამად ჰოლივუდისათვის ამზადებს რომანის **„მელნის გულის“** ინსცენირებას. ცხოვრობს ლოს-ანჟელესში, ქმარსა და ორ შვილთან ერთად.

**კვლივ ბარკერი** (მამაკაცია) 1952-ში დაიბადა ლივერპულში. ყურადღება მიიპყრო სამეცნიერო ნაშრომით **„საშინელებათა ჟანრის მომავალი“.** 1980-იან წლებში მსოფლიოს გული მოიგო ფანტასტიკური რომანით „ზენოვიტერი“, რომელიც მუტანტი გმირებითაა დასახლებული. ისინი ტელეკინეზის დახმარებით გადაადგილდებიან და სხვა ადამიანებს ანადგურებენ.

რომანებისა და მოთხრობების პარალელურად ბარკერი სცენარებს წერდა საშინელებათა ფილმებისათვის და პროდიუსერობას უწევდა ჰოლივუდის სურათებს. უკვე 12 წელიწადია, რაც ლოს-ანჟელესში ცხოვრობს. სახლთან ახლოს აქვს ატელიე, სადაც ფერწერითაა დაკავებული — ფანტასტიკურ ნახატებს ხატავს. წლეულს გამოაქვეყნა წიგნი **„არაბატი“**, რომელიც სულის სიღრმემდე ჩასწვდა პატარა მკითხველს. ახლა მუშაობს ფილმზე **„ღმერთები და მონსტრები“.**

ორივე მწერალმა იცის, თუ როგორ უნდა შეითხზას კარგი წიგნები ბავშვებისათვის. წლეულს ორივემ გამოუშვა ახალი ნაწარმოები... ჟურნალ „შტერნის“ რედაქციამ გადაწყვიტა, რომ პირისპირ შეეყარა ისინი. ფუნკე და ბარკერი ლოს-ანჟელესში შეხვდნენ და სასაუბროდ ბარკერის ატელიეში შევიდნენ, რომელიც სავსეა ფანტასტიკური სურათებით: არაჩვეულებრივი პეიზაჟები, დემონები, ხახიდან ცეცხლის ენების მფრქვეველი დრაკონები... საუბარი „შტერნის“ კორესპონდენტმა დაიწყო:

**— რა არის ბავშვთათვის განკუთვნილი წიგნების მთავარი თავისებურება?**

**ფუნკე** — არ შეიძლება, რომ საკუთარ თავს უთხრა — მოდი, უფრო მარტივად დავწერ, რაკი ბავშვებისთვის არის გამიზნული.

**ბარკერი** — ნორჩებისათვის როცა ვწერ, ვცდილობ მკვეთრი გამოთქმებისაგან თავის შეკავებას და სექსზე ნაკლებად ფიქრს.

გმირებს რომ წარმოვიდგენ ხოლმე, მომწონს, რომ ბავშვები არიან, თუმცა ზოგჯერ ბრძნული სული, დიდთა სული უჩანთ.

**ფუნკე** — ჰო, მაგრამ ყველა ბავშვი ხომ ასეა მოწყობილი. შენ ხომ იცი, რა ჭკვიანურ და ფილოსოფიურ შეკითხვებს იძლევიან ხანდახან.

**ბარკერი** — ბავშვობაში ბევრს კითხულობდი? შინ ბევრი წიგნი გქონდა?

**ფუნკე** — ვკითხულობდი კი არა, პირდაპირ ვყლაპავდი... არც ისე ბევრი წიგნი მქონია. მამა რომ წიგნის მაღაზიაში მიდიოდა, ყოველთვის თან მივყავდი. შენ თუ ყიდულობდი ბავშვობაში წიგნებს?

**ბარკერი** — ყიდვით არა, მაგრამ ვიპარავდი.

**ფუნკე** — იცი, ჩემი გმირები არცთუ ძალიან მომწონს, მაგალითად, ტრილოგიიდან „მელნის გული“... ისინი მატყუარები, მაწანწალები არიან, გაურბიან მოყვარულ ადამიანებს.

**ბარკერი** — ჰო, შენ იცი, რას ნიშნავს ბოროტი ბავშვები.

**ფუნკე** — სკოლაში ყველაზე მეტად იმ მასწავლებლებისა მეშინოდა, რომლებიც ბავშვების დათრგუნვას ინტელექტუალობით ცდილობდნენ. აქამდეც არ ვენდობი ასეთ ინტელექტუალებს... მგონი, გიამბე როგორი რელიგიური ვიყავი ბავშვობაში.

**ბარკერი** — ახლაც სამაგალითო კათოლიკე ხარ?

**ფუნკე** — იმ დღეს, როცა რომის პაპმა განაცხადა, შიდსი სასჯელია ჰომოსექსუალიზმისთვისო, ქმარს ვუთხარი — გესმის, რას ამბობს? მორჩა, დღეიდან ჩემი ფეხი არ იქნება ეკლესიაში.

**ბარკერი** — პატივს გცემ ამისათვის. მე კი არასოდეს ვყოფილვარ რელიგიური კაცი.

**ფუნკე** — მე მგონია, ჩვენს შორის ისიც არის განსხვავება, რომ მე ვაკვირდები ყველაფერს და ისე აღვწერ, შენ კი ცდილობ, რომ თვითონ განიცადო. ამას მე ვერ გავაკეთებდი. მეშინია სიკეთისა და ადამიანურობის დაკარგვისა.

**ბარკერი** — მე კი მეჩვენება, რომ ბოროტებასთან შეხვედრა მათავისუფლებს. ბავშვობაში პატარა, სქელი ვიყავი, ძალიან მაშინებდნენ თანაკლასელები, მეგონა, მომკლავენ-მეთქი, განსაკუთრებით მაშინ, როცა გაზეთში მკვლელობებზე ვკითხულობდი... მეგონა, რომ მეც შევძლებდი ბოროტი და სასტიკი ვყოფილიყავი.

**ფუნკე** — გონება ხშირად მეკითხება: როგორ შეგიძლია, რომ კეთილმოწყალეობისა და ღვთისა გჯეროდეს? გული კი უპასუხებს: რატომაც არა? ზოგჯერ ვფიქრობ, რომ **გონება ძალიან ცუდი ინსტრუმენტია. არ შეუძლია ყველაზე მნიშვნელოვან შეკითხვებზე პასუხის გაცემა.**

**ბარკერი** — საინტერესოა, რომ საბავშვო წიგნებში მუდამ იმ თემებს ვეხებით, რომელთა არიდებასაც მოზრდილთათვის შექმნილი ლიტერატურა ცდილობს. ნახე, როგორი კითხვები არ ასვენებენ თოთხმეტი წლის მოზარდებს: აქ რატომ ვარ? ვინ გამაჩინა? რა არის მარადისობა? სად თავდება სამყარო? რა ხდება სიკვდილის შემდეგ?

**ფუნკე** — ჩვენ არ ძალგვიძს ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. მხოლოდ შეკითხვების მიცემა შეგვიძლია. ჩემს მკითხველებს რომ ვხვდები, ყოველთვის ვეუბნები: **მე თქვენი ხმა ვარ, სიტყვებით იმას გამოვხატავ, რაც გაწუხებთ.**

**Культура**

**გთავაზობთ კიდევ ერთ ფრაგმენტს ქალბატონ ბაბო დადიანის დღიურიდან. ამ ფურცლებზე უკვე რეაბილიტაციის შემდგომი პერიოდის ამბებია და ფიქრი იმაზე, თუ რა იყო და რა იქნება... წარსული ხომ არასდროს არ გვტოვებს... წარსული მუდამ თან ახლავს ადამიანებს...**

# დედის დღიური შვილის კომენტარებით...

ᲗᲐᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: არ ვიცი, როგორღაც გადავრჩით. ახლაც, როცა დედა აღარ არის, მგონია, რომ ისევ მისი ლოცვა გვშველის და მეჩვენება, რომ ყველანი მაინც ერთად ვართ... ბაბუის, **კოკი დადიანის** შთამომავლები სხვადასხვა ქვეყნებში დაიფანტნენ. 8 შვილი ჰყავდა. საქართველოში იყვნენ — **ბაბო, დემნა, ნიკოლოზი (ბონდო) და მერი. უფროსი ვაჟი მიხეილი,** ყოფილი იუნკერი, ვაშინგტონშია დასაფლავებული, კენედის სასაფლაოზე. ჰყავს ორი შვილი — ცოტნე და ლაისო დადიანები. ისინი ვაშინგტონში ცხოვრობენ. სამწუხაროდ, მათ უკვე უჭირთ ქართულად ლაპარაკი. დასანანია ეს ფაქტი. ისინი ხომ ივანე გომართელის და კოკი დადიანის შვილიშვილები არიან... მათ ჰყავთ სამსამი ქალიშვილი. საერთოდ, კოკი დადიანის არც ერთ შვილს არ გაუჩნდა ვაჟი, გვარის გამგრძელებელი...

**გიორგი** და **მია** პარიზში არიან დაკრძალულები, სიმონიკა სან-ფრანცისკოში განისვენებს. ის ცნობილი მხატვარი იყო. სხვათა შორის ამას წინათ ზეინაბმა მითხრა **(სალომე ზურაბიშვილის დედამ):** „რას ფიქრობთ სიმონიკას მემკვიდრეობაზე, მისახედიაო...“ მართლაც, მისახედია მისი ნახატები, სკულპტურა... იმდროინდელ ამერიკულ ჟურნალებსა და გაზეთებში დაბეჭდილი რეცენზიები სიმონიკას ანუ სიმონ დადიანის შემოქმედებას დიდ შეფასებას აძლევენ. ამერიკის ხუთ ყველაზე საუკეთესო მხატვართა შორის ასახელებენ.

1952 წელს, ნიუ-იორკის “Moutros Galery”-ში მოწყობილ გამოფენაზე ჟურნალი Art Pigesi” წერდა: **„დადიანმა მეორე პრემია მიიღო. მის ნამუშევრებში გამოყენებულია სტილიზაციის მთელი სისტემა, რომელიც მოდელიანის სტილიზაციას მოგვაგონებს. მისი ქანდაკებების დახვეწილი, აბსტრაქტული ფორმები ადამიანის სხეულის ანატომიის ცოდნას ეფუძნება. ავლენს ავტორის გარკვეულ იუმორის გრძნობას და განსაკუთრებული ძალით გადმოსცემს პიროვნების თავისებურ ხასიათს“.**

ბიძაჩემი სიმონიკა 1974 წელს გარდაიცვალა სან-ფრანცისკოში, ორმოცდათვრამეტი წლის ასაკში...

**ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ: „სტალინის რეჟიმი აღარ იყო. ყველაფერი შეიცვალა. მეც დავიწყე მერი დედასთან მიწერ-მოწერა. მისგან მიწვევა მივიღე. სადაც ჯერ არს უარი მითხრეს.**

**გავაგზავნე მოსკოვში ვრცელი განცხადება. ვწერდი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ნანახი უსამართლობის შესახებ... რომ მაქვს მიღებული რეაბილიტაცია... რომ პარიზში ცხოვრობს ჩემი ოჯახი: დედა — 80 წლის, ძმა და უმცროსი და. ძმა ამერიკაში ცხოვრობს... საკვირველია, ვწერ განცხადებაში, სტალინის სიკვდილის შემდეგ გზა გაიხსნა, ძალიან ბევრი მიდის პარიზში. ბევრი ჩემი ნაცნობი სტუმრად იყო ჩემს დედასთან. მე რატომ მეკრძალება ეს? ვითხოვ თქვენს სამართლიან გადაწყვეტილებას, რათა წავიდე და ვინახულო ჩემი 45 წლის უნახავი ოჯახი.**



**გავიდა დრო და ერთ დღეს მივიღე უწყება. გამომიძახეს შინსახკომში. მკითხეს: მოსკოვში რატომ გაგზავნე საჩივარიო. შეავსეთ ანკეტები, რაც საჭიროა, ყველა საბუთი გაამზადეთ და მიიღებთ პარიზში წასვლის ნებასო...**

**სიხარულით შევუდექი საქმეს. მოსკოვიდანაც თანხმობა მივიღე. გამიშვეს.**

**1963 წელს პირველად ჩავედი პარიზში. სადგურზე დამხვდნენ გიორგი და მია. შინ გულამოსკვნილი მივედი. კიბეებზე მელოდა მერი დედა, წითელი შალი ჰქონდა მოხვეული. კოცნა, ხვევნა, ცრემლები. ღამე გვიან დავწექით.**

**მეორე დღეს წავედით ბაბას სასაფლაოზე. მძიმე განცდები. გულის ამაჩუყებელი წარწერა საფლავზე... მწარე, უძილო ღამე მქონდა ამის შემდეგ...**

**მერე დაიწყო ჩემი ტარება პარიზის ღირსშესანიშნავი ადგილების, ძეგლების სანახავად...**

**ისე უნდოდა ყველა იქაურ ქართველს ჩემი პატივსიცემა, რომ ჩამოწერეს სია: ვინ როდის წამიყვანდა. ყოველი დღე იყო საოცრად დატვირთული და საინტერესო... მერი დედასთან გაუთავებელი და ტკბილი საუბრები... ვიხსენებდით ნოსირს, ქუთაისს... თბილისში, რატიშჩევის ქუჩას (ახლანდელი ჯაფარიძის ქუჩა), სადაც იყო ჩემი ქორწილი, სუფრა, საუკეთესო საზოგადოება... ძალიან გვიანობამდე ვლაპარაკობდით... რამდენი რამ გვქონდა სათქმელი ნათესავებზე, მეგობრებზე...**

**მერი დედამ, გიორგიმ, მიამ, ლესიმ ერთხელ დამიპატიჟეს უამრავი სტუმარი — ემიგრაციაში მყოფი ახლობლები, ნაცნობები, მეგობრები. სულ 46 კაცი. დიდებულად გავატარეთ დრო.**

**პარიზში 3 თვე დავრჩი... ლამაზად გამომაწყვეს. უამრავი საჩუქარი მივიღე. ოჯახებშიც მომიწყვეს წვეულება ირინე და ნატაშა ბაგრატიონებთან (ბურების ქალიშვილები), ამილახვრებთან (ბაზირკას შვილებთან). ბაზირკა ამილახვის ქალიშვილი პრინც კინსკის მეუღლეა...**

**ერთ დილით კი ამერიკიდან, სან-ფრანციოსკოდან ჩამოვიდა ჩემი უმცროსი ძმა — სვიმიონი (სიმონიკა). იმავე დღეს, 3 საათზე, ვაშინგტონიდან ჩამოვიდა უფროსი ძმა მიშა (ბუჭუ). ცოლად ჰყავდა ვანო გომართელის ქალიშვილი — თინა. იმავე საღამოს ჩამოვიდა ბესო — ჩემი მაზლი...**

**გასაოცარი განცდები... ნახევარი საუკუნის უნახავი ძმების ჩამოსვლა... ნახევარი საუკუნის უნახავები ერთ დღეს ვნახე... სათითაოდ გულში ჩავიხუტე... შეუძლებელია ამ განცდების აღწერა...“**





**ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ბაბო დადიანი, ქართველი მხატვარი სიმონ დადიანი სან-ფრანსცისკოდან.**

გაფორმებულია რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრებით

**ჩვენი ტელეფონებია:
99-55-01; 893 14-57-56.**

ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.



№ 257-258. შაბათი, 5 ნოემბერი, 2005 წელი.

## ქრონოგრაფი

### 7 ნოემბერი, 1455 წელი



პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ლეგენდარული ჟანა დარკის დედა იზაბელა რომე ორლეანის მცხოვრებლებთან ერთად წარსდგა სამი პრელატის წინაშე, რათა დაეცვა თავისი ქალიშვილის სიმართლე. პრელატები პარიზში წარგზავნილნი იყვნენ რომის პაპის მიერ. იზაბელა რომე ამტკიცებდა, რომ მისი ქალიშვილი საფრანგეთის განთავისუფლებისთვის იბრძოდა და ითხოვდა, რომ მომხდარიყო 24 წლის წინათ კოცონზე დამწვარი ჟანა დარკის რეაბილიტაცია. 1456 წლის ზაფხულში საფრანგეთის ეროვნული გმირი გაამართლეს, ხოლო ოთხი ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1920 წელს ვატიკანმა იგი წმინდანად შერაცხა.

### 8 ნოემბერი, 1895 წელი



გერმანელმა ფიზიკოსმა ვილჰელმ კონრად რენტგენმა, ვიუცბურგის (ბავარიის) უნივერსიტეტის პროფესორმა და რექტორმა, თავისავე უნივერსიტეტის ლაბორატორიაში მარტოდმარტომ მოულოდნელად აღმოაჩინა „ყველგანგამავალი“ სხივები, რომელსაც შემდგომ „X-სხივი“, ანუ „რენტგენის სხივები“ უწოდეს. ამ ეპოქალურმა აღმოჩენამ მთელ მსოფლიოში საფუძველი დაუდო ატომურ-ბირთვულ მეცნიერებას. გერმანელი ფიზიკოსის აღმოჩენა 1901 წელს სათანადოდ დაფასდა, მას მსოფლიო ისტორიაში პირველად მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიკოსთა შორის.

### 9 ნოემბერი, 1520 წელი



ეს დღე ტრაგიკულად ითვლება არა მარტო შვედეთში, არამედ მთელ მსოფლიოში — საეკლესიო სასამართლოს მიერ სიკვდილით დასაჯეს ასობით თავადაზნაური და წარჩინებული მოქალაქე სტოკჰოლმისა, რომლებსაც ერეტიკოსობაში დასდეს ბრალი. ეს დღე მსოფლიო ისტორიაში „სტოკჰოლმის სისხლიანი დღითაა“ შესული. სინამდვილეში სასამართლომ დააკმაყოფილა შვედეთის ტახტზე ახლად გამეფებული დანიის მეფის ქრისტიან II ნება. მან 1520 წელს დაიპყრო შვედეთი, საიდანაც იგი 20 წლის წინათ განდევნეს. ქრისტიან II შური იძია თანაქალაქელებსა და დიდებულებზე, რომლებიც მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ.

### 10 ნოემბერი, 1910 წელი



დილის 5 საათზე საკუთარი სახლიდან იასნაია პოლიანას მამულიდან გავიდა დიდი რუსი მწერალი და ჰუმანისტი ლევ ტოლსტოი. 82 წლის მწერალმა თავის საწერ მაგიდაზე დაუტოვა უკანასკნელი წერილი მეუღლეს სოფია ანდრეევნას — „ჩემი გამგზავრება გაგაწბილებს, მაგრამ უნდა გამიგო, მე სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო. სახლში გაჩერება ჩემთვის აუტანელი გახდა. ყოველგვარი სისულელის გარდა, მე არ შემიძლია ამგვარ სიმდიდრეში ვიცხოვრო, სადაც აქამომდე ვცხოვრობდი. მე მოვიქეცი ისე, როგორც იქცევიან ჩემგვარი მოხუცები: განერიდებიან ბედნიერ და მშვიდობიან ცხოვრებას, რათა სიცოცხლის უკანასკნელი წუთები განმარტოვებითა და დამშვიდებით განლიონ“. ამ ფოტოზე დიდი მწერალი მეუღლესთან ერთად 1905 წელსაა გადაღებული.

# რობოტი საცეკვაოდ იწვევს კავალრებს

**თუ მეგობარი ქალი არ იზიარებს თქვენს მისწრაფებებს ცეკვებისადმი, ნუ იდარდებთ. შეგიძლიათ ეს პრობლემა უიმისოდ გადაჭრათ. მაგრამ რობოტი პარტნიორი ქალები ჯერჯერობით საკმარისი ოდენობით არ არიან.**

**დღეისთვის შექმნილია მხოლოდ „მდედრობითი სქესის“ მოცეკვავე რობოტი. სამომავლოდ ნავარაუდევია, შეიქმნას აგრეთვე მოცეკვავე მამაკაცის რობოტი, რომელიც ქალებს ცეკვებს შეასწავლის.**

## სათნო სამბორბლიანი ქალი

რატომ არიან გატაცებული ამომავალი მზის მცხოვრებლები ადამიანის მსგავსი რობოტებით? უცნობია. რობოტები იაპონიაში თამაშობენ ფეხბურთს, ემსახურებიან კლიენტებს ბარში და სუმოსაც კი ჭიდაობენ. ბოლო ექსპოს მსოფლიო გამოფენაზე ნაგოეში ტოხუკუს უნივერსიტეტის მეცნიერებმა დამთვალიერებლებს მოცეკვავე რობოტი წარუდგინეს. ამ მოცეკვავე ქალის რობოტს სწავლულები ექვსი წელი ქმნიდნენ.

ელექტრონული მდედრობითი სქესის რობოტის სიმაღლე იაპონელი ქალის სიმაღლის სტანდარტულია (165 სანტიმეტრი). მისი ფოლადის მომრგვალებულობა შეფუთულია ვარდისფერი პლასტიკატის კაბაში. გრძელი ქვედა ბოლოს ქვეშ დამალულია სამი ბორბალი, რომელთა მეშვეობით რობოტს შეუძლია შეასრულოს რთული უამრავი საცეკვაო პა, ამასთან, ამოძრაოს თავი და მკლავები, გაიზნიქოს წელში. მაგრამ ადგილზე ხტომები ჯერჯერობით არ ძალუძს. ცეკვის დროს მისი ტრიალი არცთუ იოლი საქმეა — ელექტრონიკით გაძეძგვილი მოცეკვავე ქალი რობოტი 100 კილოგრამზე მეტს იწონის.

რობოტი ქალი შეღებილია მყვირალა ვარდისფრად — დაწყებული კაბით და დამთავრებული მრგვალი ყურებით. ასეთი ყურების გარეშე ნაბიჯსაც ვერ გადადგამს: ეს სენორული სისტემის ნაწილია, რომელთა მეშვეობით რობოტი აკვირდება პარტნიორს და ცდილობს ფეხი აუწყოს მის მოძრაობას.

შემქმნელთა ჯგუფის ხელმძღვანელი პროფესორი კაძუხირო კოსუტე ამბობს, რომ ეს ნამუშევარი განკუთვნილია იმ მამაკაცებისთვის, რომლებსაც ცეკვის შესწავლა სურთ, მაგრამ თავიანთი სიტლანქის გამო მორცხვობენ. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ასეთი ადამიანები არა მარტო მორცხვი, არამედ მდიდრებიც უნდა იყვნენ: თუ მოცეკვავე რობოტებს წვრილსერიულ წარმოებაში ჩაუშვებენ, მათი ფასი 30 ათას დოლარს გადააჭარბებს. საეჭვოა, რომ სამბორბლიანი მოცეკვავე რობოტი ცხელი ღვეზელივით დაიტაცონ.

მაგრამ ასეთ სათამაშოებზე მუშაობისას კონსტრუქტორები სავსებით სერიოზულ მიზნებს ისახავენ. რობოტი, რომელიც ყურადღებით რეაგირებს ადამიანის მოძრაობაზე, სამერმისოდ შეუცვლელი გახდება მწოლიარე ავადმყოფებისა და ბავშვების მოვლის დროს. მაგრამ ასეთი რობოტების დამზადება მეტად ძვირი ჯდება, თითქმის შეუძლებელია სახელმწიფოსა და მსხვილი კომპანიის მხარდაჭერის გარეშე.

ერთ-ერთი ასეთი კომპანიაა



Sony-ს კორპორაცია, რომელსაც დიდი ხანია რობოტები აინტერესებს. სამი წლის წინათ აქ შეუდგნენ საყოველთაოდ ცნობილი ძაღლის — აიბაის გამოშვებას. სადღეისოდ ათი ათასობით ადამიანს მთელ მსოფლიოში უკვე ჰყავს ელექტრონული ძაღლები. წლეულს კი კომპანიამ დაამზადა ადამიანის მსგავსი რობოტი კრიო. იგი „ბიჭუნას“ სიმაღლისაა — 58 სანტიმეტრი და ბევრი რამის გაკეთება შეუძლია — დადის, ხელით იღებს ნივთებს, ადის კიბეზე. კრიომ იცის 60 ათასი სიტყვა რვა ენაზე და სიტყვის სინთეზატორის მეშვეობით შეუძლია მარტივი საუბარი. ისიც ცეკვავს, მაგრამ არა სამეჯლისო, არამედ ტრადიციულ იაპონურ ცეკვებს, რომლებიც მოძრაობის განსაკუთრებულ სისწრაფეს არ საჭიროებენ.

* * *

ორი წლის წინათ ტოკიოს ვასედის უნივერსიტეტის თანამშრომელმა ჯიმი ორამ, ჰოლივუდის ფილმით „ჩარლის ანგელოზებით“ შთაგონებულმა, შექმნა თავისი მექანიკური მოცეკვავე ქალი. მართალია, იგი არცთუ ისე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა: 120 სანტიმეტრი სიგრძის მოხრილ ფოლადის მილს წააგავდა, სამაგიეროდ შეეძლო არა მარტო სავარჯიშო ხიდზე დადგომა, არამედ საერთოდ მოქნილობის სასწაულებრივი მოძრაობების ჩვენება. ორამ მასში ჩადო კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მინოგის — ამ ქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი არსების — ნერვული უჯრედების იმიტაციის ასრულებდა.

* * *

**მსგავს გამოგონებათა მეშვეობით რობოტების მოძრაობათა კოორდინაცია ოდესმე მიუახლოვდება, მერე კი, შეხედავ და წინაც გაგვისწრებენ. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში მათი ინტელექტი და სიტყვიერი უნარი სულ უფრო სწრაფად ვითარდება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 10-15 წლის შემდეგ რობოტები ჩვენი საიმედო პარტნიორები გახდნენ არა მხოლოდ საცეკვაო მოედნებზე.**

**ვადიმ ერლიხმანი**

## რაც ყველამ არ ვიცით

❖ ლეგენდის თანახმად ლისაბონი ოდისევსის დაუარსებია, როდესაც ტროადან იტაკაში ბრუნდებოდა.

❖ ლისაბონის ვასკო და გამას ხიდი ყველაზე გრძელია — 17 კილომეტრი — ევროპაში.

❖ ლისაბონის 25 აპრილის სახელობის ხიდი ყველაზე გრძელი — 2278 კილომეტრი — საქალაქო ხიდია ევროპაში.

❖ 1755 წელს მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად მხოლოდ ლისაბონში 60 ათას კაცზე მეტი დაიღუპა.

❖ ვირთევზა პორტუგალიელთა საყვარელი თევზია, მაგრამ მათ ტერიტორიულ წყლებში არ ბინადრობს. ამიტომ მას ესპანეთში, ნორვეგიასა და რუსეთში ყიდულობენ.

❖ ადგილობრივი მზარეულები ამტკიცებენ, რომ ვირთევზისაგან შეუძლიათ დაამზადონ 365 სხვადასხვა კერძი — თითო-თითო ყოველი დღისთვის.

❖ პორტვეინი მსოფლიოს ინგლისელებმა აღმოუჩინეს XVII საუკუნეში. გადატანისას ღვინო რომ არ ამჟავებულიყო, მას სპირტს უმატებდნენ.

❖ პირველმა „ოქროს ციებ-ცხელებამ“ მოიცვა არა კანადაში, არამედ კალიფორნიაში 1848 წელი.

❖ ალასკაზე ნაპოვნი უდიდესი თვითნაბადი 2400 გრამამდე იწონიდა.

❖ წლის მანძილზე მსოფლიოში ნაპოვნი ოქრო დაახლოებით 2500 ტონას იწონის.

❖ ალასკაზე ოქროს დღესაც პოულობენ და რეცხავენ, მაგრამ ეს ყოფილი ფუფუნების ნარჩენებია, ატრაქციონია ტურისტებისთვის.

❖ არქტიკული ნაკრძალის ტერიტორიაზე დაზვერილია ნავთობის დიდი მარაგი. გავბურღოთ თუ არ გავბურღოთ? ესკიმოსებისა და ინდიელების აზრი გაიყო. მერე რა? მათ არავინ ეკითხება.

❖ ახალი ნავთობის საბადოთა ექსპლუატაცია ჯორჯ ბუშის ერთ-ერთი საყვარელი იდეაა. 1973 წლიდან აქ უკვე მოიპოვეს 13 მილიარდი ბარელი ნავთობი.

❖ ესკიმოსები განგაშს ტეხენ: გლობალური გათბობის გამო თეთრი დათვები ხდებიან — წონაში იკლებენ.

❖ შვიდი წლის წინათ ალასკაში იპოვეს თვითნაბადი ოქრო, რომელიც 9 კილოგრამს იწონიდა.



№ 257-258. შაბათი, 5 ნოემბერი, 2005 წელი.

# ათასი საიდუმლოს კუნძული

## ახალმოსახლეები „ფეხების დაუხმარებლად" გადაადგილებდნენ

**ნაწილი 2**

### კუნძულის მცხოვრებნი გამქრალი ცივილიზაციის ასოებს იყენებენ

**აღდგომის კუნძულის მღვიმეები იმდენად განტოტვილია, რომ ზომებით ცალკე ქალაქს მოგაგონებთ.** აქ არის მიწისქვეშა ბაღები, სადაც დღემდე იზრდება ბანანის ხეები (ზედაპირზე ისინი არ არის), არის გიგანტური ღუმელები საჭმლის მოსამზადებბაზალტისგან, რომელიც მხოლოდ აფრიკაში გვხვდება.

— დასანანია, რომ კუნძულზე მიწისქვეშა კვლევები აკრძალულია, — ამბობს ჩილის არქეოლოგთა ასოციაციის პრესმდივანი ვიქტორ მენდესი. ვარაუდობენ, რომ იქ სამასამდე საიდუმლო მღვიმეა. ჩვენ მხოლოდ მას შემდეგ შევძლებთ ვუპასუხოთ კითხვას: არსებობდა თუ არა აღდგომის კუნძულზე მიწისქვეშა ცივილიზაცია და როგორ უნდა წარმოქმნილიყო იგი? შეიძლება ეს იმის გაგეფე თავისებურად ახდენდა იეროგლიფების დაშიფრვას იმისათვის, რათა ტექსტი მხოლოდ მისთვის ყოფილიყო გასაგები..."

აღდგომის კუნძულის ფრინველების, თევზების და ისრის გამოსახულებიანი იეროგლიფების ფირფიტები საოცრად ჰგავს იმ იეროგლიფებს, ძველინდურ მეგაპოლისში მოხენჯო-დაროში რომ გამოიყენებოდა. ეს ქალაქი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წელს განადგურდა გაუგებარი კატასტროფის შედეგად. გამქრალი ქუჩების გათხ-



ლად და ქვით საგულდაგულოდ მოკირწყლული ლაბირინთები, ოთახი — „ოტელები", სადაც ძველად ერთდროულად ასოებით ადამიანს შეეძლო ეცხოვრა. XVIII საუკუნეში აღდგომის კუნძულზე თანამედროვე მეტროს მსგავსი სისტემა არსებობდა: ადამიანს შეეძლო აღმოსავლეთიდან ჩასულიყო და კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში ამოსულიყო. ნორვეგიელი მოგზაურის ტურ ჰეიერდალის ექსპედიცია დაახლოებით 100 მეტრის სიღრმეზე ჩაეშვა მიწის ქვეშ და იქ ლაბირინთების ვიწრო ნაპრალში იდუმალი ქვის ქანდაკებები აღმოაჩინა. მათ 50 წელია იკვლევენ, მაგრამ დღემდე ვერ დაუდგენიათ, რომელ ცივილიზაციას ეკუთვნოდა ისინი. ფრანგი მკვლევარი ფრანსისკ მაზიერი კი ვულკანის ხახაში ჩაეშვა და გაქვავებული ლავისგან წარმოქმნილი ჭურჭელი იპოვა — იქ მშობიარე ქალის პატარა ფიგურა იყო. ანალიზმა აჩვენა, რომ „მშობიარე" მეხუთე საუკუნეში იყო დამზადებული უიშვიათესი ბაშიც დაგვეხმაროს, თუ რატომ გაქრნენ აღდგომის კუნძულიდან თეთრკანიანი ადამიანები. ყველაზე თამამი ვერსიებით შესაძლებელია, რომ კუნძულიდან მიწისქვეშა გასასვლელი ჩილის სანაპირომდე და აზიამდე გადიოდეს...

... კუნძულის „დედაქალაქის"და ერთადერთი დასახლებული პუნქტის ანგა-როას მთავარი ქუჩა სავსეა ადგილობრივი მცხოვრებლებით, რომლებიც ხის ფირფიტებს, რონგორონგოს ამზადებენ ტურისტული სუვენირების სახით. რონგოროგო ხეზე ამოკვეთილი კუნძულის ისტორიაა, ფირფიტების „ბიბლიოთეკის" სახით ათასობით წლის განმავლობაში გადაეცემოდა თაობიდან თაობას. „ამგვარი ფირფიტების უმრავლესობა სამუდამოდ დაიკარგა, — გვიამბო აღდგომის კუნძულის გუბერნატორმა პედრო ედმუნდსმა. — მთელი მსოფლიოს მეცნიერები მრავალი წელი ცდილობდნენ მათ გაშიფრვას. შიფრის გასაღები მარტო ერთ ადამიანს — კუნძულის მეფეს ჰქონდა. ყოველი ახალი მერისას ბრიტანელმა არქეოლოგებმა დაადგინეს: იმ უცნობი ობიექტის ძალა, რომელიც ქალაქს დაეცა, ხიროსიმაზე ჩამოგდებული ბომბის ტოლი იყო. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ვერ იპოვეს ვერც ერთი ჩონჩხი — მცხოვრებლები თითქოს აორთქლდნენო. მაგრამ როგორ აღმოჩნდა ძველი ქალაქის იეროგლიფები 12500 კილომეტრით მოშორებულ კუნძულზე? 4000 წლის წინათ ხომ არც გემები ყოფილა, არც თვითმფრინავები და არც მოძრაობის სხვა საშუალებები...

### ღმერთი საჰაერო პროპელერებიანი ნავით ჩამოფრინდა

**— ჩვენს ლეგენდებში არის იმის რამდენიმე ვერსია, თუ როგორ გაჩნდა იეროგლიფები, — გვიხსნის ადგილობრივი მუზეუმის დირექტორის მოადგილე ალფრედო ხიმენესი.**

იხ. მე-17 გვ.

# ქრონოგრაფი

### 11 ნოემბერი, 1987 წელი



**ნიუ-იორკში სოტბის აუქციონზე ფანტასტიკურ ფასად — 53,9 მილიონ დოლარად გაიყიდა ცნობილი მხატვრის ვინსენტ ვან გოგის ტილო „ზამბახები". მხატვრის ორ ნამუშევართან „დოქტორ გაშეს პორტრეტი" (რომელიც მანამდე 82,5 მილიონ დოლარად შეფასდა) და „ავტოპორტრეტი" (71,5 მილიონი დოლარი). ეს ნამუშევარი მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ნახატების ხუთეულში შევიდა, რომლებიც მსოფლიო აუქციონებზე ოდესღაც გაყიდულა.**

### 12 ნოემბერი, 1980 წელი



**1977 წელს გაშვებულმა ამერიკულმა კოსმოსურმა აპარატმა „ვოიაჯერ-10"-მა იუპიტერის გამოკვლევის შემდეგ პირველმა მიაღწია სატურნის საზღვრებამდე. აპარატმა პირველად გადმოსცა დედამიწაზე სატურნის, მისი რგოლისა და თანამგზავრების დეტალური აღწერილობა. მეცნიერთათვის აქამომდის ცნობილი სატურნის 12 თანამგზავრის გარდა, აღმოჩენილი იქნა კიდევ 5 ახალი თანამგზავრი, ხოლო რგოლები ექვსის გარდა, რომელიც მანამდე იყო დაფიქსირებული, აღმოჩნდა ათასზე მეტი. უფრო მეტიც, უმეტესი რგოლებისა არამრგვალი კონფიგურაციისა და რამდენიმე ერთმანეთთან შერწყმულიც კი არის.**

### 13 ნოემბერი, 1093 წელი



**ინგლისელებთან ბრძოლის დროს დაიღუპა შოტლანდიის მეფე მალკოლმ III დიდთავა, რომელიც ქვეყანას მართავდა ლეგენდარული მაკბეტის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მალკოლმ III ქვეყანას 35 წელი მართავდა, მან შოტლანდიის ისტორიაში მაკბეტზე დიდი სახელი ვერ მოიხვეჭა. ცხრა წლამდე იგი ინგლისში ცხოვრობდა, შოტლანდიის ტახტზე ინგლისელთა დახმარებით ავიდა. 1069 წელს დაქორწინდა ინგლისელ პრინცესა მარგარიტაზე, რომელიც თავისი ქვეყნიდან 1066 წელს გაიქცა, როდესაც ნორმანდიის ჰერცოგმა ვილჰელმმა ჰასტინგთან ბრძოლაში გაიმარჯვა და ინგლისის ტახტზე ავიდა ვილჰელმ I სახელით (ვილჰელმ I დამპყრობელი). ამ დღიდან ინგლისმა შოტლანდიაზე მბრძანებლობა დაიწყო. 1072 წელს მალკოლმა აღიარა ინგლისის მბრძანებლობა და შოტლანდია ამ ქვეყნის ვასალად იქცა. მიუხედავად ამისა, იგი პერმანენტულ ბრძოლებს აწარმოებდა ინგლისელების წინააღმდეგ და ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა კიდეც. სამი დღის შემდეგ მისი დაღუპვიდან გარდაიცვალა მისი მეუღლე მარგარეტიც, რომელიც წმინდანად შერაცხეს. ედინბურგში დღევანდლამდე დგას წმინდა მარგარიტას სახელობის ტაძარი, რომელიც XI საუკუნეშია აგებული.**

# ყველაფერი ყველაფერზე

### ბითლზებმა კვლავ ყველას გაუსწრეს

**ეს ლეგენდარული ჯგუფი XX საუკუნის სიმბოლოდ არის აღიარებული და უკან იტოვებს ისეთ სახელგანთქმულთ, როგორნიც იყვნენ ლუი არმსტრონგი და ელვის პრესლი. ასეთი აღმოჩნდა პოპულარული ამერიკული ჟურნალის „ვარაიეთის" მკითხველთა აზრი. რედაქციამ შეარჩია და მკითხველებს პრიორიტეტების განლაგება სთხოვა. კრიტერიუმები სავსებით შერეული იყო — შეიძლებოდა ვისიც გნებავთ არჩევა: მსახიობებისა თუ მუსიკოსებისა, რეჟისორებისა თუ სცენარისტებისა, მულტფილმების პერსონაჟებისაც კი.**



პირველ სახელთა ათეული, ძირითადად, ჰოლივუდისა და მუსიკის ვარსკვლავებისგან შედგა. მრავალთათვის სიურპრიზად იქცა ის, რომ ელვის პრესლის მხოლოდ მეათე ადგილი ერგო — მერილინ მონროსა და მიკი-მაუსის შემდეგ...

### კომპიუტერულ თამაშებში გადაეშვა

**სთივენ სპილბერგმა ნიჭის გამოყენება ფირმის „Electronic Arts"-ის კომპიუტერული თამაშების შექმნაში გადაწყვიტა. ის დათანხმდა სამი თამაშის სიუჟეტების შემუშავებას ლოს-ანჯელესში მოღვაწე კომპანიის სტუდიისთვის. სამიდან პირველ პროექტზე უკვე დაწყებულია მუშაობა. კომპანიის მტკიცებით, ეს იქნება ფართო აუდიტორიისთვის განკუთვნილი ახალი თაობის თამაშები. გარიგება კიდევ ერთი დამოწმებაა ჰოლივუდისა და თამაშთა ინდუსტრიის თანდათანობით შერწყმისა: ოქტომბრის დასაწყისში ოსკაროსანმა რეჟისორმა პიტერ ჯექსონმა კონტრაქტს მოაწერა ხელი — კომპიუტერულ თამაშზე „რფდო"-ზე დაფუძნებული ფილმის მომზადების შესახებ.**



58 წლის სთივენ სპილბერგი მაგრად გაიტაცა კომპიუტერულმა თამაშებმა. იმასა და დიზაინერთა ჯგუფს, რომელთანაც მუშაობას აპირებს, განზრახული აქვთ იმ შესაძლებლობათა გამოყენება, რასაც ახალი თაობის თამაშები გადაშლიან თავიანთი უფრო რეალისტური გრაფიკით.

### სანდრო ბოტიჩელის კოდი

**იტალიელი ხელოვნებათმცოდნე, რომის უნივერსიტეტის პროფესორი ენრიკო გვიდონი ამტკიცებს, რომ ამოიცნო სანდრო ბოტიჩელის ტილოს „გაზაფხულის" საიდუმლო: აქ ლორენცო მედიჩის პოლიტიკური ოცნებებია ალეგორიულად გამოსახულიო. ფლორენციის ამ მმართველის კარზე გენიალური მხატვარი XV საუკუნის მეორე ნახევარში მუშაობდა. სახელგანთქმული სურათი „გაზაფხული", სავარაუდოდ, 1482 წელს დახატა. რომაელი მკვლევარი ვარაუდობს, რომ აქ ალეგორიულად გამოხატულია იტალიის გაერთიანების გეგმა: ვენერა, ანუ მარია, ფლორენციას ნიშნავს, სამი გრაცია ნეაპოლის, გენუისა და პიზას სიმბოლურად გვევლინება, კუპიდონი კი — რომისა (ლათინური სიტყვა „სიყვარული" მარადიული ქალაქის ანოგრამა გახლავთ).**



ლორენცო მედიჩის ხანაში ფლორენციას ხსენებულ ოთხ ქალაქთან საიდუმლო შეთანხმებები აკავშირებდა. რომთან ურთიერთობების ფუძეთა ფუძე იყო ლორენცო მედიჩის ქალიშვილის ქორწინება პაპის, ინოკენტი VIII ძმისწულთან. იტალიის გაერთიანების გეგმა ლორენცო დიდებულის სიკვდილთან ერთად ჩაიფუშა (1492 წ.).

№ 257-258. შაბათი, 5 ნოემბერი, 2005 წელი.

# მონიკა ბელუჩი: „პლასტიკური ქირურგიის დანას არასდროს ახლოს არ გავიკარებ“

**„ევროპის ქალიშვილმა“ მსახიობმა მონიკა ბელუჩიმ სარკის დედოფლის როლი შეასრულა ტერი გილიამის კომიკურ ფანტაზიაში „ძმები გრიმები“, რომელიც ვენეციის კინოფესტივალის პროგრამაში შევიდა და მაყურებელიც მალე იხილავს. ამ სურათში უკვდავი ჯადოქარი, რომელმაც 500 წელი უკან მოიტოვა, თავისი სილამაზის გახანგრძლივებისთვის წყურვილს ქალწულთა სისხლით იკმაყოფილებს.**

**„იზვესტიის“ სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში მონიკა ბელუჩიმ აღიარა, — ეგ რა არის, ვიცი ბევრი ქალი, სილამაზისთვის უფრო უარესსაც რომ სჩადისო.**



**კორ.:** როგორ აღიქვამთ ქათინაურებს საკუთარი გარეგნობის მიმართ?

**ბელუჩი:** მსიამოვნებს ხოლმე მათი მოსმენა და ისიც, რომ მამაკაცები, როდესაც მიყურებენ, აღიგზნებიან, ელეთმელეთი მოსდით. ეს სრულებითაც არ მამცირებს, უბრალოდ, ეს ბუნებრივია. მე დამოუკიდებელი და თავისუფალი ვარ. მაგრამ ქათინაურები როდი შთამაგონებენ, ცხოვრებისეული სტიმულები შორს დგანან პირადი გარეგნობისგან. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ქმარ-შვილი (ბელუჩი გათხოვილია ფრანგ მსახიობ ვენსან კასელზე. მათ ერთმანეთი გაიცნეს ფილმის „პატარა ბინის“ გადაღებაზე: მონიკა მთავარი გმირის როლს ასრულებდა. გასულ სექტემბერში მათ გოგონა შეეძინათ, რომელსაც ქალწული დაარქვეს).

**კორ.:** თქვენი გმირი, სარკის დედოფალი, ნორჩ ქალწულთა სისხლს სვამდა, რათა მარადიული სიყმაწვილე და სილამაზე შეენარჩუნებინა. ვინაა ამ როლის პროტოტიპი?

**ბელუჩი:** ვიცი ბევრი ქალი, რომლებიც მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, რომ იპოვონ მარადიული ახალგაზრდობისა და სილამაზის რეცეპტი. ამიტომაც ვერავინ ვერ შეაჩერებს მათ ამ რეცეპტის ინგრედიენტების ძებნაში, როგორი უცნაურიც უნდა აღმოჩნდეს იგი. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მთავარია ის, თუ როგორ გამოიყურებიან. თუ ჰოლივუდში მამაკაცი ეუბნება ქალს, — ო, რა მშვენიერი ხარო! უფრო სწორად, ეს იმის ნიშანია, რომ ქალს გაკეთებული აქვს პლასტიკური ოპერაცია, დღეში ორ საათს მაინც ვარჯიშობს სპორტკლუბში და მთელ ქონებას ხარჯავს კოსმეტიკასა და მოდური ტანსაცმლის შეძენაზე. ამის შედეგად ერთობ ბევრი ამერიკელი მსახიობი ქალი და მოდელი გოგონებივით გამოიყურებიან. შესაძლოა ეს იმიტომ ხდება, რომ მამაკაცებს აშინებთ ნამდვილი ქალები და ისწრაფვიან ყმაწვილქალებისკენ, რადგან მათთან უფრო გულდაჯერებით გრძნობენ თავს. მაგრამ სულის სიღრმეში გაცილებით მეტად მოსწონთ ქალის ფორმები, ვიდრე კანი და ძვლები. არ მიყვარს სპორტულ იარაღებზე ვარჯიში და არც არასდროს გავიკარებ სიახლოვეს პლასტიკური ქირურგიის დანას.

**კორ.:** განა, ვინ აღმართავს ხელს, ულამაზესი ქალი რომ დაამახინჯოს?

**ბელუჩი:** გრიმიორებს ამით ვერ გააოცებ, რა არ გამოსულა მათი ხელიდან. მე ხან 500 წლის მოხუცად გადამაქციეს, ხანაც მის ნორჩ ორეულად სარკეში. ასე რომ, უამრავი ტრანსფორმაცია განვვლე. ხშირად ორწუთიანი სცენისთვის ორ-ორი საათი მიკეთებდნენ გრიმს. მაგრამ მაინც მეტისმეტად გავვოცდი, როდესაც ვნახე ფილმი თავისი სპეცეფექტებით. უნიკალურია სცენა, სადაც ჩემი სახე ნაწილ-ნაწილ იშლება. ამის მსგავსი რამ არასდროს მინახავს.

**კორ.:** სცენარის წაკითხვისთანავე მიხვდით, თუ რა მოგელოდათ? სცენარი წაიკითხეთ?

**ბელუჩი:** როდესაც ჩემმა აგენტმა დამირეკა და მითხრა: ტერი გილიამს თქვენთან შეხვედრა სურსო, მე ყველაფერზე თანახმა გახლდით. სცენარი წავიკითხე თუ არა, შემიყვარდა იგი, რადგან მასში საუკეთესოდ იყო შერწყმული ძმები გრიმების სხვადასხვა ზღაპარი.

**კორ.:** თუ გაამართლა ტერი გილიამმა თქვენი იმედები?

**ბელუჩი:** ტერი საოცარი რეჟისორია! იგი გენიალური, გიჟი, უზომო ფანტაზიით აღსავსე ბავშვია. იცის, რა სურს მსახიობისგან და ყველა სხვა დანარჩენისგან.

**კორ.:** თუ მომხდარა, რომ როლის თამაშისას გილიამს უყვირია: არა, არა და არა!

**ბელუჩი:** „არა, არა, შეხედე, ამის გაკეთებას ასე ვაპირებთ, არა, არა, არა! ამის დანახვაც აღარ მსურს, ამას ასე და ასე გააკეთებ. დიახ, დიახ. ეს სცენა მომწონს, კარგი, ახლა კი ყველაფერი პირუკუ გააკეთე“ — ეს მისი ჩვეულებაა, ასე მელაპარაკება ხოლმე. მაგრამ მე ეს მომწონს, ეს კარგი წრთობაა მსახიობისთვის.

**კორ.:** როგორ იმუშავეთ მეტ დეიმონთან და ჰიტ ლეჯერთან?

**ბელუჩი:** მეტ დეიმონთან? ჰიტ ლეჯერთან? (იცინის). მეტი მეტისმეტად სექსუალურია, ასე რომ, მასთან ადვილი იყო ინტიმური სცენის თამაში. ისინი, მართლაც, ორივენი ნიჭიერი და სასიამოვნო ბიჭები არიან.

იხ. მე-23 გვ.

## ⦿ იცით?

❖ ნავთობსადენის „ტრანს-ალასკის“ — სიგრძე 1287 კილომეტრია.

❖ ალასკაზე მდებარეობს 15 ნაციონალური პარკი და ნაკრძალი — მათი საერთო სიგრძე 218 ათასი კილომეტრია.

❖ ალასკის ერთ მოსახლეზე საშუალოდ 200 კილოგრამი ირმის ხორცი მოდის.



❖ ალასკა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად დასახლებული შტატია: 649 ათასი კაცი 1519 ათას კვადრატულ კილომეტრზე (ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის 16 პროცენტზე მეტი).

❖ 1989 წელს პრინც-უილიამ-საუნდის ყურეში ტანკერი „ექსონ ვალდეზი პიტალო კლდეს დაეჯახა. 41 ათასი ტონა ნავთობი ზღვაში ჩაიღვარა. ეს იყო უდიდესი კატასტროფა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში.

❖ პრადო-ბეის საბადო იმდენივე ამონაფრქვევს უშვებს ატმოსფეროში, რამდენსაც დედაქალაქი ვაშინგტონი.

❖ სამზერი მილით დაკვირვება პირველმა ჩაატარა გალილეო გალილეიმ 1609 წელს.

❖ ცნობილი მკვლევარის ტიხო ბრაგეს ღვიძლი და სოფია გახდა პირველი ასტრონომი ქალი მსოფლიოში.

❖ 1543 წელს კოპერნიკმა უარყო პტოლემეოსის თეორია სამყაროს ცენტრში დედამიწის მდებარეობის შესახებ. მზის



სისტემის მისი მოძღვრება, რომელმაც დასაბამი მისცა თანამედროვე ასტრონომიას, ცოტა მეცნიერმა აღიარა, მათ შორის გალილეო გალილეიმ.

❖ მუქმა შოკოლადმა, შესაძლოა, შეცვალოს ანტიდეპრესანტები: მისი ხმარება ხელს უწყობს ენდოფირმების (ენდოგენური ოპიატების) ამოფრქვევას, ხოლო ისინი ზემოქმედებენ კმაყოფილების ცენტრზე, აუმჯობესებენ გუნება-განწყობილებას და ხელს უწყობენ ორგანიზმის ტონუსის შენარჩუნებას.

❖ ქალის კლიმაქსი იწვევს ტვინის იმ უჯრედების დაღუპვას, რომლებიც დოფმინს აწარმოებენ. ეს მკვეთრად ზრდის პარკინსონისა და სხვა იმ დაავადებათა რისკს, რომლებიც დაკავშირებულია მეხსიერების დაკარგვასთან.

❖ კუნძული ვენი ასტრონომიული კვლევის პირველი მსხვილი ცენტრია ევროპაში.

# ათასი საიდუმლოს კუნძული

**(მეთექვსმეტე გვერდიდან)**

— ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, კუნძულის მეფეს ვულკანის მახლობელი მღვიმიდან გამოსული უცნობი ხალხის ბელადმა დამწერლობა აჩუქა. სხვა ვერსიით, ფირფიტა მოიტანა ადამიანმა-ფრინველმა, რომელიც რამდენიმე ათასი წლის წინათ აღდგომის კუნძულზე ჩამოსული პირველი ახალმოსახლე იყო.

საერთოდ ადამიანი-ფრინველი კუნძულის მთავარ ღვთაებად ითვლება: რაპანუის ყველაზე მასშტაბურ დღესასწაულად XX საუკუნემდე იყო კონკურსი, რომელშიც მეომრები ღმერთის განსახიერებად გადაქცევის უფლებისთვის იბრძოდნენ. მითის თანახმად, ღვთაება უკაცრიელ აღდგომის კუნძულზე „დიდი საჰაერო ნავით“ მოფრინდა, სადაც იყვნენ მისი ცოლი, ნათესავები და მონები, აგრეთვე ქათმები, ტკბილი კარტოფილის მარაგი და პალმის ლუდი. ადამიან-ფრინველს „აისბერგივით თეთრი“ კანი ჰქონდა, მონები კი მუქკანიანები იყვნენ. ახალზელანდიელმა მეცნიერმა მაკმილან ბრაუნმა, რომელმაც ეს ლეგენდა შეისწავლა, აღნიშნა, რომ „საჰაერო ნავს“ თვითმფრინავის თუ ვერტმფრენის ყველა ატრიბუტი გააჩნია: „მბრუნავი ხელები“ (ანუ პროპელერები), „ცეცხლოვანი თვალები“, თავად ადამიანი-ფრინველი კი 30-იანი წლების მფრინავ-გამომცდელს ჰგავს მისი კონსერვის მსგავსი სათვალით. მოსკოვში გაშიფრული ერთ-ერთი იეროგლიფი ითარგმნება როგორც „გადაადგილება ჰაერში ფეხების დახმარების გარეშე“, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ რაპანუელებისთვის ფრენა ჩვეულებრივი რამ იყო.

... აღდგომის კუნძულის სანაპიროზე ოდესღაც ძლევამოსილი ციხე-სიმაგრეებისა და პირამიდების ნაშთებია შემორჩენილი. მეცნიერები მათთვის ვეღარ იცლიან. თუმცა საინტერესო რამ გამოდის: ციცქნა რასამ ათასმდე გიგანტური ქანდაკება, უზარმაზარი ციხესიმაგრეები და მასშტაბური პირამიდები ააგო, მერე კი უეცრად ქვის ხანის დონემდე ეშვება. ციხე-სიმაგრეებთან მე კიდევ ერთი საოცრება მელოდა —



ზოგიერთი კედლის ნაშთი ზუსტად ჰგავდა მაჩუ-პიკჩუს, მზის იმპერიის — ინკების ცივილიზაციის ფორპოსტს, რომელიც 1533 წელს ესპანელი კონკისტადორების მახვილებქვეშ დაემხო. სისტემა ზუსტად იგივეა — ქვები ყოველგვარი დუღაბის გარეშე აწყვია ერთმანეთზე, თანაც ისე მტკიცედ, რომ ქვის ბლოკებს შორის თმის ღერიც კი ვერ გაეტევა.

— ჩვენ ბევრჯერ ჩავატარეთ ექსპერიმენტი, — იღიმება გუბერნატორი პედრო ედმუნდსი, — ხალხს აღდგომის კუნძულზე მდებარე ციხესიმაგრისა და პერუს მაჩუ-პიკჩუს ფოტოებს ვაჩვენებდით — მათ ვერავინ ანსხვავებდა. ყველა სხვადასხვანაირად ფიქრობდა. ტურ ჰეიერდალს მიაჩნდა, რომ სამხრეთამერიკელი ბელადი კონტიკი ცხრამთის იქიდან ჩამოვიდა ჩვენთან და ეს შენობები ააგო. სანფრანცისკოს უნივერსიტეტის მეცნიერები კი თვლიან, რომ რაპანუი კუნძული-ტაძარი, მრავალი ცივილიზაციის სიწმინდე იყო.

... საღამოს ოტელთან მანქანა გაჩერდა და ჩემს ნომერში აქოშინებული შემოვარდა გუბერნატორის თანაშემწე. „წავედით. ჟაკ-ივ კუსტოს ექსპედიციის მონაწილეს უნდა შენთან შეხვედრა. ის გიამბობს იმის შესახებ, რაც მათ ზღვის სიღრმეში ნახეს კუნძულის სიახლოვეს. თუმცა მას მიაჩნია, რომ შენთვის უმჯობესია ეს არ იცოდე“.



**გიორგი ზოტოვი**

**აღდგომის კუნძული — სანტიაგო.**

## ◉ თითქმის ნატურიდან

# დაურეკეთ!

— ნიკა, ბიჭო, მინისტრთან რო იყავი, ნახე?

— ვერა, კაცო, ორჯერ ჩავედი ამ სიშორიდანა და არ მიმიღო.

— რატო, მაგ ურჯულომა?

— რავი აბა, პრეზიდენტს ელაპარაკება და შენთვის არა სცალიაო.

— ტყუილი, კაცო, გუშინ პრეზიდენტმა სწორედ მაგისთვის დალანძღა მინისტრები — რო ვრეკავ, რატო ყურმილს არ იღებთო.

— მართლა დალანძღა?

— მააშ, მაგიდასთან სუ მოკაკულები ისხდნენ.

— ვენაცვალე მაგასა, რო ჩავალ, ახლა მაინც მიმიღებს.

— ჩასვლა რად გინდა რა, აი ჩემი მობილურით დაურეკე.

— ვითომ დამელაპარაკება?

— კი არ შაგეხვეწება?

აი, ვნახოთ, ახლავე ავკრეფავ ნომერს.

— რომელი ბრძანდებით? — იკითხა ნიკამ მორიდებით.

— ლადო ვარ.

— თავად მინისტრი, კაცო?

— ჰო, რა გაგიკვირდა.

— მე ნიკა ვარ, ვაქირიდან.

— გისმენ ნიკა, რაზე შეწუხებულხარ? — დაიშაქრა ხმა მინისტრმა.

— გცალიათ, რომ გითხრათ?

— რას ქვია მცალია, მე აქ იმიტომ ვარ, ხალხს ვემსახურო.

— გეტყვი აბა, პენსია არა მყოფნის და ცოტას ვერ მომიმატებ?

— კი კაცო, რა პრობლემაა, ხელფას დავიკლებ და შენ მოგიმატებ.

— გაიხარე, გაიხარე, — გაუშინაურდა ნიკა.

— სხვა ხომ არაფერი გინდა?

— რავი, ნახნავში ფეხი ჩამიყვა და საოპერაციო ვარ. აი, ღვინოს გადავიღებ თუ არა, მაშინვე ჩამოვალ.

— რა საჭიროა ჩამოსვლა, ქირურგს გამოგიგზავნი და ადგილზე გაგიკეთებენ ოპერაციას.

— შენ გაგახარა ღმერთმა, დიდი მადლობელი ვარ.

— არაფერს ნიკა, მეზობლებსაც უთხარი, თუ რამე აწუხებთ, დამირეკონ.

— ესეც ასეე, — ხელი შემოჰკრა ნიკამ, — აი რა კარგი ყოფილა მინისტრების დატუქსვა. მოდი, ბარემ ენერგეტიკის მინისტრსაც დავურეკავ.

— დაურეკე რა, — ნება დართო დავითამ.

— ალოო, ნიკა ხარ?

— ჰო, მე ვარ.

— მეც ნიკა ვარ, ვაქირელი.

— გიცნობ, გიცნობ, რა გაგჭირვებია?

— არ მინდოდა შენი შაწუხება, მაგრამ ორი კვირაა ბნელში ვართ და...

— მერე, აქამდე ვერა თქვი?

— არ ვიცოდი თუ დამელაპარაკებოდი.

— რას მიქვია დაგელაპარაკებოდი, ბიუროკრატი კი არა ვარ.

— მაშ მოგვცემ დენსა?

— ახლავე გამოგიგზავნი, ჩვენი თუ არ გვექნა, თურქეთიდან ვისესხებ.

— არა, თურქეთს ნუ ეტყვი, საშიშია, ქათმის გრიპი არ გადმოგვდონ.

— დიდი მადლობა, ჩემო ნიკა.

— არაფერს, ჩემო ბატონო, ეხლა ეგ იყოს და მომავალ წელს სოფელში ადგილობრივ ჰესსაც აგიშენებთ.

— გადასარევია, — თქვა ნიკამ, ბენდუქიძესაც ხომ არ დავურეკო?

— რაზე შავაწუხოთ, გასაყიდი მაინც არაფერი გვაქ. ბენდუქიძეს არა, მაგრამ პრეზიდენტს დაელაპარაკე.

— იმას რაღატომ?

— მინისტრების გახალხურებას რო გაიგებს, გაუხარდება.

**ოთარ ხუციშვილი**

## ◉ სხარტულა

### მინისტრი გისმენთ!..

**როგორ გახშირდა ტელეფონის**
**აუ, ზარები!**
**დაკავშირება დიდკაცებთან**
**იოლი გახდა:**
**მთელ დღეს იღებენ ყურმილს,**
**თურმე, დაუზარებლივ.**
**ვინლა მიხედავს სამინისტროს**
**საქმეებს ახლა...**

**თამაზ ილმელი**




## ◉ ახალი თარგმანი

### ივანე კრილოვი

# გედი, ქარიყლაპია და კიბო

როცა საქმეში მეგობრები ვერ თანხმდებიან,
სასაცილონი ქვეყნის თვალში ხომ გახდებიან,
ცუდი ის არის, თვითონ საქმეც არა კეთდება.

ერთხელ, როგორც ეს ზღაპარში ხდება,
ქარიყლაპიამ, კიბომ და გედმა
მოიწადინეს უღელში შებმა
და ურმით სადღაც წაღება ტვირთის
(ჩვენ ეს არ ვიცით — რატომ და ვისთვის).

ყველა თავისას აწვება უღელს,
ძალი და ღონი არ დაიშურეს,
აქანავებენ, ანჯღრევენ ურემს,
მაგრამ რა გინდა, — ძვრა კი ვერ უყვეს,

რადგანაც გედი აფრინდა ცაში,
ქარიყლაპიამ შესცურა წყალში,
კიბომ კი უკან წასვლა დაიწყო.
არადა, ტვირთი მძიმე არ იყო.

და ვერც დაძრავდნენ ასე ადვილად,
ვერ წაიღებდნენ იმ ურემს ვერსად.
ერთი რამე კი ვიცით ნამდვილად, —
რომ ის ურემი იქ არის დღესაც.

**თარგმნა**
**გიორგი**
**წიბახაშვილმა.**



## ◉ ცოტაც გავიცინოთ...

— **რომელმა** პიროვნებამ, რომელსაც შეხვდით სასწავლო წლის მანძილზე, შეგძრათ და შეგაჯანჯღარათ ყველაზე მეტად? — ეკითხება ისტორიის მასწავლებელი მოსწავლეებს.

— ნაპოლეონმა, — ამბობს ერთი.

— ალექსანდრე მაკედონელმა.

— ერეკლე მეორემ.

— მე კი, — ამბობს მიხო, — მამაჩემმა, როდესაც ჩემს დღიურში პირველი სემეტრის ნიშნები ნახა.

* * *

**ნაძეიფარ** ტიპს დილით ეღიძება. ცოლი არ ელაპარაკება. ხან აქეთური სცადა, ხან — იქეთური. არაფერი გამოდის.



— კარგი რა, გეყო ბუტიაობა. დიდი ამბავი, ნასვამი მოვედი.

— ხმა ჩაიწყვიტე!

— ჰო, კარგი, ნასვამი კი არა, გალეწილი მთვრალი მოვედი.

— გაჩუმდი!

— კი, ბატონო, დავყოვნდი ძმაკაცებთან...

— კარგი დაყოვნებაა დილის ხუთი საათი, თანაც...

— მაგაშიც მართალი ხარ, მაგრამ თვალის ჩალურჯებაც რა დიდი ბედენაა.

— სულ იმას არ გიჩიჩინებ, გონების დაკარგვამდე არ გამოტყვრე-მეთქი? ისიც კი არ გახსოვს, რომ, როცა მოხვედი, თვალი ჩალილავებული სულაც არ გქონდა.

* * *

— **შეამჩნიე,** — ეკითხება მომღერალი კოლეგას, — ჩემმა ხმამ როგორ გაავსო საკონცერტო დარბაზი?

— ის თუ შეამჩნიე, როგორ ტოვებდა ხალხი დარბაზს, რათა შენი ხმისთვის ადგილი გამოეთავისუფლებინათ?

* * *

— **ძვირფასო,** ნუ მეძახი მტრედს! ფრინველის გრიპი მძვინვარებს...

## ◉ ნამდვილი ამბავი

# ალიკაპი

**მოგეხსენებათ კახელების ამბავი. ამ სამი თვის წინათ, ერთი დღით ჩავედი და სამი დღე არ გამომიშვეს მასპინძლებმა. ჰაი აქეთ, ჰაი იქეთ, ხან რა მოიგონეს და ხან — რა. სუფრას სუფრა ცვლიდა, მიზეზს მიზეზი და მეც მივყევი სტუმარ-მასპინძლობის ადათს. ბარაქით სავსე მაგიდები, დიდებული კახური ღვინო და კიდევ უფრო დიდებული გულითადობა. ვმღეროდით, ვცეკვავდით, ღამე თეთრად გვათენდებოდა თავზე და სადღეგრძელოებს შორის ვყვებოდით ათასგვარ სახალისო ამბავს.**

მესამე დღეს, როგორც იქნა, გამომიშვეს. უკან დარჩა ალაზნის ველზე გატარებული წუთები, ალავერდის დიდებულება და კახელი კაცის ალალი ღიმილი. თუმცა ჯერ ისევ მათთან ვიყავი, — ექვსი მანქანა მომაცილებდა „გადასახვევამდე“, ბოლო ჭიქა იქ უნდა დაგვეცალა.

ახმეტა, ყვარელი, წინანდალი, თელავი, გურჯაანი გამოვიარეთ. ეს იყო ბაკურციხეს მივუახლოვდით, რომ...

— მოიცათ, მოიცათ! — შეცხადებულივით წამოიყვირა გოგიამ.

— რა იყო, კაცო, რა გეტაკა? — შეიცხადა ვასიკომ და გაქანებული მანქანა ოციოდე მეტრის იქით მიაყენა ტროტუარს.

— ძმურად, რა... დააბრუნე მანქანა, კაი რამე უნდა გაჩვენოთ.

იქვე ვერ მოხერხდა და კაი ძალი მანძილის გავლამ მოგვიწია, სანამ მოვბრუნდებოდით.

— ცენტრისკენ აუხვიე... მაგარია, რა!

ცენტრისკენ ავუხვიეთ.

— გააჩერე!

გავაჩერეთ.

— აბა, ჩამოდით!..

— ეე, დაიწყო ამან ახლა... კიდევ დალევა შეიძლება, კაცო?

— არა, დალევას არ გაიძულებთ, გეუბნებით, მაგარი რამე უნდა გაჩვენოთ.

ათიოდე ნაბიჯი არ გვქონდა გავლილი, გოგიამ ვიღაცას დაუძახა:

— სეხნიავ, გამოდი, როგორ მიდის საქმე?

— მაგრათა, მაგრათა, ჩემებურო!

მასპინძელს ღობესთან ძროხა მიება და პატარა მაგიდაც მოეწყო, ზედ პური და ღვინო ელაგა.

— აბა, მოდით, თითო გადავკრათ, — შეგვიპატიჟა.

ღვინისთვის სად გვეცალა, ყველანი ძროხას მივაჩერდით, რომელსაც ალიკაპი ჰქონდა ამოდებული, ხოლო ქედზე წარწერა ედგა — „გაუმარჯოს მთავრობას“!

— რათა კაცო, რათა? რა დაგიშავა მთავრობამ, ეგრე რომ გაიმეტე? — დავინტერესდით.

— იმათა, რომა ძროხისთვინა ალიკაპი ამოგვადებინა...

— ვერ მიგიხვდით?

— რა მიხვედრა უნდა, თქვე ჩემალალებო, გამგეობამ ბალახზე გადასახადი რომ დაგვიწესა, არ ეკუთვნით ეგეთი მოკითხვა?!

...მოვდიოდით და მთავრობასთან მოგვქონდა კახელი კაცის „ლოცვა-კურთხევა“.

**ზაურ ფიფია**

## საშვიდნოემბროდ



## ◉ თანამედროვე ფოლკლორი

# განა მარტო ღარიბების ვალია?!

**გალაკტიონისებურად**

ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა,
განა მარტო ღარიბების ვალია?!
მაფიოზამ, უპირველეს ყოვლისა,
ხალხის სისხლი აზარფეშით დალია.

მოგვეყირჭა საყვედური ცოლისა,
სიღარიბე, განა ჩვენი ბრალია?!
ჩვენს ბინებში სიცივეა თოვლისა,
შიმშილის და გენოციდის კვალია!

დროს ატარებს მარბიელის ცოლ-შვილი,
ღარიბისთვის არავის არ სცალია,
ქვეყანაა უსაშველოდ მოშლილი,
ნახევარი საქართველო მთვრალია.

წავილეკეთ მათხოვრებით, კახპებით,
ჩვენი ხალხი ტყავია და ძვალია,
დღეს-ხვალ ყველა მათხოვრები გავხდებით,
ყველაფერი სულ მთავრობის ბრალია!

საგარეო საქმეებით ერთობა,
საშინაომ ყველაფერმა ჩაყვინთა,
მშიერს მარტო დაპირება ეყოფა! —
კუჭგამომწვარს პურითა და ხახვითა?!

საგარეო პოლიტიკაც გვჭირდება,
ზომიერად ყველაფერი კარგია,
მაგრამ შინ თუ ბავშვი ცრემლად იღვრება,
გარეთ ნანა არაფერში არგია.

**ნიკოლოზ იოსებიძე**

№ 257-258. შაბათი, 5 ნოემბერი, 2005 წელი.

# კიბო: დასწრება გამარჯვებას ნიშნავს?

**ბერლინის უნივერსიტეტის მეცნიერებმა სოციალური გამოკვლევა ჩაატარეს თემაზე: „რისი ეშინიათ ყველაზე მეტად ქალებს“?**
**პირველი აღმოჩნდა შიში შვილების ჯანმრთელობის გამო; მეორე — ძუძუს კიბოსი; მესამე — საყვარელ ადამიანთან განშორებისა; მეოთხე — მარტოობისა და სიკვდილისა.**
**ამრიგად, ქალებს თურმე სიკვდილზე უფრო მკერდის კიბოსი ეშინიათ...**

## ძუძუს კიბო პირველ ადგილზეა

**როგორი ონკოდაავადებების მკურნალობა შეიძლება ამჟამად წარმატებით, როგორი გამოკვლევებია აუცილებელი კიბოს პროფილაქტიკისათვის? ამ და სხვა საკითხებს განიხილავენ რუსეთელი სპეციალისტები „Комсомольская правда“-ს ფურცლებზე (გაზეთის 21-27 ოქტომბრის ნომერი).**

ქალთა შორის გავრცელებულ ონკოლოგიურ დაავადებებში ძუძუს კიბო პირველია; ყოველწლიურად რუსეთში „სარძევე ჯირკვლის კიბოს“ დიაგნოზს დაახლოებით 50 ათას ქალს უდგენენ; ცოცხლად დარჩენილთა შორის მხოლოდ 30 პროცენტს აქვს სენის სრული დაძლევის შანსი (აშშ-ში — 80-ს); ბოლო 20 წელიწადში ძუძუს კიბოთი დასნეულება რუსეთში 64 პროცენტით გაიზარდა; სიცოცხლის მანძილზე ყოველი მერვე ქალისათვის არსებობს ამ ავადმყოფობის საფრთხე; მკერდის სიმსივნე ქალთა სიკვდილის ყველაზე გავრცელებული მიზეზია 45-დან 55 წლამდე ასაკში; მამაკაცთა შორის მკერდის კიბოთი ავადობა მხოლოდ 1 პროცენტს აღწევს.

## ხსნა დროულად დასმულ დიაგნოზშია!

**თანამედროვე მედიცინას შესწევს ავადმყოფობის განკურნების, ქალისათვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სილამაზის შენარჩუნების უნარი.**

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ძუძუს კიბოსთან გამკლავება შეიძლება მხოლოდ ყველაზე მთავარი დაბრკოლების — შიშის გადალახვით.

ძალიან მნიშვნელოვანია სარძევე ჯირკვლის კიბოს დროული დიაგნოსტიკა. სენის ადრეული გამოვლენა დაავადებულ ქალთა 90-96 პროცენტისათვის სიცოცხლის ხსნის საშუალებას იძლევა.

პირველ სტადიაზე ეს ავადმყოფობა პრაქტიკულად არ ავლენს სიმპტომებს. თვითგამოკვლევისას სიმსივნეები ადრეულ სტადიებზე არ ისინჯებიან, თორემ სავსებით განკურნებადი არიან!

აი, მამოგრაფიულ მოწყობილობას კი პაწაწინა, 2-3 მილიმეტრის სისქის წარმონაქმნის გარჩევაც შეუძლია. 35 წლის ზემოთ ასაკის ქალებმა ამიტომაც უნდა გაიარონ მკერდის მამოგრაფია ან ულტრაბგერითი გამოკვლევა.

## რა არის ახალი მკურნალობაში?

**ონკოლოგიაში აგერ ახლახან გამოჩნდა ბიოთერაპიის ცნება. შემუშავებულია პრინციპულად ახალი წამლები, ანტისხეულების, პრაქტიკულად ადამიანურის იდენტურის, შემცველნი.** ბიოლოგიური თერაპია ძალიან კარგ შედეგებს იძლევა, კერძოდ, ავთვისებიანი ლიმფომების მკურნალობისას. სტანდარტული ბიოთერაპია თუ, უხეშად თქმით, ორგანიზმზე „ხალიჩურ ბომბდაშენას“ წააგავს, ბიოთერაპია კიბოს უჯრედებზე „წერტილოვან დარტყმებს“ მოგვაგონებს. ოღონდ ეგაა, რომ ჯერჯერობით და საუბედუროდ, ბიოტექნოლოგიები ძალიან ძვირია.



## ◎ მკითხველის მოსანიშნად

### ჩაი

**ჩაი არის სამკურნალო სასმელი, ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის სტიმულის მიმცემი და დაღლილობის მომხსნელი. ის გამაჯანსაღებლად მოქმედებს ყველა შინაგან ორგანოზე და აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას.**

ჩაის ფოთოლი 300-მდე სხვადასხვა ნივთიერებას შეიცავს. მათგან უმთავრესია — კოფეინი, რომელიც ამაღლებს ტონუსს, შეიცავს ტანინებს, რომელიც ჩაის სასიამოვნო გემოს აძლევს. ჩაი შეიცავს, აგრეთვე, ეთეროვან ზეთებს, რომელიც მას განუმეორებელ არომატს მატებს. ჩაიში მრავლადაა ვიტამინი „C“, „B“, „D“, აგრეთვე მინერალური ნივთიერებანი და მიკროელემენტები.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩაის უარყოფითი თვისებები. მაგალითად, მასში ბევრია ისეთი მავნე ნივთიერება, რომელიც ორგანიზმში საშარდე ორგანოების მოწამვლას იწვევს. ჩაის გადამეტებით სმამ შეიძლება გამოიწვიოს ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, პადაგრა. ის ადამიანები, რომელთაც აწუხებთ ართრიტი, რევმატიზმი, ჩაის სმის შეწყვეტის შემდეგ, თავს უკეთ გრძნობენ. ჩაის ხშირი სმა, მათ შორის, მწვანე ჩაის, იწვევს უძილობას, მოთენთილობას დილით, გაღიზიანების გამწვავებას და დაღლილობას.



### ყავა

**ყავის სმა რეკომენდებულია დღეში 3-4-ჯერ, ისიც დღის პირველ ნახევარში.**

არ შეიძლება ყავის დალევა უზმოზე. შეეცადეთ, მანამდე რაიმე მიირთვათ.

ყავის მოხმარებისას აუცილებელია დღე-ღამეში 1,5-2 ლიტრი წყლის ან სხვა რაიმე სითხის მიღება.

ყავა ორგანიზმზე არაერთგვაროვნად მოქმედებს — ზოგისთვის მავნებელია, ზოგისთვის კი — სასარგებლო, ამიტომ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა თვისებები ახასიათებს ამ სასმელს.

ყავის დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ხსნის მოდუნებას, ამაღლებს ამტანუნარიანობას, ებრძვის დაღლილობას, ამსუბუქებს სუნთქვას. ძალზე მცირე დოზით უნდა მივიღოთ ყავა წნევის დაცემის შემთხვევაში, გულის მოქმედების შესუსტებისას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთ დროს ძალზე ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ.

როგორია ყავის უარყოფითი თვისებები? ის ამაღლებს სისხლში ქოლესტერინის რაოდენობას, აჩქარებს გულისცემას, მაღლა წევს სისხლის წნევას, აავადებს ძარღვებს, არღვევს გულისცემის რიტმს, უარყოფითად მოქმედებს კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწილავზე, იწვევს ჰიპერტონიას, აზიანებს მხედველობას.

ასე რომ, ფრთხილად მოეკიდეთ ყავას!

### ლიმონათი

**ლიმონათი გაზიანი გამაგრილებელი სასმელია, რომელიც ნახშირმჟავით გაჟღენთილ სხვადასხვა ხილის, ციტრუსების, ყურძნის და არომატული ესენციების წვენებს შეიცავს.**

ნახშირმჟავიანი გაზი სასმელს თავისებურ სასიმოვნო გემოს აძლევს. ლიმონათს მომჟავო გემო უნდა ჰქონდეს და არა ტკბილი. მის დასამზადებლად ყველაზე კარგია ლიმონის სიროფი, შესანიშნავია, აგრეთვე, გრეიფრუტის წვენი. ტკბილი ლიმონათი არ დალიოთ, რადგან მისი მიღების შემდეგ წყურვილი უფრო ძლიერდება. მოერიდეთ ლიმონათის დალევას ჭამის შემდეგ, ანდა კუჭნაწლავის დაავადების შემთხვევაში.

# ზუსტი დრო

**მინესოტელი ფრანც ჰალბერგი მსოფლიო სახელის სწავლულია. ის დიორიტმების შესახებ მეცნიერების მამად და შემქმნელად ითვლება. სულ ახლახანს 86 წლის ამერიკელი პროფესორი მოსკოვში ჩაბრძანდა და ჟურნალ «Î ãî í åê»-ს უამბო, თუ რითი გვემუქრება ბიოლოგიური საათის შეფერხება და როგორ გვიმკურნალებენ ჩვენი რიტმების შესაბამისად.**

**ჰალბერგის რუსეთელმა მიმდევრებმა აღმოჩენა გააკეთეს: ირკვევა, რომ ყველა რიტმი დედამიწის მაგნიტური ველიდან მომავალ ერთიან სიგნალს ემორჩილება.**

— ბიორიტმები სიცოცხლის საფუძველია. ისინი აწესრიგებენ სამყაროსა და ყოველი ჩვენგანის არსებობას, — ამბობს პროფესორი. — ახლა უკვე სარწმუნოდ ცნობილია, რომ ბიორიტმები გენურ დონეზე ჩაისახებიან, ისევე, როგორც თვალების ფერი; და მაინც, ჩვენ არ ვიცით იმის მექანიზმი, თუ სახელდობრ როგორ ჩაისახებიან.

ეგების შეკითხვას იმ რუსეთელ მეცნიერთა მუშაობამ გასცეს პასუხი, რომლებმაც დედამიწის მაგნიტური ველისა და ბიორიტმების კავშირი შეისწავლეს.

— ფიქრობენ, რომ დღეღამური და ყველა დანარჩენი ბიორიტმი მაშინ ამოქმედდება, როცა თვალის ბადურაზე ხვდება სინათლე, — მოგვითხრობს **ვიქტორ ჩიბრიკინი,** რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკურ-ქიმიური ფარმაკოლოგიის თეორიული პრობლემების ცენტრის თანამშრომელი. — თუმცა მეცნიერები საერთოდ უსინათლოდ მცხოვრებ ორგანიზმებსაც დაკვირვებიან, მაგალითად, გამოქვაბულის კალიებსა თუ მიწისქვეშა მცენარეებს. ყველა იმათთან ისეთივე დღეღამური ბიორიტმები არსებობენ, როგორც „მიწისზედა“ ცხოველებსა და მცენარეებთან. ასევე, იმიერპოლარეთის მცხოვრებთ ყოველდღე უნდათ ძილი, მიუხედავად იმისა, რომ დღე ნახევარ წელიწადს გრძელდება. სინათლე და სიბნელე კი არა, სწორედ თავისუფალი რადიკალები ათანხმებენ ერთმანეთთან უჯრედებისა და ცალკეული ორგანოების ბიორიტმებს. ისინი რეაგირებენ დედამიწის მაგნიტური ველის უმცირეს ცვლილებებზე.

ეს ველი იცვლება პლანეტის ბრუნვის კვალდაკვალ, მზის გამოსხივების ზემოქმედებით, აფეთქებების შედეგად და ასე შემდეგ. მაგნიტური ველი პირდაპირ გავლენას ახდენს უჯრედში რადიკალების წარმოქმნისა და დაშლის სიჩქარეზე, ოღონდ ფიზიკის კი არა, ბიოლოგიის კანონებით...

სიტყვა კვლავ პროფესორ **ჰალბერგს:**

— ქრონობიოლოგია ჯერ კდევ ჩვილ ასაკში იმყოფება. ჩვენ, მაგალითად, ჯერ ისიც ვერ დაგვიდგენია, თუ საიდან უნდა დავიწყოთ ადამიანის ბიორიტმების ათვლა — ჩასახვის მომენტიდან თუ დაბადების მომენტიდან. მზის გამოსხივება როდის იწყებს ახალ ორგანიზმზე მოქმედებას, ინდივიდუალური პულსაციის რიტმს საფუძველს რომ უყრის?

რიტმი პერიოდული რხევებია. სიტყვაზე, კედლის საათში ქანქარა ქანაობს, უჯრედებში კი ქანქარის როლს ასრულებენ ბოლო წლებში აღმოჩენილი განსაკუთრებული გენები. ეს გენები ხან მუშაობენ, ხან არა. ქანქარა კი შეიძლება ქანაობდეს ან ოდნავ ჩქარა, ან ოდნავ ნელა: როცა გვძინავს, მაგალითად, უჯრედები უფრო აქტიურია, ვიდრე როცა ვფხიზლობთ. ბიოლოგიური საათი რომ ყველა უჯრედში ერთნაირად მიდიოდეს, ამას თავის ტვინი აკონტროლებს.

რუსეთელი მედიკოსი **ვიქტორ ფროლოვი** ასე განაგრძობს:

— თანამედროვე წარმოდგენების მიხედვით ადამიანს რამდენიმე დონის ბიოლოგიური საათი უმოქმედებს. პირველი უკავშირდება ეპიფიზის მოღვაწეობას — ჯირკვლისა, რომლის ფუნქცია ორგანიზმის ერთ-ერთ გამოცანას წარმოადგენს.

ეპიფიზი თვალთა ბადურისგან იღებს ინფორმაციას დღეღამური დროის თაობაზე და ბიოლოგიური საათის ფუნქციას ახორციელებს. ბადურაზე დაცემული სინათლე ეპიფიზს აიძულებს, რომ ძილის ჰორმონის — მელატონინის გამომუშავება შეამციროს.

უხეშად რომ ვთქვათ, ამიტომ არის, რომ ღამით გვინდა ძილი, დილით კი — ადგომა. მელატონინი, თავის მხრივ, სხვა ორგანოებს უწევს რეგულირებას, იმათ სინქრონიზებას ეწევა ძილ-ღვიძილის ციკლთან. თუმცა ეპიფიზს თავისთავადაც, სინათლის ზემოქმედების გარეშეც შეუძლია საჭირო დროს მელატონინის გამომუშავება. კაცი რომ ქვის ტომარაში ჩასვა, სადაც სულ ერთება შუქი, ძილი მაინც მოესურვება ღამის მოახლოებისას, მაგრამ თუ ეს კაცი მთელი თვე დარჩება ამ ტომარაში, მაშინ იმისი დღეღამე გაგრძელდება.



მელატონინის გარდა, რეგულირების კიდევ მრავალი დონეა, იმათ რიცხვში ღვიძილის ჰორმონი კორტიზოლი, კიდევ გულის რიტმის გამძღოლი გენები, კიდევ რაღაც, სულ პატარა სტრუქტურა ტვინში, სახელწოდებით ჰიპოტალამუსის სუპრაქიაზმატიკური ბირთვი. ამ სტრუქტურას დროის მთავარ მთვლელად და ყველა დანარჩენი რიტმის ორგანიზატორად მიიჩნევენ. როგორ ათვლის თვით ის წამებს — ნათელი არ არის აგერ უკვე 30 წელი.

... მართალია, ქრონოლოგია ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა ბიოლოგიური საათის მოწყობილობაში, მაგრამ ექიმები უკვე ცდილობენ იმის გამოყენებასა და შეკეთებასაც კი.

ОГОНЁК

საქართველოს რესპუბლიკა
№ 257-258. შაბათი, 5 ნოემბერი, 2005 წელი.

◉ ჩვენებურები

# ჩინურ „ოქროზე" მეოცნებე

**ამას წინათ თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტ ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. შეჯიბრებას ესწრებოდა ათენის ოლიმპიური თამაშების „ბრინჯაოს“ პრიზიორი თეა დონღუზაშვილი, რომელმაც თავისი ელადური ჯილდო რუსეთის სპორტული დედაქალაქის ყულაბაში ჩააჩხრიალა.**

**— მიხარია, რომ საქართველოში ქალთა ძიუდოს აღორძინება დაიწყეს, — მითხრა თბილისში ახლობლების მოსანახულებლად ჩამოსულმა თეამ. — სპორტის სასახლეში გამართულ ორთაბრძოლებს რომ ვუყურებდი, ტატამზე ჩემი პირველი ნაბიჯები გამახსენდა.**

**ეს კი ზუსტად 15 წლის წინათ იყო.**

— ბავშვობისას მუსიკაზეც დავდიოდი და ცეკვაზეც, მაგრამ ერთგან სმენამ შემიშალა ხელი და მეორეგან — წონამ, — ღიმილით იხსენებს თეა დონღუზაშვილი, — ჯიშად გვაქვს სიმსუქნე. მაგალითად, ჩემი ძმა დათო 140 კილოა, წონაში არც უფროსი და დიანა და ტყუპისცალი თამთა ჩამორჩებიან.

პატარაობიდანვე მოძრავი და ელასტიკური ვიყავი. ხუჭუჭთმიანს თანატოლი ბიჭებისგან ვერ მარჩევდნენ ფეხბურთის თამაშისას. უფროსებს არაერთხელ უკითხავთ, ვისი ბიჭი ხარო.

**— ტატამზე როგორ მოხვდი?**

— 1989 წელს თბილისში ძიუდოისტ ქალთა ტურნირი გაიმართა. თეთრი კიმონოები მომეწონა და მეც მომინდა ძიუდოზე სიარული. მშობლებმა ჩემს თხოვნას ყური არ ათხოვეს. შენი ძმა რომ დადიოდა, რა გააკეთა, შენგან რა უნდა გამოვიდესო, — მითხრა მამამ. — სამაგიეროდ, ბიძაჩემმა — ვალერი დონღუზაშვილმა შემაგულიანა და 1990 წელს ფალავანთა კლუბში მიმიყვანა. მაშინ ძიუდოისტებიც ფალავანთა კლუბში ვარჯიშობდნენ.

**— პირველ წარმატებას როდის მიაღწიე?**

— ვარჯიში ორი კვირის დაწყებული მქონდა, მწვრთნელმა ომარ გულისაშვილმა, რომელსაც ძალიან ვემადლიერები, თორმეტცამეტწლიანთა საქართველოს პირველობაზე რომ მაჭიდავა, არადა, „ჰაჯიმეს“ და „მატეს“ ძლივს ვარჩევდი ერთმანეთისგან. ოთხი შეხვედრა მოვიგე და ჩემპიონი გავხდი. მაშინვე ქალთა ნაკრებში ამოვყავი თავი და ისეთი დატვირთვით მავარჯიშებდნენ, რომ სირბილი დღემდე მეჯავრება.



1991 წელს ანზორ კიკნაძის ხსოვნის საერთაშორის ტურნირზე მეორე ადგილი დავიკავე, მომდევნო წელს კი ყველას ვაჯობე.

**— ასეთი მაჟორული დებიუტის შემდეგ რუსეთში წასვლა რამ გადაგაწყვეტინა?**

— საქართველოში დატრიალებული ცნობილი მოვლენების შემყურეთ ქალთა ძიუდოსთვის სად ეცალათ. მე კი ისე შევეჩვიე ტატამსა და კიმონოს, რომ განშორება არ მინდოდა, ახლობლებმა ვლადიკავკაზში წამიყვანეს და ჩემი თავი საქართველოში დაბადებულ და გაზრდილ მწვრთნელს — ავთანდილ გაბარაევს ჩააბარეს. ორი წელიწადი ვივარჯიშე მასთან. რუსეთის ჩემპიონატებზე მეორე და მესამე ადგილები დავიკავე, რის გამოც ნაკრების შემადგენლობაში შემიყვანეს და სანკტ-პეტერბურგში გადავსახლდი. იქ ძიუდოს კარგი სკოლა აქვთ, მაგრამ გამოცდილ ოსტატს — ალექსანდრ კორნეევს ვერაფრით შევეწყვე. მე ქართული ილეთებით ვჭიდაობდი, ის უფრო აზიური სტილის მომხრე იყო, ამიტომ მწვრთნელი შევიცვალე. ჩემი ხელმძღვანელობა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორმა, ევროპის ჩემპიონმა ელენე პეტროვამ იტვირთა. დღემდე მიღწეული წარმატებები, სწორედ, მისი დამსახურებაა. ამჟამად ვლადიმირ გლადჩენკო მავარჯიშებს.

**— უკვე თხუთმეტი წელიწადია, ტატამზე გამოდიხარ, იცნობ მსოფლიო საჭიდაო სკოლას. უხერხული მეტოქეები თუ გყავს?**

— ვინც ძლიერია, ყველა უხერხული მეტოქეა, რადგან ისინი ტურნირის თითოეულ ფავორიტთან შესახვედრად საგანგებოდ ემზადებიან. ზოგჯერ, ალბათ, სპორტული იღბალიცაა საჭირო. აი, მაგალითად, ინგლისელი კატრინ ბრაიანტი და გერმანელი კატია გერბერი საერთაშორისო ტურნირებზე არაერთხელ მყავს დამარცხებული, არადა, სწორედ მათთან წავაგე ორ-ორჯერ ევროპის ჩემპიონატების ფინალები.

2003 წელს ოსაკაში (იაპონია) მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხედფინალური ორთაბრძოლა დავთმე ორგზის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანთან, ორგზის მსოფლიო ჩემპიონთან და ანალოგიური შეჯიბრებების ხუთგზის პრიზიორ კუბელ ბელტრანთან, თუმცა, მერე დამამშვიდებელ ტურნირში სამი შეხვედრა მოვიგე და ბრინჯაოს მედალთან ერთად ათენის ოლიმპიადის საგზურიც მოვიპოვე. ელადაში გამგზავრებამდე სამი თვით ადრე კი კუბელს ერთ-ერთი ტურნირის ნახევარფინალში ვძლიე.

**— ათენურ ბატალიებსაც ხომ არ გაიხსენებდი?**

— ზედიზედ სამი შეხვედრა მოვიგე ეგვიპტელ, კორეელ და იტალიელ მოჭიდავეებთან. ნახევარფინალში იაპონელმა მაკიცუკადამ შებოჭვით მაჯობა, შემდეგ ბელტრანს მოუგო და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მე კი მესამე ადგილისთვის ტუნისელი სპორტსმენი დავამარცხე.

**— წლეულს მსოფლიო ჩემპიონატზე, ეტყობა, არ გაგიმართლა?**

— მართალი გითხრათ, ეს შეჯიბრება ჩემთვის კურიოზულიც იყო. თავად განსაჯეთ: 6 ორთაბრძოლაში „კოკაც“ არ დამითმია და საბოლოოდ მაინც უმედლოდ დავრჩი. მესამე წრეში ფრანგ ანა მონდიერესთან თითქმის ათი წუთი ვიჭიდავე. გონგამდე წამები იყო დარჩენილი, არბიტრმა რომ გამაფრთხილა და დამამშვიდებელ ტურნირში გადავერთე. იქაც ბრინჯაოსთვის გადამწყვეტი ორთაბრძოლა მსაჯებმა ოლიმპიურ ჩემპიონ მაკიცუკადასთან შიდოთი წამაგებინეს. მე-5 ადგილზე გავედი.

**— ოლიმპიურ პრიზიორს რუსეთის მთავრობა ყურადღებას არ მოგაკლებდა.**

— ათენიდან დაბრუნების შემდეგ ვლადიმირ პუტინმა ოლიმპიური მედლის მსგავსი ბაჯაღლო „ოქროთი“ დამაჯილდოვა. ორი ბინა მაქვს: ერთი — სანკტ-პეტერბურგში, მეორე — ქალაქის გარეუბანში. მყავს მანქანა, ნორმალურ ხელფასს მიხდიან და შესანიშნავ სავარჯიშო პირობებს მიქმნიან.

**— ვატყობ, შენთვის საქმროც ეყოლებათ შერჩეული.**

— (ეცინება) გათხოვებას ჯერჯერობით არ ვაპირებ. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე უნდა ავიდე, მერე მინდა, პეკინის ოლიმპიადაზეც „ოქროს“ გავუსინჯო გემო.

**— საქართველოს პრეზიდენტი მამლუქი სპორტსმენების დაბრუნებაზე ზრუნავს. ჩვენი სპორტის მესვეურებს შენთვის არაფერი უთქვამთ?**

— რუსეთის ნაკრებში პირველი ნომერი ვარ და ასე იოლად არავინ შემელევა. ჩემი ნებით რომ წამოვიდე, სამი წლით დისკვალიფიკაციას მომცემენ, რაც, ფაქტობრივად, კარიერის დასრულებას ნიშნავს და ვის რაში გამოვადგები, თორემ ხუთჯვრიანი ქართული დროშის ქვეშ მეც სიამოვნებით ვიჭიდავებდი.

**ესაუბრა**
**ვაჟა დანელია.**



**სურათებზე: ვლადიმირ პუტინი აჯილდოებს თეა დონღუზაშვილს; ასპარეზობისას.**

### სადარბაზო ბარათი

***დაიბადა 1976 წლის 4 ივნისს თბილისში. ძიუდოში ვარჯიში დაიწყო 1990 წელს ომარ გულისაშვილისა და მურად მწარიაშვილის ხელმძღვანელობით. 1992 წელს ანზორ კიკნაძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ექვსჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი დიდებსა და ახალგაზრდებს შორის. 1994 წლიდან რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად. ჯერ ავთანდილ გაბარაევის ხელმძღვანელობით იმაღლებდა ოსტატობას, მერე ალექსანდრე კორნეევი და ელენა პეტროვა ავარჯიშებდნენ. ამჟამად მისი მწვრთნელია ვლადიმირ გლადჩენკო. რუსეთის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორია, ევროპის ოთხგზის ვერცხლის მედალოსანი (2000-2003, 2005), 2003 წელს ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული. იმავე წელს ოსაკაში მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა და ათენის ოლიმპიადის საგზური დაიმსახურა, 2003-2004 წლებში სანკტ-პეტერბურგის „იავარა-ნევასთან“ ერთად ევროპის საკლუბო პირველობა მოიგო. შარშან ათენის ოლიპიურ თამაშებზე მძიმე წონაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.***

◉ გულშემატკივართა კერპი

# ვის უმღერის მარადონა „ახ, მთვარევ, მთვარევს“?

**სულ ცოტა ხნის წინათ ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა უფსკრულის პირას იყო მოსული, გულშემატკივართა კერპი ღორმუცელობითა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულებით იყო დაავადებული. ალბათ გახსოვთ (ამაზე ჩვენც ვწერდით), ერთ ხანს ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც მკურნალობდა და გულის მძიმე შეტევაც გადაიტანა. სასიკვდილოდ განწირულმა ფეხბურთის დიდოსტატმა მთელი ძალები მოიკრიბა, რათა ნორმალურ ადამიანურ ცხოვრებას დაბრუნებოდა.**

ალბათ ისიც გახსოვთ, რომ მარტში დიეგოს კუჭის ოპერაცია გაუკეთეს — სპეციალური სამაგრებით მნიშვნელოვნად შეამცირეს მისი ტევადობა. ყოველივე ამის შემდეგ არგენტინელმა, ადრე სამი კაცის ულუფა რომ არ ჰყოფნიდა, სწრაფად დაიწყო გახდომა. და თუ 168-სანტიმეტრიანი სიმაღლის კაცი წლის დასაწყისში 121 კილოგრამს იწონიდა, ახლა ბურთის ჯადოქარი მხოლოდ 80 კილოგრამს იწონის.



44 წლის დიეგომ ერთობ მიმზიდველი შესახედაობა შეიძინა, თანაც არგენტინის ტელევიზიაში საკუთარი შოუც წამოიწყო.

აი, მაშინ კი გაახსენდა, რომ ამ ქვეყნად ჭამისა და ნარკოტიკების გარდა, ბევრი რამაა მიმზიდველი და მშვენიერი. მათ შორის, ქალები.

მართალია, არც იქამდე იყო თავისი მეუღლის — კლაუდიოს დიდი ერთგული, მაგრამ ახლა ძალზე გაიწია „მარცხნივ“.

ფეხბურთელის რჩეული გახდა 25 წლის არგენტინელი მოდელი სილვინა ლუნა. მთვარესავით ქალი ცნობილია არა მარტო მოდის სამყაროში, არამედ ტელევიზიაშიც — ის ხომ ხუთ სერიალში მონაწილეობდა.

თუმცა ქალიშვილის უპირატესობა სხვა რამეშია — მისი თეძოები შეშურდებოდა ჯენიფერ ლოპესს, ხოლო ბიუსტი — პამელა ანდერსონს.

სხვათა შორის, სილვინა ამტკიცებს, რომ მის უმშვენიერეს სხეულში სილიკონის მისხალიც კი არაა.

ალბათ, სწორედ ამანაც აამაღლა ლუნა მარადონას თვალში. ლუნასთან რომანისკენ დიეგოს სხვა რამემაც უბიძგა — მან შეიტყო, რომ სილვინას ახლო ურთიერთობა აქვს მომღერალ რობი უილიამსთან. ახალგაზრდა ბრიტანელი პოპვარსკვლავისთვის ხელიდან ქალიშვილის გამოღლეტვა არგენტინელმა თავის ღირსების საქმედ მიიჩნია.

სილვინას გული და სხეული რომ დაიპყრო, მარადონამ ბუენოს-აირესის ცენტრში სახლიც შეიძინა, მხოლოდ გულისსწორთან შესახვედრად. თუმცა გაქნილ რეპორტიორებს რას გამოაპარებ? ისე რომ, ახალი ვნებიანი გატაცება მარადონას ახალ დიდ სკანდალს უმზადებს.

**უცხოური პრესის მასალების მიხედვით მოამზადა**
**ვალიკო სიმონიშვილმა**



**სურათებზე: მარადონა ნახევარი წლის წინათ და ახლა. ეს კი მისი ახალი „გულის ვარდი“ — სილვინა ლუნაა.**

**რეიტერის ფოტო.**

◎ რიგგარეშე ყრილობა

# ღირსეული მემკვიდრე

**მოგეხსენებათ, მინიფეხბურთის მემკვიდრის — ფუტზალის ეროვნულ ასოციაციას წლების განმავლობაში გრიგოლ ცაავა ხელმძღვანელობდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივნად მისი არჩევის შემდეგ კი ეს პოსტი რამდენიმე თვის განმავლობაში ვაკანტური იყო.**

და აი, გუშინ გამართულ ასოციაციის რიგგარეშე ყრილობაზე ვაკუუმი შეივსო — დელეგატებმა ერთხმად გამოუცხადეს ნდობა უალტერნატივო კანდიდატს, სპორტკომპლექს „ქარიშხალას" დირექტორს **კახა დევდარიანს,** რომელიც პასუხსაგებ საქმეს უკვე ჩამოყალიბებული საკუთარი გუნდით გაუძღვება: ვიცეპრეზიდენტები — დავით გრძელიშვილი და ირაკლი ქავთარაძე, გენერალური მდივანი — ბექა კვიციანი, ეროვნული ჩემპიონატის დირექტორი — ალეკო ლეჟავა, ეროვნული ნაკრების მწვრთნელები — ანდრო მიზანდარი და ლევან გრიგოლია.

არჩევნების შემდეგ მოწვეულ პრესკონფერენციაზე ფუტზალის ასოციაციის ახალმა თავკაცმა განაცხადა:

— ტკბილ მოგონებად გვექცა 1998 წელი, როცა ევროპულ რეიტინგში ჩვენს ქვეყანას საპატიო მეცხრე ადგილი ეკავა. სწორედ იმ წელს იტალიის ქალაქ კალაბრიაში შესარჩევი მატჩი თვით საფრანგეთის გუნდს მოვუგეთ. არანაკლები სიამაყით ვიხსენებთ იმ პერიოდს, ეროვნულ ჩემპიონატში 18 კლუბი რომ თამაშობდა, თანაც როდის — საყოველთაო სიდუხჭირისა და განუკითხაობის ჟამს, „ქარიშხალას" გაყინულ დარბაზში. დღეს, როცა მწარე რეალობასთან გვიწევს შეგუება და უსპონსორობის გამო მთელი რიგი გუნდები დაიშალა, XII ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 28 ნოემბერს იწყება და ოთხ წრედ მოეწყობა, განაცხადი მხოლოდ ცხრა კლუბმა წარმოადგინა. სამწუხაროა, პრესასა და ტელევიზიაში ატეხილი ხმაურის შემდეგ იქიდან ამოიღეს. ერთ დროს პროფკავშირების საკუთრება ამჟამად ქონების მართვის სააგენტოს ბალანსზე ირიცხება, თუმცა ვილაცვილაცეები ისევ ცდილობენ მის დაუფლებას. რომ აცხადებენ — გავარემონტებთ და კეთილმო-



მაგრამ ფაქტია — ენთუზიაზმზე ასპარეზობა უკვე წარსულს ბარდება. ოპტიმიზმის საფუძველს სფფ-ს ახალი პრეზიდენტის — ბატონ ნოდარ ახალკაცის დამოკიდებულება გვაძლევს ჩვენი სახეობისადმი. დღეს რომ სფფ-ს შენობაში ვართ შეკრებილნი, დამეთანხმებით, ბევრ რამეზე მეტყველებს.

დიალოგის დასასრულს ბატონი კახა დევდარიანი ქრონიკულ თავსატეხად ქცეულ სპორტკომპლექს „ქარიშხალას" ბედსაც შეეხო: — გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ იგი საპრივატიზაციო ნუსხაში იყო შეტანილი, მაგრამ ვაწყობთო, თუ ნახევრად დანგრეული შენობის აღდგენისთვის საჭირო ფინანსები გააჩნიათ, არ ჯობია ჯანმრთელობის ახალი კერა ააშენონ? მათ გასაგონად კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მასმედიისა და საზოგადოების დახმარებით ვეცდებით „ქარიშხალა" ისევ ხალხს შევუნარჩუნოთ. ნურავის დაავიწყდება, რომ ჩვენთან მოსახლეობას ყველაზე დაბალ ფასებში ემსახურებიან.

**გია პლატონიშვილი.**

**სურათზე: გრიგოლ ცაავა (მარცხნივ) და კახა დევდარიანი.**

**რობერტ ბაგოიანის** ფოტო.

◎ უეფას თასი

# მხოლოდ შედეგები

UEFA CUP

**ჯგუფური ეტაპის III ტური. „ა" ჯგუფი. „ჰამბურგი" — „ვიკინგი" 2:0, „სლავია" — ცსკა (სოფია) 4:2. ისვენებდა „მონაკო".**

„ჰამბურგი" — 6, „სლავია", „ვიკინგი" — 3-3, „მონაკო", ცსკა (სოფია) — 0-0 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ვიკინგი" — „სლავია", „მონაკო" — „ჰამბურგი". ისვენებს ცსკა (სოფია).

**„ბ" ჯგუფი.** „ბრონდბიუ" — „მაკაბი" 2:0, „პალერმო" — „ლოკომოტივი" 0:0. ისვენებდა „ესპანიოლი".



„პალერმო" — 4, „ბრონდბიუ", „ესპანიოლი" — 3-3, „ლოკომოტივი" — 1, „მაკაბი" — 0 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ლოკომოტივი" — „ბრონდბიუ", „ესპანიოლი" — „პალერმო". ისვენებს „მაკაბი".

**„გ" ჯგუფი.** „ლანსი" — „ჰალმშტადი" 5:0, „სამპდორია" — „სტიაუა" 0:0. ისვენებდა „ჰერტა".

„სტიაუა" — 4, „ლანსი", „ჰერტა" — 3-3, „სამპდორია" 1, „ჰალმშტადი" — 0 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ჰერტა" — „ლანსი", „ჰალმშტადი" — „სამპდორია". ისვენებს „სტიაუა".

**„დ" ჯგუფი.** „მიდლსბრო" — „დნიპრო" 3:0, „ლიტექსი" — „გრასხოპერსი" 2:1. ისვენებდა „ალკმაარი".

„მიდლსბრო" — 6, „ალკმაარი", „ლიტექსი" — 3-3, „გრასხოპერსი", „დნიპრო" — 0-0 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ალკმაარი" — „მიდლსბრო", „დნიპრო" — „ლიტექსი". ისვენებს „გრასხოპერსი".

**„ე" ჯგუფი.** „ცრვენა ზვეზდა" — „ბაზელი" 1:2, „სტრასბური" — „ტრომსიო" 2:0. ისვენებდა „რომა".

„სტრასბური" — 6, „როიერმა", „ბაზელი" 3-3, „ცრვენა ზვეზდა", „ტრომსიო" — 0-0 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ტრომსიო" — „ცრვენა ზვეზდა", „რომა" — „სტრასბური". ისვენებს „ბაზელი".

**„ვ" ჯგუფი.** „ჰერენვეენი" — ცსკა (მოსკოვი) 0:0, „ლევსკი" — „დინამო" 1:0. ისვენებდა „მარსელი".

„მარსელი", „ლევსკი" — 3-3, „ჰერენვეენი" — 2, ცსკა, „დინამო" — 1-1 ქულა.

**შემდეგი ტური:** „მარსელი" — „ჰერენვეენი", ცსკა (მოსკოვი) — „ლევსკი". ისვენებს „დინამო".

**„ზ" ჯგუფი.** „შტუტგარტი" — „შახტარი" 0:2, „რაპიდი" — „რენი" 2:0. ისვენებდა „პაოკი".

„შახტარი" — 6, „რაპიდი", „შტუტგარტი" — 3-3, „პაოკი", „რენი" — 0-0 ქულა.

**შემდეგი ტური:** „პაოკი" — „შტუტგარტი", „შახტარი" — „რაპიდი". ისვენებს „რენი".

**„თ" ჯგუფი.** „ბოლტონი" — „ზენიტი" 1:0, „სევილია" — „ბეშიქთაში" 3:0. ისვენებდა „გიმარაეში".

„ბოლტონი" — 4, „სევილია", „ზენიტი" — 3-3, „ბეშიქთაში" — 1, „გიმარაეში" — 0 ქულა.

**შემდეგი ტური:** „გიმარაეში" — „ბოლტონი", „ზენიტი" — „სევილია". ისვენებს „ბეშიქთაში".

◎ ოჰ, ეს დემოკრატია!

# ფეხბურთელი – ქვეყნის პრეზიდენტი?

**8 ნოემბერს თანამედროვე სამყაროს პოლიტიკურ ისტორიაში შეიძლება, არნახული რამ მოხდეს — ქვეყნის პრეზიდენტად (ლიბერიაში ჩასატარებელი არჩევნების მეორე ტურის შედეგად) მოგვევლინოს ფეხბურთელი ჯორჯ ვეა. რომელიც ყველაზე გამოჩენილ პიროვნებად ითვლება ამ პატარა აფრიკული ქვეყნის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში. იგი მონაწილეობდა პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურში 11 ოქტომბერს, ხმების 28,3 პროცენტი მოაგროვა და მთელი 7 პროცენტით გაუსწრო მეორე პრეტენდენტს. მიმომხილველებს ეს აფიქრებინებთ, რომ ვეას საბოლოო გამარჯვებას წინ აღარაფერი უდგას, თუმცა, ფეხბურთელს არც სათანადო განათლება აქვს და არც რაიმე პოლიტიკური გამოცდილება.**

ჯორჯ ვეამ (დაიბ. 1966 წლის 1 ოქტომბერს) სახელი გაითქვა საფრანგეთის კლუბებში („მონაკო", „პსჟ" და „მარსელი"), აგრეთვე „მილანში", „ჩელსისა" და „მანჩესტერ-სიტიში" თამაშით. (სხვადასხვა დროს იყო ლიბერიის, კამერუნის, საფრანგეთის, იტალიის ჩემპიონი, საფრანგეთის, ინგლისის თასების მფლობელი, აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი (1989, 1994, 1995 წლებში), ევროპის (1995) და მსოფლიოს (1995) საუკეთესო ფეხბურთელი.

საინტერესოა, რომ თავიდან ვეას მხოლოდ ლიბერიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა უნდოდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. საქმე ისაა, რომ დებულების თანახმად, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი აუცილებლად უნდა იყოს ერთ-ერთი ადგილობრივი კლუბის ხელმძღვანელი, ვეას კი ამ თანამდებობაზე არასოდეს უმუშავია.

◎ ჭადრაკი



# და დამარცხებას არ უჩანს ბოლო

**ისრაელში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. მესამე ტურში კვლავ დამარცხდა საქართველოს ნაკრები, ამჯერად — რუსებთან. პირველ დაფაზე ზურაბ აზმაიფარაშვილმა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ პიოტრ სვიდლერთან წააგო. ბაადურ ჯობავამ მეორე დაფაზე ალექსეი დრეევს აჯობა, გია გიორგაძე ალექსანდრ მოროზევიჩს დაუზავდა. კვლავ დამარცხდა ლევან ფანცულაია. ამჯერად იგი ევგენი ბარეევს დანებდა.**

სამი ტურის შემდეგ რუსებს 8 ქულა აქვთ. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება ჩინეთის ნაკრები, რომელმაც მხოლოდ 2 მატჩი ითამაშა (თანამემამულე ქალებს 4:0 მოუგო, კუბელებს კი — 3,5:0,5). ასევე, 7,5 ქულით მესამე ადგილზეა სომხეთის გუნდი. ჩვენები 4 ქულით ბოლოსწინა ადგილზე არიან და ქულა-ნახევრით უსწრებენ მეცხრე ადგილზე მყოფ ჩინეთის ქალთა გუნდს, რომელსაც მე-4 ტურში ხვდებიან.

**გიორგი გაგუა**

◎ რაგბი

# ჩვენს მზადყოფნას ოკეანისგაღმელები შეამოწმებენ

**კვირას ვაკეში მიხეილ მესხის სტადიონზე მორაგბეთა საინტერესო მატჩი გაიმართება. საქართველოს ნაკრები ურუგვაის გუნდს უმასპინძლებს. საგულისხმოა, რომ ეს კოლექტივები შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს სამხრეთ ამერიკაში.** მაშინ ურუგვაელებმა ქართველებსაც აჯობეს და პორტუგალიელებსაც, რითაც მინიტურნირში გაიმარჯვეს. ახლა ევროპელების ჯერია. მომდევნო შაბათს (12 ნოემბერს) ჩილის ნაკრებს შევხვდებით (ოკეანისგაღმელები პორტუგალიასაც ეთამაშებიან). ამ ორთაბრძოლებს ჩვენი გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძალების გამოსაცდელად ევროპის ერთა თასის მეორე წრის წინ. თუმცა, საქართველოს ნაკრები ხუთივე მატჩს გაისად გამართავს. 4 თებერვალს — რუსებთან, 25 თებერვალს — რუმინეთში, 11 მარტს პორტუგალიასთან, 18 მარტს ჩეხეთსა და 23 აპრილს უკრაინაში.

◎ ორბიტა



# მოჰამედ ალის — თავისუფლების მედალი

**ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე მოჰამედ ალი სათავეში უდგა იმ 14 კაცის სიას, ვინც დაიმსახურა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო — თავისუფლების მედალი. ეს ჯილდო 1963 წლიდან გადაეცემათ აშშ უშიშროებისა და მთელს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, აგრეთვე კულტურისა და სპორტის დარგში დამსახურებისთვის.**

დაჯილდოების ცერემონია 9 ნოემბერს თეთრ სახლში გაიმართება. ჯილდოებს თავად აშშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსი გადასცემს.

# ვიტალი კლიჩკო ემზადება

**მსოფლიო ჩემპიონმა WBC ვერსიით, მძიმეწონოსანმა უკრაინელმა მოკრივემ ვიტალი კლიჩკომ ღია ვარჯიში გამართა ლოს-ანჯელესში.**

შეგახსენებთ, რომ 12 ნოემბერს მან თავისი ტიტული უნდა დაიცვას ამერიკელ ჰასიმ რახმანთან 12-რაუნდიან ორთაბრძოლაში.

იმის პასუხად, რომ რახმანმა დაიქადნა, კლიჩკოს გავანადგურებო, უკრაინელმა თქვა: „რახმანი ბევრს ყბედობს. ის ჩემპიონია ყბედებს შორის, ამისთვის მას რინგზე ვუპასუხებ".

# ბატონმა ქალებს აწყენინა

**„ფორმულა-1"-ის საჯინიბო ბარის პილოტმა ჯენსონ ბატონმა ამას წინათ გააკეთა განცხადება, რითაც ქალები ძალზე გაანაწყენა. კერძოდ, ბრიტანელი შეეხო მშვენიერი სქესის თავისებურებებს, რაც თითქოს ხელს უშლის მათ, მოიპოვონ სერიოზული წარმატებები ავტორბოლების სამყაროში: „ყოველი თვის ერთ კვირას მათ ვერ შეხვდებით ტრასაზე, განა ასე არაა?" — თქვა ბატონმა. ბრიტანელ პილოტს ერთ-ერთ საბუთად მოაქვს ქალის მკერდი, რომელიც თითქოს ხელს უშლის მათ ბოლიდის კოკპიტში ჩაჯდომაში.**

ქალბატონების პასუხს არ დაუგვიანია. ბატონს ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მისივე კოლეგის — რალფ შუმახერის მეუღლე, ამავე დროს გერმანიის ერთ-ერთი უმშვენიერესის მრბოლი კორა. „ბატონი თუნდაც ერთხელ წამოვიდეს ჩემთან ერთად, მაშინ ის ნახავს, თუ რომელი სქესი სჯობია".

პასუხი არ დააგვიანა ელენ ლორმაც, ერთადერთმა ქალმა, ვინც DTM კლასის რბოლაში გაიმარჯვა: — ძვირფასი ბატონი ბატონი ბევრ რამეს იღებს თავის თავზეო, — განაცხადა მან.

რაც შეეხება მკერდს, კორა შუმახერმა აქაც გამოძებნა საწინააღმდეგო არგუმენტები: „მე თვითონ ვიკრავ ღვედებს, თუ კი დამჭირდა, რომელიმე მექანიკოსი სწრაფად დამეხმარება, ხოლო ჩემს „უსაფრთხოების ბალიშებს" მე თავად ვისწორებ".



№ 257-258. შაბათი, 5 ნოემბერი, 2005 წელი.

უძღვება გურამ ვაშაკიძე

გამოშვება მესამე

# დაფაზე — ულმობელი სიმართლე

## ჭადრაკი ყმაწვილთათვის და არამარტო მათთვის

წინა გამოშვებებში მორფის მიერ ბრწყინვალედ ჩატარებულმა პარტიამ, რეტის განხორციელებულმა კომბინაციამ ტარტაკოვერთან შეხვედრაში, ჰარმონიული ფერებით შეხამებულმა ანრი რინკის ეტიუდმა, იმედია, ჭადრაკისადმი ინტერესი ბევრ ყმაწვილს გაუღვიძა. ხოლო მათ, ვინც უკვე იცნობს ჭადრაკს, ახალი მძლავრი იმპულსი მისცა, რათა კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლოს იგი. ახლა, როცა ამ ბრძნულ თამაშს „გემო გავუსინჯეთ", ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ.

ჭადრაკი თამაშია, ვამბობთ. ასეც არის. თუ არა თამაში, უბოროტო, კეთილი ხუმრობა, სმენის დამატკბობელი მუსიკა, თუ არა მაღალი პოეზია, თეატრი და ფერწერა — რა იქნებოდა ცხოვრება? უაზრო და მოსაწყენი ქამთა სვლა და სხვა არაფერი.

ათასი მადლობა მას (მათ), ვინც ჭადრაკი გამოიგონა!

ჭადრაკი ბრძოლააო, ვამბობთ. ასეც არის. მაგრამ ეს ბრძოლა მშვიდობიანია. მეტოქეები აქ ერთმანეთს ფიზიკურ ტკივილს როდი აყენებენ — გონებით ეჯიბრებიან ერთმანეთს. ჭადრაკის დაფაზე ოცნების და აზრის უხილავი სამყარო ფიგურების გადაადგილება-მოძრაობაში ვლინდება. ეს მოძრაობა სავსეა ბრძოლის ჟინით, წყენითა და სიხარულით, თავგადასავლებითა და აღმოჩენებით.

ისევე, როგორც დღეს, ჭადრაკი ძველადაც გამორჩეული თამაში იყო. შუა საუკუნეების ევროპაში ფარიკაობის, ცურვის, ნადირობის, სიმღერის უნართან ერთად რაინდს „ჭადრაკის მღერაც" ევალებოდა. შორს რომ არ წავიდეთ, ქალიშვილისთვის მზითევში ჭადრაკის გატანების ტრადიცია ქართველებს რომ ჰქონდათ, განა საქართველოში ამ თამაშის პოპულარობაზე არ მეტყველებს?!

თუ ადრე ჭადრაკი მეფეთა თამაში იყო, დღეს იგი თამაშების მეფეა — დედამიწის ზურგზე ასობით მილიონი ადამიანი მეგობრობს მასთან — „ჭადრაკის იმპერიაში" მზე არასოდეს არ ჩადის. იგი აახლოებს ერთმანეთთან სხვადასხვა ასაკის, ეროვნების და პროფესიის ადამიანებს. შემთხვევითი არ არის, რომ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის დევიზია: "Gens una sumus" („ჩვენ ერთი ოჯახი ვართ").

ზემოთ ჭადრაკისადმი ქართველების დამოკიდებულება ვახსენეთ. ახლა კი ყველა ჩვენგანისთვის სათაყვანებელი სახელი წარმოვთქვათ: ნონა გაფრინდაშვილი!

საქართველოში ოჯახი არ მეგულება, ნონა გაფრინდაშვილზე დაწერილი რაიმე წიგნი რომ არ ჰქონდეს შემონახული. ჭადრაკის ბუმი ჩვენში ნონას სახელს უკავშირდება. წინა საუკუნის 60-იან წლებში მის მიერ ანთებული ჭადრაკის ჩირაღდანი დღესაც გიზგიზებს და ათობით და ასობით ნიჭიერი, იმედისმომცემი გოგო-ბიჭი მიჰყავს ამ ბრძნული თამაშის გზაზე. თავის დროზე სწორედ ეს გზა გამოიარეს ნანა ალექსანდრიამ, მაია ჩიბურდანიძემ, ნანა იოსელიანმა, ნინო გურიელმა, ზურაბ აზმაიფარაშვილმა და სხვებმა, დღეს უკვე ცნობილმა დიდოსტატებმა თუ ჭადრაკის მოღვაწეებმა.

ნონას ტიტულებს ვერვინ მოთვლის. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ იგი ქალთა შორის პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონია, პირველი ქართველი საერთაშორისო დიდოსტატია, პირველი საერთაშორისო დიდოსტატია ვაჟთა შორის, პირველი... პირველი... პირველი...

ახლა გავეცნოთ ნონას ერთ პარტიას, რომელმაც მის საჭადრაკო ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

### მ. ლაზარევიჩი — ნ. გაფრინდაშვილი
### ვრნიაჩკა-ბანია, 1961 წ.
### ბერდის დებიუტი

1960 წელს იუგოსლავიის ამ პატარა ქალაქში გამართული მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირი ნონა გაფრინდაშვილმა დაუმარცხებლად განვლო და პირველი ადგილი დაიკავა. ჭადრაკის სპეციალისტთა საერთო ყურადღება მიიპყრო მისმა შეხვედრამ მასპინძელთა კერპთან, ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან მილუნკა ლაზარევიჩთან.

საჭადრაკო დაფასთან მათს პაექრობას თუ ყველაფერი არა, ბევრი რამ მაინც უნდა გადაეწყვიტა.

1. f2-f4 c7-c5 2. მg1-f3 g7-g6 3. e2-e3 კf8-g7 4. d2-d3 e7-e6 5. კf1-e2 მg8-e7 6. 0-0 მb8-c6 7. e3-e4 d7-d6

თეთრებმა ტემპი დაკარგეს და ახლა შავები ინიციატივას ეუფლებიან.

8. c2-c3 0-0 9. კc1-e3 ეa8-b8 10. d3-d4

ლაზარევიჩმა ჯეროვნად ვერ შეაფასა შავების მომდევნო სვლა. მათი მხედარი საიმედოდ მკვიდრდება d5 უჯრაზე.



10 … f7-f5 11. e4-e5 c5:d4 12. c3:d4 მe7-d5 13. კe3-c1 კg7-h6

დიაგონალიც დასუსტდა, e3 უჯრაზეც თვალი უნდა გეჭიროს

14. g2-g3 d6:e5 15. d4:e5

მეორე პაიკით აღებას მოჰყვებოდა 15. … კe3+ და შემდეგ ლd8-b6

15. … b7-b5 16. მb1-c3 ლd8-b6+ 17. მფg1-g2 ეf8-d8

მხედრების გაცვლა და შემდეგ d8-ზე ეტლის მანევრი შავებს უპირატესობას ჰპირდებოდა. ახლა სასწორი თეთრების მხარეზე გადაიხარა.

18. მc3:d5 ეd8:d5 19. ლd1-b3 კh6-f8

კუმ h-6-ზე „მოიწყინა". ამასთან მუქარაცაა 20. კe3

20. კc1-e3 კf8-c5 21. კe3: c5 ლb6:c5

უარესია 21. …ე:c5 22. ეfd1 მa5 23. ლe3 ეc2 24. ლ:b6 ab 25. ეd8+

22.ეf1-d1 მc6-e7

საყრდენი პუნქტი d5 შავების უკანასკნელი იმედია.

23. ეa1-c1 ლc5-b6

თეთრები დაწოლას აძლიერებენ.

24. ეd1:d5 მe7:d5 25. ლb3: b5!

გათვლა მარტივია: 25. ...ლ:b5 26. კ:b5 ე:b5 27. ე:c8+ ან 26. ... a6 27. კe2 კd7 28. b3 ზედმეტი პაიკით. თუმცა შავებს 25. ... ლ:b5 26. კ:b5-ზე მომზადებული ჰქონდათ პასუხი 26. ... მe7 და პაიკს დაიბრუნებდნენ, მაგრამ მათ ერთი სული აქვთ გადაეშვან უმძაფრეს კომბინაციურ ბრძოლაში.

25. ... ლb6-e3!



უამრავი გაგრძელებიდან თეთრებმა ყველაზე პროზაული გაგრძელება აირჩიეს:

„მე ეტლს ავიყვან და დაე, შავებმა ყაიმისთვის იბრძოლონ".

26. ლb5:b8 ლe3:e2+ 27. მფg2-h3 მფg8-g7! 28. ლb8:a7+

თეთრები კვლავ მოგებაზე თამაშობენ, თუმცა ხედავენ, რომ კუს აღებისა და მd5:f4+-ის შემდეგ ყაიმია (მფh3-h4 მf4-g2+), მაგრამ ირკვევა, რომ ამ ორომტრიალში კუ სასწაულებრივ გადარჩენილა და ისიც ბრძოლაში ებმება.

28. ... მფg7-h6 29. ლa7-a3

მცდარია 29. მg5? მ:f4+ და 30. ლg4X.

29. ... მფh6-h5

წინ, წინ გასწი, გვირგვინოსანო, ნუ შედრკება შენი გული! ნონამ გააუვნებელყო მეტოქის მუქარა მფh4 და ლf8X და ახლა თავად ცდილობს თეთრი მეფის დატყვევებას (კa6 და ლf1X).

30. ეc1-e1? ლe2-f2 31. ლa3-d3 კc8-a6! 32. ლd3-d1 მd5-e3

მოულოდნელი და უჩვეულო ფინალი! თეთრი მეფე შავი ფიგურების ალყაშია (არ გაგონებთ ეს ფელდმარშალ პაულიუსს და მისი არმიის ბედს სტალინგრადში?).

33. ეe1:e3 კa6-f1+

ლაზარევიჩი დანებდა.

ერთი წლის შემდეგ კი პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონის ტახტზე აბრძანდა.

დაიწყო ჭადრაკის ისტორიაში ნონა გაფრინდაშვილის ეპოქა.

ჭადრაკი რაღაც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ თამაში.
ხ. კაპაბლანკა



## ცოტა რამ ისტორიიდან

**ამ თამაშს დიდი და საინტერესო ისტორია აქვს და როგორც ეს ხშირად ხდება, მისი ფესვები უძველეს მითებსა და ლეგენდებში იკარგება. ზოგიერთი ლიტერატურული წყარო ჭადრაკის გამომგონებლად ადამსაც კი მიიჩნევს. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელი დიდოსტატი ლარი ევანსი ამერიკული ენციკლოპედიისთვის დაწერილ სტატიაში ჭადრაკის შესახებ თვლის, რომ ჭადრაკი ადამმა იმ მიზნით გამოიგონა, რომ როგორმე გადაეტანა მასზე ევას ყურადღება, რომელიც აკრძალული ხილის შესახებ ახირებული აზრებით იყო დაკავებული.**

თუ საჭადრაკო ტერმინოლოგიას ვიხმართ, ეს იყო პირველი „გატყუების კომბინაცია", რომელმაც, როგორც ვიცით, მიზანს ვერ მიაღწია.

თუმცა შუა საუკუნეების ერთ-ერთი რელიგიური სექტა არ ცნობდა ადამის პრიორიტეტს და ამტკიცებდა, რომ ჭადრაკი თავად ღმერთმა გამოიგონა, რომელიც, თურმე, ბევრ დროს უთმობს 64-უჯრიან დაფას.

XVI საუკუნის გერმანელი თეოლოგი, ლუთერიანული ეკლესიის ერთი მთავარი იდეოლოგი მელანქტონი ამ სამუშაო ჰიპოტეზას ახალი საბუთებით ამდიდრებს. იგი ირწმუნება, რომ უზენაესი მარტინ ლუთერის სულს თეთრი ფერის მეფეში ხედავს, ხოლო მისი უბოროტესი მტრის ლევ X სულს კი — შავ მეფეში. ამასთან, თეთრი მეფე ყოველთვის გამარჯვებული გამოდის.

მე-13 საუკუნის ფრანგი პოეტის გოტიე დე კუატრის მისტერიაში „ღვთისმშობლის სასწაულები", აღწერილია საჭადრაკო პარტია **ღმერთი — ეშმაკი**. დაფაზე კაცობრიობის ბედი თამაშდება. ღვთისმშობელი ყურადღებით ადევნებს თვალს პაექრობას და იმ მომენტში, როცა ბნელეთის მეფემ გამარჯვება უნდა იზეიმოს, იგი თეთრ ლაზიერად გადაიქცევა და საჭადრაკო დაფაზე ძალთა თანაფარდობა მკვეთრად შეიცვლება.

ასე რომ, თავისუფლად შეგვიძლია ვისაუბროთ ჭადრაკის ისტორიის „ადამისდროინდელ" პერიოდზეც.

* * *

**აი, კიდევ ერთი ძველი ლეგენდა: 18 446 744 073 709 551 615.**

**წაიკითხეთ ეს ციფრი!**

**გაგიძნელდათ? მაშინ ერთად წავიკითხოთ: თვრამეტი კვადრილიონ ოთხასორმოცდაექვსი ტრილიონ შვიდას ორმოცდაოთხი ბილიონ სამოცდაცამეტი მილიარდ შვიდასცხრა მილიონ ხუთასორმოცდათერთმეტი ათას ექვსას თხუთმეტი.**

ამ ციფრებს პირდაპირი კავშირის აქვს ჭადრაკის წარმოშობის ლეგენდასთან.

როდესაც ინდოეთის მეფე პირველად გაეცნო ჭადრაკს, განცვიფრებული დარჩა მისი მრავალფეროვნებით და ლამაზი კომბინაციების სიუხვით. განცვიფრება მალე კმაყოფილებით შეეცვალა, როცა მოახსენეს, რომ ჭადრაკის გამომგონებელი თქვენს სამეფოში ცხოვრობსო.

მომგვარეთო, ბრძანა.

მიჰგვარეს. „ამ ბრძნული თამაშის გამოგონებისთვის, მზად ვარ ნებისმიერი თხოვნა შეგისრულო", — უთხრა მეფემ. ქვეშევრდომმა ჯილდოდ მხოლოდ ხორბლის მარცვლები მოითხოვა ასეთი გაანგარიშებით: დაფის პირველი უჯრიდან ერთი მარცვალი, მეორე უჯრიდან — ორი, მესამედან — ოთხი და ა.შ. მეფე მოიხიბლა გამომგონებლის თავმდაბლობით და ბრძანა სასწრაფოდ მიეცათ მისთვის მარცვლების კუთვნილი რაოდენობა. „და დამატებით ორი ტომარა ხორბალი გაატანეთ ამ მოკრძალებულ ადამიანს", — ესეც მეფის ბრძანება გახლდათ.

სასახლის მათემატიკოსები სამუშაოს ჩაუსხდნენ და მეორე დღეს მბრძანებელს მოახსენეს, რომ არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც თქვენ გგონიათო. ამ მოხერხებული ბრძენის სურვილის დაკმაყოფილება შეუძლებელი აღმოჩნდა. საამისოდ არ ეყოფოდა არა მარტო ამ სახელმწიფოში, მთელ მსოფლიოში მოწეული ხორბალიც კი. გამოირკვა, რომ ბრძენმა მოითხოვა $1+2+2^2+...+2^{63}=2^{64}-1$ მარცვალი. ეს რიცხვი ოცციფრიანია და ასტრონომიულადაც კი ძალიან დიდია. ამ ოდენობის მარცვლის შესანახი ამბარი დედამიწიდან მზემდე გაიჭიმებოდა.

## როცა გაკვეთილებს მორჩები

### შამათი სამ სვლაში. სვლა თეთრებისაა

ლ. კუბელი, 1939.



ვიდრე თეთრი მეფე f6 ან g6 უჯრებზე შევიდოდეს, ლაზიერი ჯარასავით ტრიალებს

ს. ლოიდი, 1867.



აუცილებელი არ არის პაიკი მაინცდამაინც ლაზიერად გარდაიქმნას.

ს. ლოიდი, 1868.



არცთუ ადვილი ამოცანაა. მიზანს აღწევს ლაზიერის „ყოვლისშემძლეობა".

ლ. კუბელი, 1936.



თეთრებს დიდი უპირატესობა აქვთ. თქვენი ვალია შამათისკენ უმოკლესი გზა მოძებნოთ.

*პასუხები მომდევნო გამოშვებაში.*

*წინა გამოშვების პასუხები ასეთია: №1. ლh8; №2. ლd7; №3. მფf6; №4. d8მ; №5.კf1; №6. c4; №7. მb8; №8. 0-0; №9. ლb7.*

# მონიკა ბელუჩი: „პლასტიკური ქირურგიის დანას არასდროს ახლოს არ გავიკარებ“

**(მეჩვიდმეტე გვერდიდან)**

**კორ.:** რამდენი წელი უნდა შეუსრულდეს თქვენს გოგონას, რომ „ძმები გრიმები“ ნახოს?

**ბელუჩი:** არც ვიცი. ფილმი რომ გამოვიდა, იგი 10 თვისა იყო. შესაძლოა, 10 წლისა რომ გახდება, ვუჩვენო ეს ფილმი. იგი საშინელია, მაგრამ კარგია. ცხოვრება თავისთავად მეტად სასტიკია, ამიტომაც ყველას გვიყვარს შემზარავი ამბები და ზღაპრები.

**კორ.:** ძნელი იყო მოდელობიდან მსახიობობაზე გადასვლა?

**ბელუჩი:** ძნელი, რადგანაც ზოგნი ფიქრობდნენ: „ხედავთ, კიდევ ერთი მოდელი გამსახიობდა!“ თვითონვე ვიცოდი, რომ მოდელები არც ისე ხშირად ამართლებენ. რატომ? იმიტომ, რომ საპირისპირო ჟანრებია. ფოტოგრაფია სტატიკურია, ფილმი კი მოძრავი. ამიტომაც ბედნიერი ვარ, რომ ამ გარდასახვისას მომიხდა მემუშავა საუკეთესო იტალიელ, ასევე ფრანგ და ამერიკელ რეჟისორებთან.

**კორ.:** თქვენ გაგაოცათ ფილმის „ქრისტეს ვნებების“ წარმატებამ?

**ბელუჩი:** ჩემმა აგენტმა არჩევანი შემომთავაზა: „ქრისტეს ვნებები“ და რაღაც ბლოკ-პასტერის მსგავსი, ამასთან, განმიმარტა, რომ „ვნებები“ პატარა ფილმია და მას კაციშვილი ვერ ნახავს. გადავწყვიტე, მარია მაგდალინას როლი მეთამაშა. შემდეგ მელ გიბსონს შევხვდი, მან კი მომხიბლა. როდესაც მზა ფილმი ვნახე, მივხვდი, იგი მეტად სადავოა. მაგრამ სულ ერთია, ჩემ არჩევანს არ ვნანობ.

**კორ.:** სურათთან „შეუქცეველი“ ათასგვარი ჭორებია დაკავშირებული. რა ასოციაციას იწვევს იგი თქვენში?

**ბელუჩი:** სასიამოვნოსა და მაცოცხლებელს, რადგან „შეუქცეველი“ მეტად ძლიერი და ერთობ დაძაბული ფილმია. ჩემთვის საინტერესო იყო მეთამაშა უბრალო ქალი თავისი მარტივი პრობლემებით, რა თქმა უნდა, გარკვეული აზრით. იგი ქმარს გაშორდა, ორი შვილი დარჩა. ჰყავს საყვარელიც, რომელსაც უთხრა: „ქმარმა ჩემში დაანგრია



ყველაფერი, ის აღარ ვარ. მან ჩემი მეობაც ფეხქვეშ გათელა, ახლა კი, როდესაც შევიცვალე, აღარ ვუყვარვარ და აღარც ვუნდივარ“. მგონი, ეს ოსკარ უაილდს უთქვამს: ყოველი მამაკაცი კლავს იმას, რაც უყვარსო...

**კორ.:** ჩემმა ორმა მეგობარმა ქალმა შემომჩივლა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე იდეალურ მამაკაცს ეძებდნენ და როდესაც პოულობდნენ მათვე ბაძავდნენ; ყველაფერი იმით მთავრდებოდა, რომ მამაკაცი მათ მიმართ ინტერესს კარგავდა.

**ბელუჩი:** იტალიაში ოჯახი ჯერ კიდევ მაგრად დგას ფეხზე. მაგრამ საქმე ის არის, რომ, როდესაც ახალგაზრდები ერთად ცხოვრობენ, მათ საკმაოდ ეძნელებათ მოწიფულობა და თავიანთი ადგილის მოძებნა ცხოვრებაში. ხშირად ხან ერთი ან ორივენი უარს ამბობენ პირად ცხოვრებაზე, სანუკვარ ოცნებასა და თავიანთ ამბიციებზე ოჯახის გულისთვის.

**კორ.:** თქვენ როგორ გამოგივიდათ?

**ბელუჩი:** უცბად მივხვდი, რომ ჩემი მკერდი, მუცელი და მთელი ჩემი სხეული სრულებით არ შეცვლილა მას შემდეგ, 18 წლისას რომ მქონდა და ეს იმ დროს, როდესაც შინაგანად სულ სხვაგვარი გავხდი. ამიტომ გადავწყვიტე დაორსულება და შვილის გაჩენა. გამოგიტყდებით, ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ამისთვის მზად არ გახლდით. ახლა მზადა ვარ, ჩემი წილი გავიღო.

**კორ.:** თუ მოგსურვებიათ ოდესმე, რომ ჰოლივუდზე მიგეტანათ იერიში?

**ბელუჩი:** არა მგონია ამის აუცილებლობა იყოს. ჰოლივუდს თვითონვე შეუძლია შემოტევა, თუ ამას განიზრახავს. მისმა უფროსებმა იციან, სად ვარ. დიახ, მათთვის ცნობილია, რომ ევროპაში ვარ.

**კორ.:** წლეულს კიდევ ერთი ფილმი გამოდის თქვენი მონაწილეობით — ბერტრან ბლიეს კომედია, რომელშიც ჟერარ დეპარდიესთან ერთად თამაშობთ.

**ბელუჩი:** დიახ, მუშაობა თებერვალში დავიწყეთ და მაისში დავამთავრეთ. ფილმი კი ოქტომბერში გამოვა. მეძავს ვთამაშობ. მას ეწოდება „რამდენია შენი ფასი?“ (იცინის). მისი პროდიუსერი ოლივიე დელბოში თავის დროზე ცნობილი იყო ისეთი ფილმებით, როგორიც არის „8 ქალი“, „5 X 2“ და „აუზი“.

**მოდა**

# დავიწყებული და ძველი ახლებურად

**ბოლო პეროდში დისკუსია თემაზე „მოდა ხელოვნებაა თუ ინდუსტრია“ კვლავ აქტუალურია. 2005-2006 წლების შემოდგომა-ზამთრის კოლექციებმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ მოდის ინდუსტრია თითქოს დროის მანქანით მუშაობს — აწმყოს ხან უსწრებს, ხანაც წარსულს უბრუნდება. საერთოდ კი, მესამე ათასწლეულის მოდის მიმართულებები სათავეს XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს.**

**20-იანი წლები** — ეს პერიოდი ჰოლივუდთან, ჯაზთან და სექსუალურ რევოლუციასთან ასოცირდება. ქალები ამ დროს ცდილობდნენ, ლამაზ სათამაშოებს დამსგავსებოდნენ, მამაკაცები კი, უფრო რომანტიკულები იყვნენ. წლევანდელ მოდის მიმართულებებში 20-იანი წლების ანალოგი კოკო შანელის კოლექციებში არის ასახული — ხავერდის კაბები და ქვედაბოლოები, შუბლზე ჩამოყრილი კულულები და სხვა. მან ქსოვილებიდან ფარჩა, აბრეშუმი და ატლასი გამოიყენა. 20-იანი წლების გამოძახილი ვალენტინოს შემოქმედებაშიც აისახა.

**30-იანი წლები** — ამ პერიოდში მოდამ ბურჟუაზიული რესპექტაბელურობა დაამკვიდრა. 30-იანი წლების მოდა უნგრომ იდეალად გაიხადა. მის კოლექციებში თავი იჩინა თავისუფალმა სილუეტმა. ქალებს მამაკაცური მკაცრი სტილის შარვლები შესთავაზა. ქალმა ხომ სწორედ 30-იან წლებში გაბედა მამაკაცის გარდერობიდან ამ მთავარი ატრიბუტის გამოყენება.

**40-იან წლები** — მეორე მსოფლიო ომმა მოდაზე თავისებური გავლენა იქონია, სამხედრო თემა იმ პერიოდის კოლექციებში ყველაზე მეტად სჭარბობდა — მამაკაცის პერანგებმა, პიჯაკებმა და ფეხსაცმელებმა ქალის გარდერობშიც შეაღწია. პრადას, ზარას და მიუ-მიუს 2005-2006 წლების კოლექციებში 40-იანი წლების მოდა დაბრუნდა. იგივე მიმართულებები შეიმჩნევა ჟივანშის კოლექციებშიც, მათი კოსტიუმები სამხედრო სტილისაა. ჯონ გალიანოს შთაგონების წყარო კი 40-იანი წლების მეომარი ქალი კი არა, იმ პერიოდის მსუბუქი ყოფაქცევის ქალია. ამდენად, ჭარბად არის თეთრი, ჰაეროვანი, გამჭვირვალე ბლუზონები, ფართოდ დაშვებული ქვედაბოლოები.

**50-იანი წლები** — ამ ათასწლეულში გამოიკვეთა სტილი, რომელსაც ერთი შეხედვით შეიძლება ქალაქური ეწოდოს. დიორმა შეძლო 50-იანი წლების გამოძახილი საკუთარ კოლექციაში აესახა. ხელით ნაქსოვი ქუდები და შარფები, მაქმანებიანი კაბები, მაღალი ქუსლები. მისი საღამოს კაბები კი სექსუალური რევოლუციის იმპულსს იძლევა.

**60-იანი წლები** — ბოლო დროის კოლექციებში 60-იანი წლების მოდა ყველაზე აქტუალურია — მყვირალა ფერები, როლინგები, სწორი ფორმის შარვლები, ველვეტის ქურთუკები, ხავერდის პიჯაკები. ამ წლებმა გავლენა ყველაზე ინდივიდუალისტ დიზაინერებზეც (მარკ ჯაკობსი, ჯულიენ მაკდონალდი, შანელი, ფერე, რაბანი) იქონია.

**70-იანი წლები** — ეს პერიოდი პანკის სტილით ხასიათდება, რომელმაც გამოძახილი წლევანდელ სეზონშიც ჰპოვა, მოდაში შემოვიდა დეკორატიული ქსოვილები, დიდი ზომის ბიჟუტერია და ბევრი სამკაული.

**80-იანი წლები** — ტრიკოტაჟის ნაწარმი, ჩექმა — ბოტფორდები, მინიკაბები, კორსეტები, მოკლე პიჯაკები და ქურთუკები, როგორც 80-იან წლებში, ამ სეზონზეც აქტუალურია.

ასე რომ, მოდა ტრიალებს — აწმყოს ხან უსწრებს, ხანაც წარსულს უბრუნდება.



**ლელა დონაძე**

**სურათებზე:** მოდელები ამ სეზონისთვის.

## შაბათი, 5 ნოემბერი

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" **08.40** საბავშვო სერ. "მერი ქეითი და ეშლი ბრძოლაში" **09.00** მომავლის ცირკი **09.45** საბ. სერიალი "**სკოლის შემდეგ**" **10.00** დოკ.ფ. "მითხარი როგორ" **10.30** დოკ. ფილმი "მოგზაურის გიდი" - ჯერსი **11.30** დოკ. ფილმი "ჯანსაღი კვების სტილი" **12.00** "მთავარი" **12.20** სპექტაკლი "**აქ ამ სავანეში**" **15.00** სერიალი "**დინოტოპია**" **16.00** დოკ. ფილმი "მესაზღვრე ძაღლი" **17.00** დოკ. ფილმი "აფხაზეთი - კონფლიქტის მხარე" **18.00** "მთავარი" **18.10** მუსიკა (გამ.) **19.00** სერიალი "**სტუდენტები**" **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** ქართ. ფილმი "**კარიერი**" **22.10** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **22.40** ბიოგრაფიული პორტრეტები - ჰიტლერი და სტალინი. **23.40** მხ. ფილმი "**მარი – ჟოზე ანუ უკანასკნელი დედოფალი**" (U) **1**-ლი ს. **01.10** საინფორმაციო გამოშვება

**19.00** ტელეზღაპარი **19.15** მულტსერიალი "ტენტენის თავგადასავალი" **19.40** კონცერტი **20.30** კინოსეანსი "**ხსოვნა**" **1**ს.

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** საბავშვო ფილმი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "**ხანუმა**" **15.20** მხ. ფილმი "**სერიული მკვლელობები**" (U) **17.00** სერიალი "**ენტერპრაიზი**" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.15** მხ.ფ."**იყო სტენლი კუბრიკი**" (U)(ჯ. მალკოვიჩი) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ჯეოპარი" **00.00** მხ. ფილმი **02.00** კურიერი **02.20** მხ. ფილმი "**ჩონჩხი**" (**18**)

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.10 12** პლუსი **10.30** უცხო სუნელი **11.00** ჩვენი ეზო **11.20** "რაო-რაო?" **11.30** "დილის ფოსტა" **12.20** "იმედითა შენითა" **12.40, 16.15 ტვ**-მარკეტი **13.20** მხ. ფილმი "**კურიერი**" (U)(ო. ბასილაშვილი) **15.15** "დეკო-რაციო" **15.45** დოკ. სერიალი "მსოფლიოს შვიდი საოცრება" **1**-ლი ს. **16.30** უცნობი საქართველო **17.10** სერიალი "**მოჯადოება**" **18.00** "ეტალონი" **19.00, 20.00, 23.00, 03.00** ქრონიკა **19.05** სერიალი "**მოჯადოება**" **20.30** "ნაცნობი საქართველო" **21.00** სერიალი "**საპონი**" **22.00** "ალავერდი" მე-**7** გად. **23.30** მხ. ფ. "**პარსონსის დიდებული მოტაცება**" (12) **01.25** მხ. ფილმი "**მსახიობები**" (**15**) (მ. კეინი) **03.10** იმედის მელოდიები

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "იასამნის ციხესიმაგრე" **10.00** მულტფილმი "კაზაკები" **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** მხ. ფილმი "**ერთად მოვკვდებით**" (U) **14.35** კონცერტი – კუბური მუსიკა **15.30** სერ. "**სენიორ ვიანელო**" **16.00** **ფეხბურთი**. **17.00** ტელეჟურნალი "დები ტრევისი" **18.00** **ფეხბურთი**. **20.00** მზერა **20.30** "ჰოლივუდი დღეს" **21.00** მხ. ფ. "**თამაში ოთხ ხელში**" (U)(ჟ. ბელმონდო) **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **23.00** მხ.ფ. "**ღმერთის სახელით**" (**15**) (დ. დუხოვნი) **00.30** მუსიკა მზეზე

**10.00** "ტვ-შოპი" **11.00, 13.00, 21.00** Style-TV **12.45** მხ. ფ. "**ჯადოქრები**" (U) **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.30** გადაცემა "საწინდარი" **21.30** მხ. ფილმი "**გრანდ ჰოტელი**" (U) **00.30** "ტვ-შოპი"

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** მულტსერიალი **10.20** "ჭიტა-ჭიტა" **10.35** კომედია "**მაღალი საზოგადოების ლომები**" **12.20** იუმორისტული ნოველები "ვიცინოთ ერთად" **12.35** ფანტასტიკა "**ადამიანი-ობობა**" **14.30** თეატრი **17.30** "ახალი ამბები" **17.45** "აკაზმა" **18.00** კომედია "**როჯერ დოჯერი**" **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **20.30** "ახალი ამბები" **21.15** მხ. ფილმი "**დევიდ მეილის ცხოვრება**" **00.00** "ახალი ამბები" **00.15** თრილერი "**ტაბლოიდი**"

## კვირა, 6 ნოემბერი

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" **08.40** საბავშვო სერ. "მერი ქეითი და ეშლი ბრძოლაში" **09.05** მომავლის ცირკი **09.45** საბ. სერიალი "**სკოლის შემდეგ**" **10.00** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **10.30** დოკ. ფილმი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **11.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **12.00** "მთავარი" **12.20** სპექტაკლი "**ეს არ უნდა მომხდარიყო**" **13.40** "ჩვენი ექსპრესი" **13.55** **რაგბი**. მსოფლიო ჩემპიონატის სარეიტინგო ტესტ-მატჩი. საქართველო-უკრაინა. **15.45** დოკ. ფილმი "მზე — მტერი და მოყვარე" **17.00** "ახალი პროექტი" — "ელექტრონავტები" **17.30** "გზაჯვარედინი" **18.00** "მთავარი" **18.10** მუსიკა — ი. სტრავინსკი "კურთხეული გაზაფხული" **19.00** სერიალი "**სტუდენტები**" **20.00** "მთავარი" **20.30** მხ. ფ. "**დიადი გაოცება**" **22.10** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **22.40** ბიოგრაფიული პორტრეტები - ტომ ჰენკსი, რასელ ქროუ. **23.40** მხ. ფილმი "**მარი – ჟოზე ანუ უკანასკნელი დედოფალი**" (U) მე-**2** ს. **01.10** საინფორმაციო გამოშვება

**19.00** ტელეზღაპარი **19.15** დოკ. ფილმი "საბჭოთა საქართველო" **19.40** რაციო **20.45** კინო "**ხსოვნა**". მე-**2**ს.

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** საბავშვო ფილმი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **12.50** მხ. ფ. "**გადამთიელები**" **15.20** მხ.ფ. "**ზოლიანი რეისი**" **17.00** სერიალი "**ენტერპრაიზი**" **18.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **19.20** მხ. ფ. "**რას გინახავს ვეღარ ნახავ**" (U) **22.00** გაიღიმეთ ფარული კამერაა **23.00** მხ. ფ. "**კოდი ომეგა**" (15) (კასპერ ვან დინი) **01.00** კურიერი **01.20** მხ. ფ. "**პატიმარი**" (18).

**09.00, 13.00, 15.00** ქრონიკა **09.10** ანიმ. ფილმი "სუ ლინგის ლეგენდა" **1-2**ნაწ. **09.50** "რაო, რაო?" **10.30** უცხო სუნელი **11.10** "წუთისოფელში" **11.40** "საკვირაო კოქტეილი" **12.40, 16.15** **ტვ**-მარკეტი **13.15, 15.55, 02.20** იმედის მელოდიები **13.25** მხ. ფილმი "**გენიოსი ბავშვები-2**" (ჯ. ვოიტი) **15.15** "ეტალონი" **15.25** დოკ. სერიალი "მსოფლიოს შვიდი საოცრება" **16.30** სპ. პროგრამა "ოლიმპიური ინტერიერი" **17.00, 19.00, 02.10** ქრონიკა **17.20** "პოლიციის აკადემია" **17.50** "არტ-ბულვარი" **18.30** "ვაკაჩი-ნიუსი" **19.30** ქართული მხ. ფილმი "**დათა თუთაშხია**" მე-**4**ს. **21.00** დროება **22.30** მხ. ფილმი "**ავარია**" (**12**) (ვანდამი) **00.40** მხ. ფილმი "**ღალატი**" (12) (ბ. ზეინი) **02.20** იმედის მელოდიები

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **09.00** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "იასამნის ციხესიმაგრე" **10.00** მულტფილმი "კაზაკები" **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "მოდა" **13.00** მხ. ფილმი "**თამაში ოთხ ხელში**" (U) **14.40** კონცერტი "სპენიშ ჰარლემ ორკესტრა" **15.30** სერ. "**სენიორ ვიანელო**" **16.00** სერიალი "**პოლიციელი ქალები**" **16.50** მხ. ფილმი "**ბიმბოს ტომი**" (U) (ჟ. დეპარდიე) **18.20** "ჰოლივუდი დღეს" **19.00** **ფეხბურთი**. **19.55** "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "**ვარსკვლავეთში**" (U) (მ. შინი) **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **23.00** მხ. ფილმი "**წყლის წონა**" (**15**) (შონ პენი) **00.30** მუსიკა მზეზე

**10.00** "ტვ-შოპი" **11.00, 14.00, 02.00** Style-TV **12.45** მხ. ფილმი "**გრანდ ჰოტელი**" (U) **17.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **20.00** ინდ. მხ. ფ. "**მახეში**" (U) **23.00** ჯაზ-პარნასი **00.45** მხ. ფილმი "**ბედის ბორბალი**" (18)

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** მულტსერიალი **10.30** "მოგზაური" **11.00** "ფეხბურთი **11** საათზე" **12.00** "დებატები" **13.00** დოკუმენტური ფილმი **14.00** "გადარჩენილი სიტყვა" **14.45** "ფერისცვალება" **15.00** კომედია "**იანკების არაჩვეულებრივი თავგადასავალი აფრიკაში**" **16.45** "ექსკლუზივი" **17.30** "ახალი ამბები" **17.50** მხ. ფილმი "**ჩემი ბიჭი**" **19.30** "შესანიშნავი შვიდეული" **20.00** იუმორისტული ნოველები "ვიცინოთ ერთად" **20.30, 00.00** "ახალი ამბები" **21.15** დოკუმენტური ფილმი **22.00** "შესანიშნავი შვიდეული" **22.30** "მხოლოდ კინო" **22.45** მხ.ფ."**ღმერთების შური**"

**სააქციო საზოგადოება „ბაკას“** აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება გაიმართება მიმდინარე წლის 30 ნოემბერს 14 საათზე.

**დღის წესრიგი**

**1) სააქციო საზოგადოების დირექტორის ანგარიში ჩატარებული სამუშაოს შესახებ.**

**2) სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილებების შესახებ;**

**3) სხვადასხვა.**

კრება გაიმართება სააქციო საზოგადოების შენობაში, **ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას გამზირი 60.**

წლეულს 25 ნოემბერს 12 სთ-ზე, მოწვეულია სააქციო საზოგადოება „იორის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის“ აქციონერთა კრება. კრება ჩატარდება **ქ. საგარეჯოში: სტალინის ქ. 55, „რაიკავშირი“-ს შენობაში.**

**დღის წესრიგი:**

**სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის შესახებ.**

**გვემრავლოს!**

# სამშობიარომ თადარიგი დაიჭირა

**დედოფლისწყაროში** ყველა ერთმანეთს იცნობს, ერთმანეთის ოჯახების გამრავლება ხომ არ გამორჩებათ, ამ მოვლენას ყველა სიხარულით ხვდება... გაჩნდება თუ არა ჩვილი, მომლოცველებიც იქვე არიან. რაიონის სამშობიარო განყოფილება (გამგე ალექსანდრე ჭაბაშვილი, ექიმი გინეკოლოგი ლია ბატიაშვილი) ყველაფერს აკეთებს, რათა მასთან მისულ პაციენტს მშობიაროობისთვის ნორმალური პირობები შეუქმნას. ამ თვეში აქ უკვე 33 ბავშვი დაიბადა, მათ შორისაა დედოფლისწყაროს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფროსის ზურაბ ზურაბიშვილის და მისი მეუღლის ექიმ თეა ყოჩიაშვილის პირველი შვილი ნანიკაც.



როგორც დედოფლისწყაროს სამშობიარო განყოფილებიდან მარიკა პოპიაშვილმა გვაცნობა, რაიონში უკვე აცივდა. სამშობიარო განყოფილებამ თადარიგიც ადრე დაიჭირა, რათა მათ მიერ მოსახლეობაში აღრიცხულ მოსამშობიარებელ ქალებს, როცა აქ მოსვლა მოუწევთ, სათანადო პირობები შეუქმნან.

**ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.**

**ნათელა ფაილოძე**

**საეკლესიო კალენდარი**

# დიმიტრის შაბათი

**5 ნოემბერს მთელი მართლმადიდებელი სამყარო და მათ შორის ქართული სამოციქულო ეკლესია იხსენიებს სარწმუნოთა და სასოებით მიცვალებულ ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს.**



ეს დღე დიმიტრი დონელის (1389) დროიდან იღებს სათავეს.

ცნობილია რომ 1380 წელს ღირსმა სერგი რადონეჟელმა წმიდა მთავრის თანდასწრებით აღასრულა პანაშვიდი კულიკოვოს ბრძოლაში დაღუპული მეომრების სულის საოხად. ამგვარი პანაშვიდი შემდგომში ტრადიცია გახდა და თანდათან წინაპართა მოსახსენიებელ დღედ იქცა. დადგინდა, რომ მსახურება ყოველწლიურად უნდა აღესრულებინათ წმიდა დიმიტრი თესალონიკელის ხსენების დღის (8 ნოემბერი) წინა შაბათს, სწორედ ამიტომ ეწოდება „დიმიტრის შაბათი“.

**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ.**

**სხვისი კარიკატურა**

# მლიქვნელთა ქედი კიბედაც კი გამოგადგება...



**„ფეხი დაგვადგით, ზურგზე დაგვადგით ფეხი უფროსმან...“**

**კრიმინალი**

# ქრთამი ამღებსაც ანათებს...

**სამწუხარო ამბავი მოხდა გორში: იურიდიულ-საკონსულტაციო სამსახურის ახალგაზრდა ადვოკატები მამუკა ნოზაძე და მარინა მაზადაშვილი ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს. როგორც ქალაქის პროკურატურაში განმარტავენ, ერთ-ერთი პატიმრის მიერ ბანკში გირაოს სახით შესატანი თანხა 900 ლარი მათ პირად ანგარიშზე შეატანინეს.**

მექრთამეობაში გაწაფული ბევრი გვყავს — ხელისუფლებას ხელისუფლებაზე იცვლიან, თავად კი „იგივენი რჩებიან მარად და მარად“. მართლაც, ძნელია შეაღწიო ამ ზნეობრივად დეგრადირებული ადამიანების საქმიანობის ლაბირინთებში. ახლა კიდევ ეს ახალგაზრდები...

სწორედ ამის გამო უადგილოდ მეჩვენება ქირქილი, ქალაქში ამ ადვოკატების დაპატიმრებას რომ მოჰყვა: ზარბაზნები ბეღურებს დაუშინესო.

კანონი არ ასხვავებს ბეღურებს მტაცებელი ფრინველებისგან. მის წინაშე ყველანი თანასწორი ვართ.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

**რუსეთის ახალი კალენდარი**

# ნოემბრის გადაცრიალება

**რუსეთში 4 ნოემბერს პირველად აღინიშნა სახალხო ერთობის დღე.** ახალი დღესასწაულის შესახებ კანონის მიღებისას, პარლამენტის ახსნა-განმარტებით ბარათში აღნიშნულია: **„1612 წლის 4 ნოემბერს სახალხო ლაშქარმა კოზმა მინინის და დიმიტრი პოჟარსკის მეთაურობით შტურმით აიღო კიტაი-გოროდი, გაათავისუფლა მოსკოვი პოლონელი ინტერვენტებისგან. ეს იყო წარმოშობის, სარწმუნოებისა თუ საზოგადოებაში არსებული მდგომარეობის მიუხედავად მთელი ხალხის გმირობისა და ერთიანობის მაგალითი“**. რუსეთის კალენდარში „წითელი დღეების“ ნუსხის განახლების ერთ-ერთი მიზეზი (საერთოდ, მთავარი მიზეზი თუ არა), იყო ის, რომ ხელისუფლებას სურს რაც შეიძლება მალე მისცეს დავიწყებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეების ტრადიციული აღნიშვნა.

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА



**მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 8 ნოემბერს.**

**გაზეთის დღევანდელი ნომერი 24-გვერდიანია.**



მეუღლე ნოდარ ტაბიძე, შვილი გიორგი, რძალი ინგა კუკულაძე, შვილიშვილები ფიქრია, ლუკა ტაბიძეები, და მაყვალა ზანდუკელი, სიძე ნოდარ ჩიკვილაძე, დისწულები ზურაბ, მიხეილ, ნინო ჩიკვილაძეები, რძლები მაია ნადირაძე, ლელი ბერიშვილი, სიძე ზაზა აბაშიძე, მძახლები ნოდარ, დოდო კუკულაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ფიქრია ზურაბის ასული
ზანდუკელი

პანაშვიდი 6, 7 XI, 17 სთ-ზე გამოსვენება 8 XI, 14 სთ-ზე. მისამართი: საბურთალოს ქ. №61.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის პუბლიცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი გულწრფელი, ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი მეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ქალბატონ

ფიქრია ზანდუკელის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს პროფესორ ნოდარ ტაბიძეს ძვირფასი მეუღლის დაკარგვით გამოწვეული მწუხარების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად თანაუგრძნობს ბატონ ნოდარ ტაბიძეს მეუღლის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

ფიქრია ზუნდუკელის

გარდაცვალების გამო.

საბურთალოს ქუჩის №61 სახლის მობინადრეები ულრმესი გულისტკივილით იუწყებიან ძვირფასი მეზობლის, უკეთილშობილესი ქალბატონის, ცნობილი მეცნიერის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, მეცნიერებათა დოქტორის

ფიქრია ზანდუკელის

გარდაცვალებას და გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

დიანა ტყებუჩავა, მაია, მალხაზ, ირაკლი ნადარეიშვილები, მარსელ (ლევან), დაჩი დე გრაფები გულწრფელი, ღრმა მწუხარებით იუწყებიან უძვირფასესი ქალბატონის

პროფესორ ფიქრია ზანდუკელის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი „ოქროს ფრთა“ სამძიმარს და თანაგრძნობას უცხადებს ნოდარ ტაბიძეს მეუღლის

ფიქრია ზანდუკელის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.